ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2016 წელი, 8 ნოემბერი, №19-20 (6433)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 60 თეთრი

# დღეს ყვარელში გაიმართება ილია ჭავჭავაძის 179 წლისთავის აღსანიშნავი ილიაობა

## ილია ჭავჭავაძე — (1837-1907 წ.) ყვარელი, ბავშვობა და სიყმაწვილე



2-3 გვ.

„მინდა ყველას მოგილოცოთ საპარლამენტო არჩევნების წარმატებით დასრულება. დღეს ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა დემოკრატიამ. ეს არის ქართველი ხალხის, ქართული სახელმწიფოს გამარჯვება. ჩვენმა ქვეყანამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ, უკეთესი მომავლისკენ, განვითარებისა და კეთილდღეობისკენ. ყველა შეფასებით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები იყო სამართლიანი, თავისუფალი, გამჭვირვალე და დემოკრატიული. დიდი მადლობა იმ მაღალი ნდობისთვის, რომელიც ჩვენს პოლიტიკურ გუნდს გამოუცხადეთ. ეს პირადად ჩემთვის და „ქართული ოცნების“ ყველა წევრისთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა — მე მჯერა, რომ ჩვენ ღირსეულად გავართმევთ თავს ამ მოვალეობებს და ქვეყანას განვითარების სრულიად ახალ ეტაპზე გადავიყვანთ. „ქართული ოცნების“ მხარდაჭერით, თქვენ ხმა მიეცით — თავისუფლებას, სტაბილურობას, ჩვენი



## დღეიდან იწყება აღმშენებლობის ახალი ეტაპი! — გიორგი კვირიკაშვილის საგანგებო განცხადება

ქვეყნის სწრაფ განვითარებას და ჩვენი ქვეყნის ევროპულ მომავალს! ამ არჩევანის პოზიტიური შედეგები აუცილებლად აისახება ყოველი თქვენგანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. მადლობას გიხდით ყველას ასეთი ერთსულოვნებისთვის! ჩვენმა ხალხმა გამოავლინა მაღალი სამოქალაქო კულტურა, პირნათლად მოიხადა საკუთარი მოქალაქეობრივი ვალი. მე პატივს ვცემ თითოეული ადამიანის თავისუფალ არჩევანს, იმის მიუხედავად, რომელ პოლიტიკურ ძალას მისცა ხმა. მთავარია, რომ ჩვენ ყველამ ერთად შევძელით საქართველოს უახლეს ისტორიაში ყველაზე დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნების ჩატარება და ეს არის უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საერთაშორისო და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს არჩევნების მონიტორინგში ჩართულობისთვის. მადლობა მედიას, ჟურნალისტებს, რომლებიც აშუქებდნენ პროცესებს. ჩვენი ხალხის გადაწყვეტილებით, „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო საკონსტიტუციო უმრავლესობა. ჩვენ ამ მანდატს გამოვიყენებთ იმისთვის, რომ აღარავის მიეცეს შესაძლებლობა, რომ კონსტიტუცია რომელიმე ერთ პოლიტიკურ ძალას მოარგოს. „ქართული ოცნებისთვის“ საკონსტიტუციო უმრავლესობა ნიშნავს კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას ჩვენი ხალხის წინაშე. რაც მეტია ხალხის ნდობა, მით უფრო მომთხოვნია საზოგადოება ხელისუფლების მიმართ. ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი და ამბიციური გეგმები, რომელიც განათლების სისტემის არსებით გაუმჯობესებაზე, ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ განვითარებაზე, თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული; დიახ, დღეიდან იწყება აღმშენებლობის სრულიად ახალი ეტაპი საქართველოში და ჩვენ მზად ვართ, ქვეყნის წინსვლისთვის გადამწყვეტი ნაბიჯები გადავდგათ. კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას დემოკრატიის ტესტის ჩაბარებას და ჩვენი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის გამარჯვებას“, — განაცხადა საქართველოს პრემიერმა.



8-9 გვ.

## მხოლოდ მხარში დგომა, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული გადაგვარჩენს — ამას გვასწავლიდა და დღესაც გვირჩევს ჩვენი დიდი წინაპარი, წმინდა ილია მართალი



## მინდა მთელ საქართველოს მივულოცო „ილიაობა“ და გისურვოთ ყველას — ილიას გზით გვევლოს

12 გვ.

## საქართველოში ილიას პოპულარიზაცია არ სჭირდება, რადგანაც ილია თვითონვეა საქართველო

3 გვ.

## ჩემი სურვილია და მჯერა, რომ მოვესწრები ისეთ საქართველოს, სადაც შეჭირვებული, სოციალურად დაუცველი ადამიანები აღარ იქნებიან



12 გვ.

# ილია ჭავჭავაძე – (1837 – 1907წ)

## ყვარელი. ბავშვობა და სიყმაწვილე

კახეთში, მაშინდელი თელავის მაზრის სოფელ ყვარელში, 1837 წლის 27 ოქტომბერს (ძვ. სტ.) დაიბადა დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე ილია ჭავჭავაძე.

ყვარელი, სადაც გაატარა მომავალმა პოეტმა ბავშვობა და სიყმაწვილე, საუკუნეების მანძილზე იყო საქართველოს აღმოსავლეთი საზღვრების კარიბჭე, რომელიც იცავდა ჩვენს ქვეყანას მომხვდური მტრის ამაოხრებელი შემოსევებისაგან და რბევებისაგან. ამის დასტურად აქ დღემდე არის შემორჩენილი ძველი ბურჯებიანი ციხე-გალავანი და კოშკები.

ჭავჭავაძეთა გვარი საისტორიო წყაროებში XV საუკუნიდან, კერძოდ, ალექსანდრე I დიდის დროიდან მოიხსენება. გადმოცემების მიხედვით, ილიას წინაპრები-ჭავჭავაძიანთა ერთი მთავარი შტო-ისტორიული კახეთის მთიულეთის (ერწო-თიანეთი ფშავ-ხევსურეთით) მხრიდან უნდა იყვნენ ჩამოსახლებულნი XVI საუკუნის დამდეგს, ლევან I მეფობის დროს, სახელდობრ, 1529 წელს კახეთის ბარში – ალაზნის გაღმა მხარეში ყვარელ-შილდაში და სამშობლოსა და მეფის სამსახურში გამოჩენილი განსაკუთრებული გმირობისა და მამაცობისათვის კახეთის მეფე კონსტანტინე I თავადობაც მათთვის აქ უბოძებია 1726 წელს. ამიტომაცაა ისინი კახეთის თავადობის ღირსებით ჩაწერილნი 1783 წელს გეორგიევსკში დადებული რუსეთ საქართველოს ტრაქტატისათვის თანდართულ ქარლთ-კახეთის თავად-აზნაურთა სიაში, რომელიც ერეკლე II მიერ არის დამტკიცებული.

კახეთის თავადი ჭავჭავაძეები იყვნენ „ორ გვარად" — წინანდლისა და ყვარლისა. წინანდლის შტოს ეკუთვნოდნენ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გარსევან ჭავჭავაძე (ვისაც ერეკლე II მიანდო 1783 წელს გეორგიევსკში რუსეთ-საქართველოს ტრაქტატზე ხელის მოწერა, შემდეგ კი ქარლთ კახეთის სამეფოს დესპანად გაგზავნა რუსეთის სამეფო კარზე პეტერბურგში), მისი ვაჟი-გამოჩენილი ქართველი პოეტი-რომანტიკოსი ალექსანდრე ჭავჭავაძე, სილამაზით განთქმული ასულნი-ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა, სოფიო ჭავჭავაძე-ბარონ ნიკოლაისა და ერთადერთი ძე – დავით ჭავჭავაძე.

ილია ყვარლელი ჭავჭავაძეების შთამომავალია. მისი პირდაპირი წინაპრებიოტია, პაპუნა, მამუკა, ფარემუზ, ბესპაზ და პაატა ჭავჭავაძეები XV-XVIII სს. ისტორიული პირებია, ილიას პაპის მამას – ბესპაზ ჭავჭავაძეს თავი გამოუჩენია 1755 წელს ხუძახის ბატონის-ნურსალ-ბეგისა და მისი 20-ათასიანი ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლაში ყვარლის დაცვის დროს. როგორც თეიმურაზ II და ერეკლე II 1755 წლის წყალობის სიგელი მოწმობს, სხვა ქართველ მეომრებთან ერთად ბესპაზ ჭავჭავაძემ „რჯულის გულისათვის თავი საყათლანოდ გადასდვა, ოცდასამი დღე ლომსავით იბრძოლა" და ყვარლის ციხე გალავანს ალყა შემორტყმული ხუნძახის ბატონი და მისი მრავალათასიანი ლაშქარი სატიკად დაამარცხა და სამარცხვინოდ უკუაქცია!

პოეტის პაპა პაატა ბესპაზის ძე ერეკლე მეორისა და საქართველოს უკანასკნელი მეფის – გიორგი მე-13-ის დროს გამოჩენილი პირი ყოფილა. ერეკლე მეფის დროს პაატა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მოიხსენიება, როგორც მონაწილე ექსპედიციისა იმერეთში 1788 წელს, როდესაც ერეკლემ იმერეთის მეფედ დასვა თავისი შვილიშვილი სოლომონ მეორე.

1798 წელს, როდესაც გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პატარა კახი და როგორც ხალხური ლექსი ამბობს – „საქართველოს შეეხსნა რკინის კარები", – პაატა იყო ერეკლეს დამტირებელთა შორის, ქართლ – კახეთის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ჩამოუსვენებია ერეკლეს ცხედარი თელავიდან მცხეთაში, სადაც იგი მიაბარეს სამშობლოს მიწას საქართველოს ძველ დედაქალაქში.

პაატას ხუთი ვაჟი ჰყოლია: სვიმონი, გარსევანი, ალექსანდრე, გრიგოლი (მამა ილიასი) და იოსები. ამათგან გრიგოლის ძმები იოსების გარდა მტრის ტყვიით განგმირულან (იოსები მათ შორის საერთოდ არაა მოხსენებული). პოეტის მამა – გრიგოლი, ერთ ხანად სამხედრო სამსახურში ყოფილა ოფიცრად, მაგრამ ოსმალეთთან ომის დამთავრების შემდეგ იგი ბრუნდება საქართველოში და ირთავს ქრისტეფორე ბებურიშვილის ქალს მარიამ (მაგდანე) ბებურიშვილს.

გრიგოლს და მარიამს სულ ექვსი შვილი ჰყოლიათ: ოთხი ვაჟი და ორი ასული.

ილია მესამე შვილი იყო გრიგოლ და მარიამ ბებურიშვილი ჭავჭავაძეებისა. თავის ავტობიოგრაფიაში ილია წერს: „დავიბადე 27 ოქტომბერს 1837 წელს, სოფელ ყვარელში".

შუა ეზოში იდგა რიყის ქვისგან ნაშენი სამსართულიანი ძველებური კოშკი, სადაც ლეკების შემოსვლის დროს მთელი ოჯახი იხიზნებოდა. ლეკთა ერთ-ერთი ასეთი მოსალოდნელი თავდასხმის დროს დაბადებულა სწორედ ილია ამ მამაპაპეული კოშკის მეორე სართულზე. მესამე სართული მცველებს ეკავათ, პირველ სართულს კი სურსათ-სანოვაგის შესანახად იყენებდნენ. კოშკს ყველა მხრიდან სათოფურები ჰქონდა დატანებული და საიმედოდ იცავდა მებატონის სახლ-კარს, რომელშიც შედიოდა სადგომი სახლი, სამზარეულო, ჩალური და მარანი, წისქვილი, ბეღელი და თავლა.

ილიას სახლ-კარი დიდ მწვანე ბაღშია ჩაფლული, რომლის ნამდვილი მშვენებაა საუკუნოვანი გოლიათი კაკლის ხე. ამბობენ თითქოს, ილიას ყრმობის პირველი გატაცება სოლომონ ჭავჭავაძის მშვენიერი ასული ელისაბედი ყოფილა, იგივე ლიზა (შემდეგ ყვარელში მოსამსახურე ქუთაისელი ოფიცრის ალექსანდრე მარჯანიშვილის მეუღლე, დედა კოტე მარჯანიშვილისა) და თითქოს სწორედ მას მიუძღვნა შესანიშნავი ლირიკული ლექსი „გახსოვს, ტურფავ":

„გახსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში  
მე და შენ რომ ერთად ვრბოდით?  
ნეტა იმ დროს!.. სიყვარულის  
მეტ არაფერს ჩვენ არ გვრძნობდით!  
შენ მოსწყვიტე ქორფა ვარდი,  
გადმომიგდე საყვარელსა  
და მითხარი: „ჩემო გიჟო!  
ჩემ სახსოვრად გქონდეს ესა!..

ქართული ენის, წერა-კითხვისა და სამშობლო ქვეყნის გმირული წარსულის, ქართული მწერლობისა და ზეპირსიტყვიერების სიყვარული ილიას პატარობიდანვე ოჯახში ჩაუნერგა დედ-მამამ:

„მამა-ჩემმა ძალიან კარგი ზღაპრები იცოდა და ჩვენც გვიყვარდა ყურის-გდება ზღაპრისა", ან კიდევ: „მამამ დაიწყო: მე ადრეც მიამბნია, რომ ჩვენს ქვეყანას ძალიან ემტერებოდნენ თათრები. მოსვენებას არ გვაძლევდნენ, ხან აქედამ, ხან იქიდამ მოგვესეოდნენ ხოლმე. ჩვენც, რაც შეგვეძლო, რაც ძალი და ღონე გვქონდა, ვებრძოდით, ვეომებოდით", — ასე ალაპარაკებს ილია ჭავჭავაძე მამას მოთხრობაში „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი", ხოლო ავტობიოგრაფიაში პირდაპირ წერს: „მამაჩემი რამდენადმე განათლებული კაცი იყო, აფიცრად მსახურობდა ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკში და რუსული კარგად იცოდა".

მაინც, ილიას პირველი მასწავლებელი და შთამაგონებელი დედა ყოფილა. ილია ჭავჭავაძე წერს:

„დედაჩემმა მშვენივრად იცოდა მაშინდელი ქართული მწერლობა. სულ ზეპირათა ჰქონდა დასწავლული თითქმის ყველა ლექსი და ყველა ძველებური მოთხრობა და რომანი, რომელიც კი იშოვებოდა მაშინ ან დაბეჭდილი ან ხელნაწერი. საღამოობით დაგვსხავდა ბავშვებს და გვკითხავდა: აბა, ვინ უფრო კარგად მიამბობს, რაც გუშინ გაიგონეთო. ვინც კარგად ვუამბობდით, გვაქებდა და ამ ქებას ჩვენც დიდად ვაფასებდით".

მაგდანა (მარიამ) ბებურიშვილი სანამ 1832 წელს გრიგოლ ჭავჭავაძის მეუღლე გახდებოდა, მანამდეც მისი ოჯახი წმინდა ქართული ტრადიციების მატარებელი ყოფილა და ქართული ეროვნული მწერლობის ძეგლთა გადაწერა — გამრავლებას მისდევდა. ასე რომ, როგორც ვხედავთ, ქართული მწერლობის სიყვარული ილიას თურმე დედის ოჯახიდანვე მოსდევდა.

1845 წელს, ალ. ყიფშიძის გადმოცემით, შინაური სწავლის მიღების შემდეგ 8 წლის ილია მიუბარებიათ სოფლის მთავარ დიაკვნისათვის, ვისთანაც გატარებულ სამ წელს წარუშლელი კვალი დაუტოვებია მწერლის ცხოვრებაში. ავტობიოგრაფიაში ილია გადმოგვცემს: „სწავლა 8 წლის დავიწყე ჩვენი სოფლისავე მთავართან ქართულის წერა კითხვითა. მთავარმა ძალიან კარგად იცოდა ქართული და სახელი ჰქონდა განთქმული საღმრთო წიგნების კარგის მკითხველისა. ხოლო უმთავრესი ღირსება მისი ის იყო, მომხიბვლელი თქმა იცოდა ამბებისა. გვიმბობდა მდაბიურად და ბავშვისათვის ადვილად გასაგების ენით უფრო საღმრთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებსა, ვის რა გმირობა მოემოქმედნა, ვის რა ფალავნობა გაეწია, ვის რა ღვაწლი და სიკეთე დაეთესა სამშობლოსა და სარწმუნოების სასარგებლოდ და დასაცველად.

ბევრი ამ ამბავთაგანი ღრმად ჩამრჩა გულში და ერთი მათ შორის-„დიმიტრი თავდადებული" — თემად გამოვიყენე მრავალი წლის შემდეგ. ერთი კიდევ პატარა საშობაო მოთხრობად დავწერე. ჩემს „გლახის ნაამბობში" ზოგიერთს ადგილს ცხადად ამჩნევია კვალი მთავრის ამბების გავლენისა.

მთავართან ვსწავლობდი ამავე ჩემ სამშობლო სოფლის გლეხკაცების შვილებთან. რამდენადაც მახსოვს, ხუთნი თუ ექვსნი ვიყავით. ყველანი შინიდან დავდიოდით მთავართან დილ-დილით და სწავლა გვქონდა შუადღემდე.

ილიას დედა სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა ყვარელში 1848 წლის 4 მაისს. მაშინ ილია 10 წლის იყო. დედით დაობლებული ძმისშვილების პატრონობა იტვირთა მამიდამ – მაკრინე პაატას ასულმა ჭავჭავაძე-ერისთავისამ. მაკრინე გათხოვილი იყო ივანე არაგვის ერისთავზე და ამ დროს დაქვრივებული იყო. მაკრინე პაატას ასულმა ჭავჭავაძე-ერისთავისამ მართლაც რომ ნამდვილი დედობა გაუწიათ მათ.

მეთერთმეტე წელში გადამდგარი ილია 1848 წლის იანვრისთვის მამამ თბილისში ჩამოიყვანა. პატარა ილიას ცხოვრებაში დგებოდა ახალი ხანა – თბილისის ხანა, პანსიონსა და გიმნაზიაში განსწავლის წლები...



### თბილისი პანსიონსა და და გიმნაზიაში 1848-1856 წლები

1848 წლის იანვრისთვის გრიგოლ ჭავჭავაძემ თავისი მეორე ვაჟიშვილი მაშინდელ ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო რაევსკის და ჰაკეს კერძო პანსიონში მიაბარა, სადაც 4 წელიწადს სწავლობდა.

1851 წელს სწავლის გასაგრძელებლად ილია თბილისის გიმნაზიის მეოთხე კლასში შევიდა.

1852 წლის 10 დეკემბერს, როცა ილია თბილისში უკვე გიმნაზიელი იყო, ყვარელში მამაც გარდაეცვალა. ამის შემდეგ მთელი ოჯახის ტვირთი და ხუთი ობოლი ძმისშვილის აღზრდა-პატრონობა მამიდა მაკრინეს დააწვა მხრებზე. სწორედ ამ დიდი სულიერი ტკივილის გამოა დაწერილი ჩვენამდე მოღწეული ილიას ყრმობის დროინდელი, მისი ერთ-ერთი პოეტური ცდა „მოთქმა საწყლისა". 15 წლის გიმნაზიელის ცხოვრებაში მომხდარ ამ ღრმა ტრამვას შეიძლება მიეწეროს ის ფაქტი, რომ ილიას ამ დროს საგნებში არასახარბიელო ნიშნები მიუღია, რის გამოც იგი გიმნაზიის იმავე მეოთხე კლასში დაუტოვებიათ. სამაგიეროდ, 1853 წელს ილიას მდგომარეობა საგრძნობლად გამოუსწორებია.

ილიას ბავშვობისა და მოწაფეობის ხანა მშფოთვარე პერიოდია ჩვენს ისტორიაში" ეს არის კავკასიისა და ყირიმის ომების ხანა, ბატონყმობის მძიმე უღლისა და რუსეთის თვითმპყრობლობის ბრძოლის ხანა. 1854 წლის ივლისში წინანდალზე ლეკთა თავდასხმამ იმსხვერპლა მისი უფროსი ძმა კონსტანტინე.

### პეტერბურგს გამგზავრება, პეტერბურგის უნივერსიტეტი 1857-1861 წ

თბილისის გიმნაზიის რვა კლასის დამთავრების შემდეგ ილიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი რუსეთში წასვლა უმაღლესი განათლების მისაღებად. რუსეთში წასვლამდე ილია ყვარელში იმყოფება. იგი ამ დროისათვის რამოდენიმე ორიგინალური ლექსის ავტორი გახლდათ. 1857 წლის 15 აპრილს სოფელ კარდანახში დაწერა ლექსი „ყვარლის მთებს".

1857 წლის ივლისში ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში ჩავიდა და წარმატებით ჩააბარა უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები იურიდიული ფაკულტეტის კამერალურ განყოფილებაზე, რომელიც იძლეოდა ეკონომიკურ – ფინანსური და ადმინისტრაციული დარგების ცოდნას.

1859 წლის ზაფხულში ავადმყოფი ილია რამდენიმე თვით ჩამოსულა საქართველოში გამოსაჯანმრთელებლად და აქ შემოდგომამდე დარჩენილა.

ილიას სტუდენტობის დროის შესახებ მოიპოვება მოგონებანი ილიას მეგობრის კოხტა აფხაზისა, რომელიც ილიასათან ერთად სწავლობდა, როგორც გიმნაზიაში, ისე უნივერსიტეტშიც, და ნიკო ნიკოლაძისა, რომელიც ილიას შემდეგ ჩავიდა პეტერბურგში. ნიკო ნიკოლაძის დროს პეტერბურგის სტუდენტობაში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ხსოვნა სტუდენტ ილიას შესახებ, რომელიც პეტერბურგის ქართველი სტუდენტობის მიერ აღიარებულ ხელმძღვანელად ითვლებოდა.

**კოხტა აფხაზი გადმოგვცემს:**

„უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტუკური და ეკონომიური სამეცნიერო საგნები აინტერესებდა. . ჩვენ სტუდენტები, ხშირად ვიკრიბებოდით და ვბაასობდით როგორც საზოგადო კითხვებზედ, აგრეთვე ჩვენს დაბეჩავებულს სამშობლოს მომავალზედ. ვკითხულობდით ხშირად ქართულ წიგნებს".

ილიას სტუდენტობის ხანა პეტერბურგში დაემთხვა რევოლუციებისა და ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ომების, მათი მუდმივი გამოძახილის პერიოდს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ახალგაზრდა ილია, თავისი დამონებული სამშობლოს მომავალ ბედზე ფიქრით მოცული, მღელვარებით ადევნებდა თვალყურს ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას ევროპაში. როდესაც 1860 წლის გაზაფხულზე გარიბალდიმ აიღო მესინა, ხოლო შემდეგ იტალიის ნახევარკუნძულზე გადმოვიდა, ილია ამას აღფრთოვანებული მიესალმა ლექსით: „მესმის, მესმის სანატრელი, ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა"

ილიას დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა ოცდაათამდე ქართველი სტუდენტი. ილიას გარშემო შემოკრებილი ქართველი სტუდენტობა შეადგენდა იმ ბირთვს, რომელმაც საქართველოში დაბრუნების შემდეგ, შეადგინა „პირველი დასი".

ილიას დროს შეიქმნა რუსეთში ქართველი სტუდენტობის-"თერგდალეულთა" ტრადიციები.

1857-1861 წლები არაჩვეულებრივად უხვი გამოდგა სტუდენტი ილია ჭავჭავაძისთვის შემოქმედებითი ნაყოფიერების თვალსაზრისით. სტუდენტობის 4 წელი უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჭავჭავაძის როგორც პიროვნებისა და მოქალაქის, მოაზროვნისა და მწერლის ფორმირებისა და სრულყოფისათვის, მისი პროგრესული სოციალური-პროგრესული, ფილოსოფიური და ესთეტიკური მრწამსის შემუშავებისათვის. იგი იმთავითვე ინტენსიურად და საფუძვლიანად სწავლობდა საქართველოს ისტორიასა და ქართულ მწერლობას. რუსულ და ევროპელ მწერალთა და მეცნიერთა მემკვიდრეობას; გატაცებით დაეწაფა რუსი რევოლუციონერ დემოკრატების — ბელინსკის, გერცენის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის ნააზრევს, რაც დაუკავშირა საკუთარი ხალხის პროგრესისათვის ბრძოლის მიზნებსა და ამოცანებს.

### „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას" საქართველოში დაბრუნება

1861 წლის გაზაფხულზე, აპრილში ილია ჭავჭავაძემ დატოვა პეტერბურგის უნივერსიტეტი და საქართველოში გამოემგზავრა. სამშობლოსთან შეხვედრის მოლოდინით აღძრული ფიქრები, მისი ჭირვარამის, მისი „დაუყუჩებელი ტკივილების" მწვავე განცდა და მზადყოფნა მისთვის ერთგულად მსახურების მხატვრულად აისახა „მგზავრის წერილებში", რომელიც არა მარტო ავტორის ან „თერგდალეულების" მიზნებსა და ამოცანებს, არამედ მთელი ქართველი ხალხის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს, საზოგადოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უწმინდეს იდეალებს გამოხატავდა და მიზანდასახული აქტივობის, მოქმედებისა და ბრძოლის წყურვილითა და მოწოდებით იყო განმსჭვალული. „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე – ვიფიქრე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?"

ილიამ საქართველოში ჩამოსვლის პირველ წელსვე თავის გარშემო შემოიკრიბა ახალი თაობა, ქვეყნის ცოცხალი ძალები. ამ დროს ჩაეყარა საფუძველი ილიას მოთაოებობით იმ საზოგადოებრივ დაჯგუფებას, რომელიც „პირველი დასის" სახელით არის ცნობილი.

შორეული მგზავრობიდან დაბრუნებული და ახლად გაჩაღებულ ლიტერატურულ ბრძოლაში ჩაბმული ახალგაზრდა პოეტი ზაფხულსა და შემოდგომას მშობლიურ ყვარელში ატარებს, სადაც იგი 1861 წლის აგვისტოსა და ოქტომბერში ქმნის ორ ახალ შესანიშნავ ლექსს „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული" და „ჩემო კალამო".

1863 წლის 10 აპრილს, ილია ჭავჭავაძე დაქორწინდა საგურამოს მფლობელ თავად თადეოზ გურამიშვილის ასულ ოლღა გურამიშვილზე. ამ ხნიდან მოყოლებული თვით ტრაგიკულ აღსასრულამდე ილიას ცხოვრება და შემოქმედება უკვე განუყრელად არის დაკავშირებული მის სახელთან...

1863 წელს ილია ჭავჭავაძე აარსებს ჟურნალს „საქართველოს მოამბე", რომელიც მიუხედავად უმძიმესი საცენზურო პირობებისა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჭეშმარიტ მედროშედ იქცა.

### სახელმწიფო სამსახურში – ქუთაისსა და დუშეთში 1864-1873

1863 წლის ბოლოს ჟურნალ „საქართველოს მოამბის" დახურვის შემდეგ, ილია ჭავჭავაძე იძულებული შეიქმნა სახელმწიფო სამსახურში შესვლაზე ეფიქრა, რათა ნივთიერი სახსარი მოეპოვებინა: „1864 წლის დამდეგს, როცა განიზრახეს გლეხკაცობის განთავისუფლების რეფორმა საქართველოში, გამგზავნეს იმერეთს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცალკე მინდობილობათა მოხელედ და დამავალეს გამომერკვია, თუ რა ურთიერთობა სუფევდა მემამულეთა და გლეხკაცთა შორის ბატონყმობისგან წარმომდგარი" — წერს ილია თავის ავტობიოგრაფიაში.

კავკასიის მეფისნაცვლის 1868 წლის 1 თებერვლის ბრძანებით, თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე დაინიშნა თბილისის გუბერნიის დუშეთის მომრიგებელი განყოფილების მომრიგებელ მოსამართლედ, წლიური ხელფასით – 2400 მანეთი, შემდეგ — საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით — მომრიგებელ შუამავლად აღმოსავლეთ საქართველოში. 1868—1873 მუშაობდა დუშეთის მაზრის მომრიგებელ მოსამართლედ. ამ ხანებში დაწერა მან „გლეხთა განთავისუფლების პირველი დროების სცენები" (1865), გადაამუშავა „ქართვლის დედა" (1871) და „აჩრდილი" (1872), დაასრულა მუშაობა დიდი ხნის წინ ჩაფიქრებულ „მგზავრის წერილებსა" (1871) და „გლახის ნაამბობზე" (1872), ამავე პერიოდში შეიქმნა ეროვნული წყლულების მტკივნეული აღქმით გამოწვეული მწვავე სატირული ლექსები — „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა" და „ბედნიერი ერი" (ორივე 1871), ქართული პატრიოტული ლირიკის უბრწყინვალესი ქმნილებათაგანი — „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია" (1872); სატირულ-პუბლიცისტური ლექსები „გამოცანები", „კიდევ გამოცანები" და „პასუხის პასუხი" (1871—1872).

### ქართული ბანკის დაარსება. „მეფე ლირის" თარგმნა და გამოცემა 1873-1876

1873 წლის მაისში ილია ჭავჭავაძე გამოვიდა სახელმწიფო სამსახურიდან და თბილისში გადმოსახლდა.

საქართველოში ბატონყმობის გადავარდნის დაწყებისთანავაე, გამოჩენილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ დიმიტრი ყიფიანმა, რომელიც ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობის წინამძღოლი იყო, წამოაყენა ბანკის დაარსების იდეა.

ილია ჭავჭავაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბანკის წესდების შემმუშავებელ სხდომებში. 1873 წლის მაისში ილია ჭავჭავაძე ბანკის წესდების დამტკიცების დასაჩქარებლად და საბანკო საქმეების შესასწავლად, დავით ყიფიანთან და დიმიტრი ყაზბეგთან ერთად რუსეთს გაემგზავრა.

ბანკის წესდების მოლოდინში ილია ჭავჭავაძე პოულობს თავისუფალ დროს და პეტერბურგში ხელს კიდებს ახალ დიდ საქმეს„ უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტ ივანე მაჩაბელთან ერთად იგი იწყებს შექსპირის „მეფე ლირის" ქართულად გადმოთარგმნას.

ბანკის წესდების დამტკიცებას, რომ კარგი პირი შეატყო, ილია აღარ დაელოდა საბოლოო გადაწყვეტილებას და ათი თვის ტაჯვა-წვალების და რუდუნების შემდეგ, 1874 წლის აპრილის დამდეგს პეტერბურგიდან სამშობლოში გამარჯვებული გამოემგზავრა. 1874 წლის 28 მაისს ფინანსთა მინისტრმა რეიტერნმა ბოლოს და ბოლოს დაამტკიცა თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წესდება.

1875 წლის თებერვლიდან ამოქმედდა თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი, რომელსაც მთელი 30 წლის მანძილზე 1905 წლის 23 ივნისამდე სათავეში ედგა ილია ჭავჭავაძე.

ილია არც „მეფე ლირის" დაბეჭდვის საქმეს ივიწყებს. 1877 წლის თებერვალში ილიამ „მეფე ლირი" ცალკე წიგნად გამოსცა.

გაგრძელება მე-4 გვ. -ზე

# საქართველოში ილიას პოპულარიზაცია არ სჭირდება, რადგანაც ილია თვითონვეა საქართველო



*მრავაწლიანი ჟურნალისტური საქმიანობის შედეგად დავრწმუნდი, რომ პრესასთან ურთიერთობა ყველას არ შეუძლია და რესპოდენტების შერჩევაც ხშირად გვიძნელდება, მით უმეტეს საიუბილეო გაზეთისათვის.*

*ბევრი ფიქრის შემდგომ გადავწყვიტე ბატონ დავითს შევხმიანებოდი და ვთხოვე საუბრისთვის დრო გამოენახა.*

*დიახ, საიუბილეო გაზეთის სტუმარია ინტელექტით გამორჩეული პიროვნება დავით ლაფაჩიშვილი, რომლის სტუმრობასა და თამადობას ბევრი ოჯხი ინატრებდა, რადგანაც მისი ჭეშმარიტად ნათქვამი ქართული სიტყვა ყოველ ადამიანს ხიბლავს, მალამოდ ეფინება და აღაფრთოვანებს, სუფრას კი აკადემიად წარმოაჩენს.*

*ტყუილად არ უთქვამთ — „მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამონახეო“. მართლაც შესანიშნავი მშობლები ჰყავდა ბატონ დავითს. მაყვალა მასწავლებელი, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში მოღვაწეობდა შილდის პირველ საშუალო სკოლაში და უამრავი ახალგაზრდა დააყენა ცხოვრების სწორ გზაზე. მამა, დიდი დავით ლაფაჩიშვილი, რაიონის აქტივში განსაკუთრებულად გამოირჩეოდა ინტელექტით, განათლებით და ამიტომაც მთელი ათეული წლების განმავლობაში იკავებდა გაზეთ „ყვარლის“ რედაქტორის და განათლების განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობას. მათ ოთხი შვილი, სამი ქალიშვილი და ვაჟიშვილი აღზარდეს სამაგალითო ქართულ ოჯახში, ხოლო მათი სწავლა-განათლებისა და საუკეთესო ქართული მენტალიტეტის ჩამოყალიბებისათვის არაფერი დაიშურეს. აი, ასეთ ოჯახში აღიზარდა ბევრისთვის სამაგალითო და საუკეთესო მეგობარი დავით ლაფაჩიშვილი.*

*წინასაიუბილეო დღეებში ბატონ დავითს ვესტუმრე და ვთხოვე რამდენიმე კითხვაზე გაეცა პასუხი.*

**— ბატონო დავით, თქვენ ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე მოღვაწეობა იმ დროს მოგიწიათ, როცა საქართველოს მთლიანი ბიუჯეტი ერთ მილიარდსაც არ ითვლიდა და პენსია 15 ლარი იყო, როგორ შეფასებას მისცემდით დღევანდელ და მაშინდელ ვითარებას?**

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ აქ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა ჩემი ამ თანამდებობაზე დანიშვნის დროს სულ რაღაც ოთხ წელიწადს ითვლიდა. სერიოზული ხარვეზები იყო ქვეყნის საკანონმდებლო ბაზაში. თანხების მოძრაობაც სათანადო კონტროლს იყო მოკლებული, რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტი ბევრს კარგავდა. ამას ჰქონდა როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები. შემდგომ წლებში საკანონმდებლო საქმიანობის სრულყოფის კვალდაკვალ იმატა შემოსავლებმაც ბიუჯეტში და 2002 წლისთვის, ანუ იმ დროს, როცა მე ამ თანამდებობიდან საკუთარი გადაწყვეტილებით წამოვედი, ქვეყნის ბიუჯეტი უკვე 3 მილიარდს აჭარბებდა. თუმცა, რასაკვირველია, ეს საკმარისი არ იყო.

დღეისათვის მდგომარეობა კარდინალურად შეცვლილია. დახვეწილია და მოწესრიგდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებმა მნიშვნელოვნად იმატა, აღარ არის საჭირო რაიონის გამგებლის ერთიანი საპენსიო ფონდის ხელმძღვანელობასთან ან მთავრობაში ამ საკითხზე განუწყვეტელი სიარული და ხშირად ღია კარების მტვრევა. გულწრფელად მიხარია, რომ დღეს რაიონის ხელმძღვანელს დრო ამ განუწყვეტელ სიარულში არ ეკარგება და შეუძლია ბევრ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხზე მოახდინოს ყურადღების კონცენტრაცია.

ასევე ჭირდა ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ მოხელეთა ხელფასების გაცემა. ერთი შემიძლია გითხრათ, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებით განათლების და კულტურის დარგის მუშაკებთან პირნათელი ვიყავით, მაგრამ ტრანსფერი, რომელიც ფინანსთა სამინისტროდან გვერიცხებოდა, ხშირად აგვიანებდა ან მოდიოდა მცირე ოდენობით და ამის გამო იქმნებოდა ვაკუუმი ხელფასების გაცემაში.

როგორც აღვნიშნე, დღეს ქვეყნის ბიუჯეტს მეტი შესაძლებლობები აქვს როგორც სახელფასო, ასევე საპენსიო უზრუნველყოფის თვალსაზრისით. გაცილებით დიდია სოციალური და კულტურული ინფრასტრუქტურის შესაქმნელად და განსავითარებლად სახელმწიფო დაფინანსების მასშტაბები.

**— თქვენს პერიოდში გამგებლის ძირითადი მოვალეობა ბიუჯეტის ყოველდღიური კონტროლი იყო, მუშაობის შეფასებაც ამით განისაზღვრებოდა, სხვა მიმართულებით, ანუ სხვა დარგების მიმართ თუ იჩენდით ყურადღებას და რა გაკეთდა თქვენი საქმიანობის პერიოდში?**

— ამ კითხვაზე ნაწილობრივ პასუხი ზემოთ უკვე გავეცი. ჩემი დროის უდიდესი ლიმიტი მიჰქონდა სწორედ ბიუჯეტს და მის შევსებაზე მუშაობას, თუმცა მოკრძალებით შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენი ყურადღება არ შენელებულა არასოდეს რაიონის ცხოვრების არცერთი სტრატეგიული საკითხისადმი. მე ყოველთვის ამაყი ვიქნები იმით, რომ სწორედ ჩემი და ჩემი გუნდის მუშაობის პერიოდში დაიწყო და ძირითადად დამთავრდა სახელმწიფო ქონების საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადაყვანის პროცესი. სახელმწიფო საკუთრების განკერძოება ურთულესი პროცესია და საზოგადოების თვალში არაპროპორციულიც. იყო ბევრი მითქმა-მოთქმა, ჭორები, გაკილვა, მაგრამ დრომ შესანიშნავად გასცა პასუხი და დაანახა საზოგადოებას, რომ აქ არ ყოფილა მერკანტილური და პირადი ინტერესები. რაიონის გამგეობის მხრიდან ამ საკითხს სკურპულოზური სიფრთხილით და მაღალი სახელმწიფოებრივი შეგნებით წარვმართავდით.

იმ გარდამავალ პერიოდში რაიონში ფართოდ გავუღეთ კარები უცხოურ ინვესტიციებს, რის მაგალითად ქართულ-ფრანგული ერთობლივი საწარმოს „კასტელ-საქართველოს“ დაფუძნებაც იკმარებდა. შილდის ღვინის ქარხნის ბაზაზე ამ საწარმოს შექმნამ საშუალება მოგვცა პირველსავე წელს ჭიკაანის და შილდის ღვინის ქარხნებში, ხანგრძლივი „შესვენების“ შემდეგ, მიგვეღო 12000 ტონაზე მეტი ყურძენი. ცნობისათვის ამ წელს სულ ქვეყანაში 32000 ტონამდე ყურძენი იქნა დამზადებული და ამის მესამედზე მეტი მხოლოდ ყვარლის რაიონში დავამზადეთ. ეს კი რასაკვირველია ადგილობრივი ბიუჯეტის შევსების კარგი წყარო იყო შემდგომ წლებში.



ასეთივე უცხოური ინვესტიციით დაფუძნდა ყვარელში ქართულ-იტალიური საწარმო — „კვარპელი, რომელიც ადგილობრივი ცხვრის ტყავის შესყიდვით და მისი გადამუშავებით იქნა დაკავებული. ნიშანდობლივია, რომ ამ საწარმოს გახსნას ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტი ბატ. ედუარდ შევარდნაძეც დაესწრო.

ადგილობრივი შემოსავლების ზრდის კვალდაკვალ ვახერხებდით რაიონის განათლების და კულტურის დარგის ობიექტების ინტენსიურ საშემკეთებლო და კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს, ქ. ყვარელსა და სოფლებში წყალადენის სისტემების რეაბილიტაციას, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.

სიამაყით ვიხსენებ, რომ ვენახების მასობრივი აჩეხვის პირობებში, სახაზინო საწარმო ჭიკაანის ბაზაზე შევქმენით სანამყენე მეურნეობა. პირველსავე წელს გამოყვანილი იქნა ნახევარ მილიონამდე ნერგი. ეს იყო პირველი მერცხალი იმ მძიმე წლებში, რამაც ტონუსი მისცა რაიონში ახალი ზვრების გაშენებას.

ქიმძმარაულის ქარხნის რეორგანიზაციის შედეგად უზრუნველყოფილ იქნა ამ საწარმოში მაღალი წარმადობის ღვინის ჩამოსასხმელი ხაზის დამონტაჟება და ექსპლოატაციაში გაშვება. ეს იმ დროისათვის სრულიად ახალი სიტყვა იყო რაიონის მეღვინეობაში.

შევძელით მდინარე დურუჯის ხეობის სელური ჩამონატანისგან წმენდის კაპიტალური სამუშაოების დაწყება. ამ საქმისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მივიღეთ პირველი ტრანში — 300.000 ლარის ოდენობით.

რაიონში ამ პერიოდში აშენდა ორი ჰიდროელექტროსადგური — ერთი მდინარე ინწობაზე, მეორე ყვარლის ზღვაზე, დამთავრდა მდინარე ჩელთზე ჰიდროელექტროსადგურის საპროექტო სამუშაოები.

სოფ. გრემში მოზიდული ინვესტიციებით აშენდა სრულიად ახალი, ევროპული სტანდარტების მქონე ღვინის ქარხანა უნიკალური ჩამოსასხმელი ხაზით. დახმარება გავუწიეთ და სოფ. სანავარდოში მოკლე ვადებში აშენდა ღვინის მიკროქარხანა და რომელი ერთი ჩამოვთვალო.

**— დამეთანხმებით, მუშაობას აძნელებდა უდენობა და უშუქობაც, როგორ მოახერხეთ, რომ ყვარლის რაიონის მოსახლეობას მეზობელი რაიონების მოსახლეობასთან შედარებით ამ მხრივ მნიშვნელოვანი შეღავათი გააჩნდა.**

— ჩემი და ჩემი გუნდის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დავისახეთ მიზნად რაიონის საკუთარი ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი. მითუმეტეს, რომ ჩვენი ჰიდრორესურსები ამის რეალურ შესაძლებლობას იძლეოდა. და მართლაც, შევძელით, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, წლობით შეჩერებული ინწობჰესის მშენებლობის ოპტიმალურ ვადაში დამთავრება და ყვარლის ზღვაზე სრულიად ახალი ჰიდროელექტროსადგურის აშენება. თუ რამდენ წინააღმდეგობას ვაწყდებოდით ამ პროცესში სხვადასხვა უწყებების მხრიდან, რამდენი სუბიექტური და ობიექტური პრობლემა იყო გადასალახავი, შესანიშნავად ახსოვს ბატონ თამაზ კონჭოშვილს, რომლის წვლილიც ამ საქმეში ძალიან დიდია.

ამ ორი ელექტროსადგურის ამუშავებით მართალია მთლიანად ვერ ვხსნიდით რაიონის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის პრობლემას, მაგრამ გრაფიკით შესაძლებელი გახდა რაიონის განათება. ამასთან, როგორც ზემოთაც გითხარით, ინტენსიურად დავიწყეთ მუშაობა ჩელთის ელექტროსადგურის პროექტირების და მშენებლობის დასაწყებად. მდ. ჩელთზე ჰიდროელექტროსადგურის დაპროექტება ჯერ კიდევ ჩემი ტექნიკურ უნუვერსიტეტში მუშაობის დროს დაიწყო და ამავე უნივერსიტეტის პროფესორ ბადური ჭუნაშვილთან ერთად შევძელით მისი დასრულება. მეამაყება, რომ დღეს მდ. ჩელთზე ჰიდროელექტროსადგური მუშაობს, რომლის „ფესვებთან“ ვიდექი მეც.

**— კარგად მახსოვს თქვენი გამგებლობის პერიოდში საქართველოს პარლამენტართა სტუმრობა ყვარელში და ლონისძიების შემდგომ თქვენი თამადობა მათთან, ისინი გაოცებულნი და აღფრთოვანებული ისმენდნენ თქვენს მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოებს, სინანულით იძახდნენ — „ასეთი ტალანტი ცოდოა ყვარელში იმყოფებოდესო“. სამწუხაროდ პოლიტიკურ საქმიანობას ერთბაშად ჩამოსცილდით და სხვა სფეროში გადაინაცვლეთ. რამ განაპირობა ასეთი გადაწყვეტილების მიღება?**

— ტალანტზე რა მოგახსენოთ, ალბათ გადაუჭარბებიათ, მაგრამ მშობლიურ რაიონში მოღვაწეობა, მშობლიური რაიონის სიხარულით და პრობლემებით ცხოვრება, უაღრესად დიდი საქმეა და მე ამით ძალიან ბედნიერი ვარ. დღესაც პოლიტიკიდან წასული, კვლავ ჩემს რაიონში ვტრიალებ და ჩემის აზრით ქართველი კაცისთვის და უკვე პაპისთვის ყველაზე საამაყო საქმით — ვენახის მოვლით ვარ დაკავებული. თქვენი შეკითხვის პასუხად დიდი ილიას სიტყვებსაც მოვიშველიებდი — ხსნა ყველგან არის, ხოლო გზა ხსნისა, მე ასეთი მერგო!

**— მაინც რატომ აირჩიეთ ვაზი და ვენახი?**

— კითხვაზე კითხვითვე გიპასუხებთ: იქნებ გამცეს ვინმემ პასუხი იმაზე, თუ რატომ შემოვიდა ქრისტიანობის საქადაგებლად მე-4 საუკუნეში კაპადოკიელი ქალწული ნინო ვაზის ჯვრით ხელში. მე ვფიქრობ, რომ ეს ნაბიჯი ქრისტიანულ რწმენაზე მოსაქცევად ქვეყანაში, სადაც ვაზის კულტი დასაბამიდან არსებობს, დიდი დატვირთვის მატარებელი იყო და სწორედ ვაზის ჯვარმა ითამაშა უდიდესი როლი ამ პროგრესული იდეოლოგიის დასამკვიდრებლად. ვაზი ხომ ქართველი კაცის ცხოვრებაა, ქართველი კაცის სულშია ჩებეჭდილი.

ალბათ, ამის მერე, ჩემი გადაწყვეტილება არავის ჩემს ახირებად, ან უცნაურად აღარ მოეჩვენება.

**— რით განსხვავდება მევენახისა და პოლიტიკოსის საქმიანობა?**

— იქნებ ასე დაგვესვა კითხვა — რით ჰგავს მევენახის და პოლიტიკოსის საქმიანობა ერთმანეთს? მაშინ პასუხიც სახეზეა. ერთიც და მეორეც მართლები უნდა იყვნენ თავისი სიყვარულის ობიექტის წინაშე. ნახევარი სიმართლე ანუ სანახევროდ გაწეული შრომა ვაზზე, ხატოვნად რომ ვთქვათ, დაყვედრებაა ვაზისადმი და ნახევარი სიმართლე პოლიტიკოსისა ღალატია საზოგადოებისა. ერთიც და მეორეც მთელი არსებით თუ არ ჩაება თავისი სიყვარულის ობიექტისადმი სამსახურში, არაფერი გამოვა ხელიდან. ვაზი უკან წავა. ხოლო საზოგადოებისათვის ინტერესს ჰკარგავს ასეთი პოლიტიკოსი.

**— როგორ შეაფასებდით წლევანდელი არჩევნების შედეგებს და საერთო პოლიტიკურ ვითარებას?**

— წლევანდელი არჩევნები გაცილებით უფრო დემოკრატიულად ჩატარდა, ვიდრე ყველა სხვა, აქამდე. არ ყოფილა ხელისუფლების მხრიდან ძალისმიერი ჩარევა და დიქტატის ატმოსფერო. ეს უკვე ძალიან კარგია. დღეს ქვეყანას აშკარად ლიბერალური ხელისუფლება ჰყავს ყველა თავის წინამორბედთან შედარებით. „ქართულმა ოცნებამ“ შესძლო ხალხში შიშის სინდრომის დაძლევა და შედეგად მოქალაქეთა თავისუფლების ხარისხი გაცილებით მაღალია. ეს რასაკვირველია ძალიან კარგია და საპარლამენტო უმრავლესობა ამ მონაპოვარს აუცილებლად უნდა გაუფრთხილდეს.

**— წლევანდელი შემოდგომით თუ ხართ კმაყოფილი და მაინც მევენახეობის განვითარებას რა პრობლემები უშლიან ხელს?**

— ზემოთ მე გითხარით, რომ ვაზს როგორც მოეპყრობი, სწორედ ისე დაგიფასებს. ალბათ რაც გავიღე, იმის ტოლფასი დამიბრუნა ვაზმა. მევენახის კმაყოფილება მის მიერ გაცემულის ადექვატურია ყოველთვის. რაც შეეხება დარგის განვითარებას და აქ არსებულ პრობლემებს, უნდა გითხრათ გულისტკივილით, რომ განსაკუთრებით წლევანდელ წელს იჩინა თავი შხამქიმიკატების უვარგისობამ. ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებს ამ საქმეში დიდი სამუშაო აქვთ ჩასატარებელი.

რაც შეეხება საკითხს ყურძენზე სუბსიდირების შესახებ, მე ვფიქრობ სახელმწიფოს მხრიდან უახლოესი რამოდენიმე წლის განმავლობაში კვლავაც უნდა გაგრძელდეს, რადგანაც, როგოც ჩანს, ღვინის გასაღების და სათანადო ბაზრის მოძიების პრობლემები ყურძნის გადამამუშავებელ საწარმოებს ჯერ კიდევ აქვთ. ყურძნის მომყვანი არ შეიძლება უსასოო მდგომარეობაში ჩავაგდოთ.

**— 8 ნოემბერს საქართველოს უგვირგვინო მეფის, წმინდა ილია მართლის იუბილე აღინიშნება ყვარელში — როგორ ასოცირდება თქვენში ილია და ილიაობა.**

— 8 ნოემბერი არა მხოლოდ ყვარლის, არამედ მთელი საქართველოს დღეობაა. ილია ხომ ქართველი კაცისთვის სიწმინდის და ღირსების ერთობლიობაა. მისი აჩრდილი კვლავაც საქართველოსთან ერთადაა. ყვარელს ჯერ კიდევ ატყვია ილიას ნაკვალევი და ყვარლის სიმაღლიდან სხვანაირად ჩანს საქართველო.

რაც შეეხება ჩემს პირად დამოკიდებულებას ილიას ფენომენისადმი, ასე გიპასუხებდით: არის რაღაც საშინელი იმ გარემოებაში, რომ ათასების ტკივილი ერთმა უნდა გადაიტანოს, ათასების მაგიერ ერთია მლოცველი და ჯვარზე გამსვლელი. ასეთი იყო მოსე, ასეთი იყო ბუდა, ასეთი იყო ქრისტე და ქრისტიანული სარწმუნოება. ასეთი იყო საქართველოში ილია ჭავჭავაძე. მე ვფიქრობ ამით ყველაფერი გითხარით.

**— თქვენი გამგებლად მუშაობის პერიოდში გრანდიოზული „ილიაობა“ გაიმართა ყვარელში, რომელსაც მაშინდელი საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და საქართველოს მთავრობა ესწრებოდა, ასეთი რანგის სტუმრები ილიას იუბილეზე არასოდეს ყოფილან, ეს თქვენს მოხერხებულობაზე და მიზანსწრაფულობაზე მეტყველებს, მაინც როგორ შეძელით?**

— მე არ ვიცი ამას მოხერხებულობას დავარქმევთ თუ არა, მაგრამ მიზანსწრაფვა ამისი უთუოდ მქონდა. ნებისმიერ უწყებაში თუ ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ჩემი მისვლის თუ სამთავრობო შეხვედრებზე სიტყვით გამოსვლის ჟამს ყოველთვის ცალსახად ვუსვამდი ხაზს, რომ ყვარელმა და სწორედ ყვარელმა ქვეყანას თავისი უდიდესი შვილი მისცა და ყვარელს დღეს სხვანაირი თანადგომა სჭირდება. ჩემი ყვარლელობით ჭეშმარიტად ვამაყობდი ყოველთვის. ასევეა დღესაც. საქართველოში ილიას პოპულარიზაცია არ სჭირდება, რადგანაც ილია თვითონვეა საქართველო და განა ეს ყველაფერი საკმარისი არ იყო იმისათვის, რომ ქვეყნის ხელისუფალთ ილიას იუბილეზე ჩამოსვლით უპირველესად ყოვლისა ყვარლისთვის, როგორც ილიას ნააკვნარისთვის მიეგოთ სათანადო პატივი? მახსოვს ილიას მუზეუმში საპატიო სტუმართა წიგნში ქვეყნის პრეზიდენტის ეს ჩანაწერებიც: „ქედს ვიხრი ქართველთა ყველა თაობის ყველაზე დიდი მასწავლებლის — ილია ჭავჭავაძის ხსოვნის წინაშე. ღმერთმა შემაძლებინოს, ილიას სანუკვარი ოცნება საქართველოს ერთიანობისა და თავისუფლებისა, რეალობად მექციოს“.

**— დიდი წინაპრის ნაანდერძევიდან, რომლის ასრულებას უსურვებდით საქართველოსა და ქართველ ხალხს?**

— ილია, მოხევე ლელთღუნიას პირით, დღესაც ჩაგვძახის ხმამაღლა: „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო!“ — აბა მეტი რა გითხრათ...

უპრიანი იქნება თქვენი შესანიშნავი ლექსებით დავამთავროთ ჩვენი საუბარი, რომელიც საიუბილეო გაზეთს გაგვილამაზებს.

გაგრძელება მე-4 გვ. -ზე

# რედაქციის არქივიდან

## შეხვედრა წარსულთან — კოლორიტი ადამიანების მოღვაწეობა არ უნდა დავივიწყოთ



კაცისა არ იყოს, ზოგჯერ ლექსსაც აქვს თავისი ბედი... ეს ლექსი 1956 წელს დაიწერა, ერთ-ერთ თავყრილობაზე ლექსის წაკითხვა მთხოვეს. სათაურის გამოცხადებისთანავე აუდიტორია დაიძაბა — იმ დროს საქართველოზე ფიქრიც ხომ ტაბუდადებული იყო. გაზეთ „ყვარლის“ რედაქტორმა, დავით ლაფაჩიშვილმა, ხელნაწერი სცენაზევე გამომართვა და მეორე დღეს დაბეჭდა, რამდენიმე დღეში მოხსნეს... შევწუხდი, ჩემს გამო ხომ უბრალო კაცი დაისაჯა... მას შემდეგ არასოდეს არ დაბეჭდილა, კრებულის შედგენისას ყოველთვის სუსტი ლექსების კალათაში ხვდებოდა... ხალხმა კი სწორედ ეს გამოარჩია და დაიმახსოვრა, მრავალჯერ უთხოვიათ მისი გადაწერა, დღესაც მკითხველების თხოვნით იბეჭდება... მესამედი საუკუნის შემდეგ მეორედ დაიბადა ეს ლექსი...

1989 წლის 14 აპრილი გაზეთი „ყვარელი“.

**ფიქრები საქართველოზე**

**მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა,**
**მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული!**
**ი.ჭავჭავაძე**

მამულო, შენზე ფიქრმა გული მეც ამიძგერა,
გრძნობას ლაგამი შევხსენ და წამოვიწყე მღერა.
ეგებ აკლია მართლაც ჩემს სტრიქონს ლაღი წერა.
ვიცი, ფრთიანი სიტყვა მოიმშვილება ძნელად.
მაინც ნუ მეტყვი აუგს, გამატანინე ლელო,
მეც მსურს სიმღერით გითხრა: მიყვარხარ, საქართველოვ!
ლაღი ქართველი ხალხი, — ზღვები, ზვრები და მთები,
აი ვისთანა ვხარობ, აი ვისთვისა ვდნები...
ხარობს სამშობლო! — ვხარობ... თუ წუხს, მეც ვისევდები...
არ მაქვს, არც მინდა მქონდეს, მე საკუთარი ბედი...
ურდო მოსდევდა ურდოს... წინაპართ მაინც გასძლეს...
კრძალვით დავდივარ, მაგრამ ფეხს ვერ ვაცილებ მათ ძვლებს.
ძვლებით ნაპოხი მიწა, სისხლით ნარწყავი მიწა,
ოფლით ნარეცხი მიწა, ჩვენი ქართული მიწა.
ათასჯერ გადითელა, ათასჯერ გადაიწვა...
სამასი არაგველი მკერდმილეწილი მიწვა,
განა სამასი მარტო? ახლა სად ჩამოვთვალო,
ყველა თეფაზე ლეწეს თოთო ბავშვების კალო.
ხე ცხოვრებისა თითქოს ამოიგლიჯა, გახმა,
ავბედობისგან გვიხსნა სვებედნიერმა ხალხმა
მიწაში ფესვი ჩარჩა, კერაში ნაპერწკალი,
ფესვიდან ჭალა გაჩნდა, ნაპერწკალიდან ალი.
ვცხოვრობთ უზადო გულით, გვაქვს ოცნებები წმინდა,
ყოველი ხალხი გვიყვარს, ჩვენც სიყვარული გვინდა,
მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, როცა აღარ ისვენებს მტერი
ათასჯერ იცვლის პერანგს, გველადვე რჩება გველი.
როდის უვლია ქართველს უსამშობლოოდ, ეულს,
მუდამ სჭედავდა მახვილს, მტრის ძვლებზე გადამსხვრეულს,
„მუმლი და მუხასაო“! — მღეროდა ჩვენი ერი,
„მუმლი და მუხასაო“ — ახლაც ამაყად ვმღერით.
„მუმლი და მუხასაო“ — ეს იყო საქართველო!
მუხავ, გაიდგი ფესვი, იმრავლოს შენმა ღერომ,
მუხავ, გაშალე მხრები რომ თვით ცაც შეაჯერო,
დაე, შენ შეგეფაროს ყველა დაღლილი წერო,
ყველა გამვლელმა მგზავრმა, ტრფობით ლექსები წეროს,
ჩაქვით ემთხვიონ ედემს, თქვან შენი სადღეგრძელო!
ოღონდ მუმლი და კოლო მოსცილდეს საქართველოს!

**ილო ბეროშვილი**

## საქართველოში ილიას პოპულარიზაცია არ სჭირდება, რადგანაც ილია თვითონვეა საქართველო...

დასაწყისი მე-3 გვ.-ზე

**სადღეგრძელო**

გაზაფხულივით აფეთქდება ხანდახან გრძნობა,
შლეგიანივით მიმოიქნევს ლაგამს, არტახებს.
და ბობოქარი ამ დროს სული ერთთავად ეძებს
ღვინოს, საზანდარს, ამღერებულ ბუკს და დაფდაფებს.

შეავსეთ თასი! გული ბუდეს დატოვებს სანამ,
დაასხით ჩქარა! ამ ჩემს გრძნობებს ფრენა სწყურიათ,
მრავალჟამიერ, ბერიკაცო, მაგ შნოს და ლაზათს
ოჰ, ეს რა ღვინო, ძველ მარანში, დაგიწურია!

შეავსეთ თასი! ეს ფიქრები თავზე ევლება
გრემსა და ნეკრესს, მცხეთას, გარეჯს, იყალთოს,, ზარზმას...
ეს გაუმარჯოს ბერ თევდორეს, საბას და ცოტნეს,
სამას არაგველს, მარაბდაზე დაცემულ ცხრა ძმას.

ლოთი არა ვარ, მაგრამ სული თავისას ითხოვს,
ღვინის მადლს ვფიცავ, შენთანა ვარ მე ალავერდი,
ეს იმ მარჯვენას გაუმარჯოს, რამაც აზიდა
გელათი, ოშკი, ნიკორწმინდა და ალავერდი.

ალაზანს, არაგვს, მტკვარს და რიონს ქვაზე ნაჯახებთ,
ამ სადღეგრძელოს გწამდეთ, ფარავს მადლი სიონის,
ეს გაუმარჯოს ვაჟას წიფელს ფიქრებმორეულს
და ნაოცნებარს თმაჭაღარა კავკასიონის.

ილიას აჩრდილს, ამირანის ფიქრებს დარდიანს,
გლეხკაცს და ლაზას ერთად გამტანს მიწის ხნულისა,
ბარათაშვილის ფაფარაშლილ მერანის ქროლვას
და ერის სინდისს — „გალობანი სინანულისა“.

თამარის კდემას, ქეთევანის სულს გაუტეხელს,
ვაზის ჯვრით ხელში ნინოსეულ რწმენას საოცარს,
ეს გაუმარჯოს ფიროსმანის მოხატულ თბილისს
და წიგნს ნამზითვარს — რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“.

ნუ ამბობთ დათვრა, მე ამ ღვინით არა ვარ მთვრალი,
დამაბარბაცა ალბათ, ჰანგმა სალამურისა...
„ჩაკრულო“ მესმის, „მუმლი მუხას“, „შენ ხარ ვენახი“,
ოქროს ხელებით გამოთლილი ხმა ფანდურისა.

* * *

რამ დაიტია, როგორ ატარე
ღვარძლი ამდენი, შური ამდენი?
პირველად მაშინ გაეცი თავი
როცა კაენმა მოკლა აბელი.

ბოლმამ დაგჯაბნა, ვერ შეეგუე
ძველი მსოფლიოს გონს და მეისარს...
„ნუთუ შენც ბრუტუს“? — ტოგა ასწია
და აღარ უთქვამს სიტყვა კეისარს.

შენს წყლულს მალამოდ გადაეფარა
და გაგინათა გზები უვალი...
„მე ილია ვარ“ თუმც ცხელი ტყვიით,
მოვკალით დიდი ჭირისუფალი.

სხვას რაღად ვამბობ, ოცდაათ ვერცხლად
გოლგოთას წმინდა სისხლი აწვიმე,
შენს დასახსნელად მოსული ქრისტე
ჯვარზე გააკარ, ტანჯე გაწირე...

შენი ცხოვრება მუდმივ ჭიდილს ჰგავს,
ვით შავბნელ ღამეს ებრძვის ნათელი
ჰკლავ, ანგრევ, იბრძვი, ისევ გმირს ითხოვ,
და თვით გამოგაქვს მისთვის სასჯელი.

უფალი ითმენს, უფალი იცდის,
აივსო ცოდვით მიწიდან ცამდე...
წერტილი ღალატს, წერტილი სიკვდილს,
გიყვარდეს, გწამდეს!

* * *

კბილებს ილესავდნენ უცხო ტომელები —
არაბნი, სელჩუკნი და ურდო მონღოლთა...
და იყო დიდგორიც — ძლევაი საკვირველი,
მარაბდაც, უიღბლო გმირობის გოლგოთა.

ყველაფრის მნგრეველი მოჰქროდა ტაიფუნი
უბელო ცხენების ველური ჭენებით,
ვენახს გიჩეხავდნენ, ტაძრებს გილეწავდნენ,
გულში ლახვარს გცემდნენ სისხლიან ხელებით.

მაგრამ თქმულა ოდით, ჩემო სანატრელო,
სიცოცხლის საფანელი მომავლის იმედია,
მრავალჯერ წაქცეულს არ გტოვებს უფალი,
ღვთისმშობლის წილხვედრი — იცოცხლებს ივერია!

აღსდექი ლაზარე! მოსულა დრო-ჟამი,
ველარ დაგაჩოქებს ვერცერთი იმპერია!
ცოტნე გაგიზრდია, დემეტრე, თევდორე,
ალგეთში ლეკვები ისევ იზრდებიან...

მუმლი მუხასაო, მღეროდა ჩემი ერი!
დღესაც ქართველები ამაყად იმღერიან;
და როგორც ლუხუმი, ლაშარის გორაზე,
რისხვად შემართულა ჩემი ივერია.

# ილია ჭავჭავაძე – (1837 – 1907წ)

## ყვარელი. ბავშვობა და სიყმაწვილე

დასაწყისი მე-2 გვ.-ზე

**„ივერია“ პირველი პერიოდი**
**1877-1885**

ილია და „ივერია“ ყოველი ქართველის ცნობიერებაში ერთმანეთისაგან სამუდამოდ განუყოფელი ცნებებია. გაზეთის პირველი ნომერი დაიბეჭდა 1877 წლის 3 მარტს. ყოველკვირეული გაზეთის სახით.

1879 წლიდან „ივერია“ გადაკეთდა ყოველთვიურ ჟურნალად, რის ნებართვაც ილიასთვის კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობის უფროსს გენერალ-ლეიტენანტ დიმიტრი სტაროსელსკის მიუცია.

1880 წლიდან „ივერია“ გადაკეთდა სამთვიურ ორგანოდ.

1881 წლიდან „ივერია“ კვლავ ყოველთვიურ ჟურნალად გადაკეთდა და ასე გამოდიოდა 1885 წლის ჩათვლით.

ორიგინალურ მხატვრულ შემოქმედებასთან ერთად ამ პერიოდში ილიამ ქართული ლიტერატურა გაამდიდრა, როგორც მხატვრული, ისე მეცნიერული ძეგლების თარგმანებითაც. აგრეთვე მრავალფეროვანია მისი პუბლიცისტიკა.

ფასდაუდებელია ის ამაგი, რომელიც ამ პერიოდში (1877-1885) ილია ჭავჭავაძემ დასდო ქართულ სკოლას, საერთოდ ქართულ სწავლა-აღზრდისა და განათლების საქმეს და, რაც მთავარია, სკოლაში ქართული ენის უფლებათა დაცვას.

ამავე პერიოდში დღის წესრიგში დგება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსების საკითხი.

წესდების პროექტზე 1878 წლის 30 იანვარს ხელი მოუწერია 126 დამფუძნებელ წევრს, ხოლო დ.ყიფიანს, ბ. ღოღობერიძეს და ი. ჭავჭავაძეს დასამტკიცებლად მთავრობისთვის წარუდგენიათ 1878 წლის 20 ივნისს, რომელიც ზოგიერთი ცვლილების შემდეგ დაუმტკიცებიათ 1879 წლის 31 მარტს, რის შესახებაც ოფიციალური ცნობა 1879 წლის 14 აპრილს მიიღო დამფუძნებელ წევრთა რწმუნებულმა დ. ყიფიანმა თბილისის გუბერნატორისგან.

საყოველთაოდ ცნობილია ილია ჭავჭავაძის ამაგი, რომელიც მან ქართველ მოღვაწეებთან ერთად დასდო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიას და მისი შენობის აგებას, რომელიც შემდეგში გახდა აკვანი თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისა.

**„ივერია“ – მეორე პერიოდი**
**1886-1901**

1885 წლის 16 სექტემბერს, მთავრობის განკარგულებით, „მავნე“ მიმართულებისათვის სამუდამოდ აიკრძალა ეთადერთი ყოველდღიური გაზეთი „დროება“. ილია ჭავჭავაძე მაშინვე შეუდგა ყოველთვიურ ჟურნალ „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთების სამზადისს. ილიას დაუბეჭდავს მომავალი გაზეთის სარეკლამო ფურცელი: „ქართული ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ივერია“ გამოვა ჟურნალის სამაგიეროდ 1886 წლის I-ს იანვრიდამ ყოველდღე“

მართალია „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გამოსვლის პერიოდში ილიას შემოქმედებითი ძალა და ენერგია უმეტესად პუბლიცისტურ-ჟურნალისტურმა მუშაობამ და საზოგადო მოღვაწეობამ შთანთქა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ილიას დიდმა მხატვრულმა ტალანტმა ამ პერიოდშიც შექმნა რამდენიმე პირველხარისხოვანი პოეტური და პროზაული შედევრი, მათ შორის, ქართული პროზის შედევრი „ოთარაანთ ქვრივი“

საგურამოში, თავის მიერ გაშენებულ სახლ-კარში ჩაუყარა საფუძველი ილიამ შესანიშნავ ტრადიციას – ყოველ 20 ივლისს, წმ.ილიას სახელწოდების დღეს, იგი აქ მართავდა „ილიაობას“, რომელიც დროთა განმავლობაში ჭეშმარიტ ეროვნულ დღესასწაულად იქცა!

1897 წლის იანვარში შესრულდა ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლისთავი.

1891 წელს ილია ჭავჭავაძეს ჯანმრთელობის სერიოზული შერყევა გამოაჩნდა.

1900 წელს ილია სამკურნალოდ ევროპაში მიემგზავრება (გერმანია, ავსტრია).

**ივერიის გარეშე**
**1902-1907**

ევროპაში მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ ილია ერთ წელს კიდევ უძღვებოდა თავის გაზეთს, მაგრამ 1901 წლის 5 დეკემბრიდან რედაქტორობა ალექსანდრე სარაჯიშვილს გადასცა, თუმცა „ივერიის“ 1902 წლის №1-152 — ის გამომცემლად მაინც ილია დარჩა. ამის შემდეგ ილია უკვე საბოლოოდ ჩამოსცილდა „ივერიას“ და ერთხანს აქტიურ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც უფრო ნაკლებ ედგა კვალში.

1902 წლიდან ილია და ოლღა ჭავჭავაძეები ნიკოლოზის ქუჩაზე მდებარე საგნაშვილისეული სახლიდან საცხოვრებლად გადავიდნენ მაშინდელ ჯერ ვაგზლის ქუჩაზე და ცოტა ხნის შემდეგ ანდრიას ქუჩაზე.

1903 წელს ილია ჭავჭავაძე აფხაზეთში ჩადის. გაგრაში ახალი სასწავლებლის დაარსებაში მონაწილეობისთვის.

დადგა 1905 წელი.

ილია ამ დროს უკვე 68 წლის მოხუცი, ავადმყოფობით იყო გატეხილი.

ილია 1905 წელს გამოდის საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნით.

1906 წლს მარტში ილია ჩავიდა პეტერბურგში სრულიად რუსეთის თავადაზნაურობის საიმპერიო ყრილობაზე, როგორც საქართველოდან გაგზავნილი დელეგატი-ამომრჩეველი სახელმწიფო საბჭოსი.

1906 წლის აპრილში იგი არჩეული იქნა სახელმწიფო საბჭოს წევრად. სახელმწიფო საბჭოს პირველი სესია გაგრძელდა 1906 წლის 27 აპრილიდან 12 ივლისამდე. ივლისში ილია საქართველოში დაბრუნდა. აქ იგი თებერვლამდე დარჩა. თებერვალში ილია ისევ რუსეთს გაემგზავრა სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაზე. ივლისში ილია მეუღლით დაბრუნდა საქართველოში.

**ილიას მკვლელობა**

არტურ ლაისტი, რომელიც 1907 წლის 21 აგვისტომდე საგურამოში ილიასთან ერთად იყო, წერს: „დაღონებული იყო, ემდუროდა სხეულის სისუსტეს შევნიშნე ენერგიის სისუსტე და სიფიცხე, წინანდებურად არ ლაპარაკობდა, ღიმილი მის სახეზე არ შემიმჩნევია, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ილია სევდასა და მოწყენილობას შეუპყრია. პეტერბურგიდან ჩამოსვლის შემდეგ პოეტი თითქმის სულ საგურამოში იმყოფებოდა. 27 აგვისტოს საგურამოდან წამოსვლისას, დაუბარებია – დღესვე საღამოს დავბრუნდებიო. ამ დროს სოფელში დარჩენილა მოურავი ჯაში, რომელიც მკვლელობის გეგმას აზუსტებდა. იმ დღეს ჯაშმა ყველა ზომა მიიღო უკან დაბრუნებისას ილია მოეკლათ, მაგრამ სამშაბათს და ოთხშაბათს ილია არ დაბრუნებულა, მაგრამ მკვლელებმა შეიტყვეს, რომ ილია ხუთშაბათს, 30 აგვისტოს ბრუნდებოდა, ჯაშმა კი ყველა ზომა მიიღო მკვლელები ჩასაფრებულიყვნენ წიწამურის ტყეში, მზად დახვედროდნენ ეტლის გამოჩენას.

30 აგვისტოს, ხუთშაბათს დილის 10 საათზე ილია და მისი მეუღლე იმავე ეტლით, რომლითაც ლაისტთან ერთად სამი დღის წინ თბილისში ჩამოვიდნენ, საგურამოსკენ გაემგზავრნენ. დაახლოებით დღის პირველ საათზე ილია და მისი მეუღლე მისულან წიწამურის წყაროსთან, სადაც მოურავი ჯაში უნდა შეხვედროდათ. ჯაში კი განზრახ არ მისულა წყაროსთან, რომ მკვლელობაში უშუალოდ არ ჩარეულიყო. ილიას რამდენიმე წუთს მოუცდია, შემდეგ კი განაწყენებულს უბრძანებია თედო ლაბაურისთვის ეტლი დაეძრა. ლაბაური მოსყიდული იყო. იცოდა, რომ 15 – 20 წუთის შემდეგ ილიას მოჰკლავდნენ.

ილიას მკვლელობის დეტალები დღემდე კამათის საგანია. ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ილიას მკვლელობა ჩაფიქრებული ჰქონდათ სოციალ-დემოკრატებსა და ბოლშევიკებს, ილიას მიერ მათი რევოლუციური გზების დაგმობისა და ხალხში მისი უსაზღვრო პოპულარობის გამო. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ერთმა მოხუცმა კაცმა აღიარა, რომ რუსეთის ჟანდარმერიამ დაიქირავა ილიას მოსაკლავად. საბჭოთა პერიოდში ხელმძღვანელობამ მკვლელობის გამოძიება დაიწყო, რომელმაც მოგვიანებით დაასკვნა, რომ მეფის ხელისუფლების საიდუმლო პოლიცია და ადმინისტრაცია იყვნენ ჩარეული ილიას მკვლელობაში.

ილიას მკვლელობა ქართველმა ხალხმა ეროვნულ ტრაგედიად მიიჩნია. მის დაკრძალვაზე აკაკი წერეთელმა, რომელიც იმ პერიოდში ძლიერ ავადმყოფობდა, წარმოთქვა: „ილიას ფასდაუდებელი წვლილი ქართველი ერის აღორძინებაში მომავალი თაობებისთვის ნიმუშის მიმცემია“. ვაჟა-ფშაველა წერდა: „ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოს მოჰკლავდნენ“.

ათი დღე, 30 აგვისტოდან — 9 სექტემბრამდე, გლოვის ზარი გაისმოდა საქართველოში. ქართველმა ერმა თავისი მოწიწება და სიყვარული იმით გამოხატა, რომ ილიას ნეშტი თბილისის ერთ-ერთ უწმინდეს ადგილას – მთაწმინდაზე დაკრძალა. 1987 წელს საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ილია წმინდანად შერაცხა. სახელით წმინდა ილია მართალი.

# იონა მეუნარგია-ნანახი და გაგონილი ილიას ცხოვრებიდამ



როცა აკაკის, „კაცია ადამიანის"დამწერსაც მწერლობაშიც მარტო ილია რომ დაეძახოს მგონია არა წახდეს რა. თუ რუსულად ილია გრიგოლის-ძე ითქმის, ჩვენთვის მარტო ილია როგორღაც უფრო მოხერხებულია, უფრო ქართულია.

ილია იყო ღარიბი ოჯახის შვილი. იმ დროებში, როცა ის დაიბადა(1837წ.) ჭავჭავაძიანთ გვარში დოვლათიანი სახლი მარტო ერთი სახლი იყო, ალექსანდრე გარსევანის შვილის, საქართველოს მგოსნის, რომლის ოჯახისაგან გამოვიდნენ სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე, ნინო გრიბოედოვისა, თამარ ბატონიშვილისა- ერეკლეს მეუღლე, ბარონესა ნიკოლაი და სხვ. ამ დროებში „კნიაზიანთ" ოჯახს კახეთში მარტო ალექსანდრეს ოჯახს ეძახდნენ. სხვების სიმდიდრე მარტო პური და ღვინო იყო. ილიას მამა გრიგოლიც, შექსპირის თქმისა არ იყოს, მარტო სისხლით იყო მდიდარი და არა ქონებით. მეტ სახელად გრიგოლს თურმე პაჭუას ეძახდნენ. გრიგოლი ერთ დროს ოფიცრად მსახურობდა ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკში და რამდენათმე განათლებული კაცი იყო. დედამისი, სახელად მაგდანი, იყო სომხის ქალი, ბებურიშვილის ასული. საიდან არის სომეხი, შეიძლება გრიგორიანი იყო და იმიტომ ეძახდნენ. ბებურიშვილი სომეხი?

ნიადაგი და ატმოსფერა კარგი ჰქონდა მომავალს მგოსანს, რომ ამ პირობებში მას ჩანერგოდა გულში მამულის და ენის სიყვარული.

ილიას რუსეთშიაც განსხვავებულ დროს შეხვდა მისვლა, როგორც ჩვენს დროში შემდეგ იაპონიასთან წაგებულის ომისა, სულ ყველაფერი რყევაშია და მიისწრაფის ახლის სუკეთესო ცხოვრებისადმი, ის იმ დროს, შემდეგ ევროპის კოალიციისაგან დამარცხებისა, რუსეთი ახლის წესწყობილებისადმი მიისწრაფოდა. თავიდათავი მოთხოვნილება მაშინდელის საზოგადოების საუკეთესო ნაწილისა იყო გლეხთა განთავისუფლება.

უნივერსტეტი სათაურში უდგა იმ დროისათვის საჭირო რეფორმების შემოღების საქმეს და სწორედ მაშინ, როცა გლეხთა განთავისუფლების საქმე თავდებოდა, სტუდენტებმა არეულობა მოახდინეს.

ამ არეულობას მოყვა ილიას საქართველოში დაბრუნება.

რეფორმის წინა დროებში აქ ილიას ან რა ადგილის შოვნა შეეძლო თავის ცოდნისა და ჰაზრების საქმეში გამოსაყენებლად. ჟურნალ-გაზეთობა ამ დროს ჯერ საქმე არ იყო.

„ცისკარი" კი იბეჭდებოდა მაგრამ ჟურნალს მკითხველი არ ყავდა. დაბეჭდილ ნომრებს რედაქტორი თითონ უგზავნიდა გავლენიან, მწერლობის მოყვარე ნაცნობებს-გრიგოლ ორბელიანს, გიორგი მუხრან ბატონს, მიხეილ თუმანოვს, კოლხიდელს, და პლატონ იოსელიანს და მათი შემწეობით დიდი გაჭირვებით არსებობდა ის თვითონ, მისი მესტამბეები და მისი ჟურნალი. თანამშრომლებისათვის ფული არ მოეძეოდა რედაქტორს და არც იყო მოსალოდნელი ახლო მომავლში, რადგანაც საზოგადო ცხოვრების პირობები ასეთი იყო მაშინ საქართველოში. ქართული ვერსად უშველიდა.

სამშობლოში ჩამოსულ ილიას გზაზე სვეტი დაუხვდა, რომელზედაც ეწერა: მარჯვნივ წახვალ ჩინოვნიკი იქნები და მაძღარი, მარცხნივ წახვალ, მწერალი იქნები და მშიერი.

რომ მარჯვნივ წასვლა, ე. ი. შესაფერი ადგილის შოვნა არც ისე ადვილი იყო იმ დროს, ბუნებრივმა მიდრეკილებამ ილია წაიყვანა მარცხენა გზით. ილიამ ჯერ ცოტახანს „ცისკარში" ბეჭდა მისი ნაწერები და შემდეგ 1863 წელს საკუთარი ჟურნალი გამოსცა „საქართველოს მოამბე".

ამ ჟურნალში დაბეჭდა პირველად ილიამ „კაცია-ადამიანი", „გლახის ნაამბობი", „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან" და ბევრი სხვა ჩინებული ლექსები.

აქვე დაიბეჭდა ნაწერები ვიქტორ ჰიუგოსი, პრუდონისა, ბასტიასი, ბელინსკისა და სხვ.

ახალმა ჟურნალმა ახალი სიტყვა გააგონა ქართველ საზოგადოებას. ეს სიტყვა მით უფრო მნიშვნელოვანი იყო და დროზე ნათქვამი რომ საქართველოშიც მზადდებოდა ამ დროს გლეხთ განთავისუფლება-ორი წლის წინათ რუსეთში მომხდარი.

ახალი სიტყვა ძველებს არ მოეწონათ. რატომ?

და ასტყდა ძველსა და ახალს შორის კამათი, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ გამოიწვია ილიასა და გრიგოლ ორბელიანის ცნობილი პოლემიკა.

ძველ თაობას არ მოსწონდა არც ილიას ჟურნალი და არც ილიას სიტყვები. ამ დროს თავად-აზნაურთა ყრილობაზე, როგორც ქრისტეფორე მამაცოვი მოწმობს ერთს კრებაზე, საცა ილია ამტკიცებდა, რომ-გლეხები მიწიანად უნდა გავანთავისუფლოთო, ვიღაც თავადი იმას ხანჯლით მივარდა ისე, როგორც გაბრიელ ეპისკოპოსს დაუპირა მოკვლა ვიღაც კანდელაკმა ქუთაისში იმავე მიზეზის გამო.

„საქართველოს მოამბე" რომ გამოვიდა, ბატონიშვილს ერეკლეს წაეკითხა ჟურნალი და ეთქვა თავისიანებში: დემოკრატიული ჟურნალი არისო.

სასახლის კაცს, გიო სუმბათოვს, ამისათვის ყური მოეკრა, დაეხსომებია და როცა შემთხვევამ ნება მისცა, ეთქვა ილიასათვის:

— ილიავ, წავიკითხე შენი ჟურნალი და უნდა გითხრა, დემოკრატიჩესკი არის. — როგორ თუ დემოკრატიჩესკი? — ისე, დემოკრატიჩესკი. — მაშ რა გინდა იყოს? — არისტოკრატიჩესკი.

— ეს თუნდ ბატონიშვილს ერეკლეს ეთქმის, მაგრამ შენ რაო ჩემო? — ვითომ და რათაო?

— აბა რა გაქვს შენ არისტოკრატიჩესკი, აი თუ გინდა თავი (დიდი შნოს პატრონი არ იყო).

— თავი კი განზე იყოს, მაგრამ შენი ჟურნალი კი მაინც დემოკრატიჩესკი არის, განუმეორა სუმბათოვმა. „საქართველოს მოამბემ" ზემო თქმული მიზეზის გამო დიდხანს ვერ იცოცხლა. საშუალება რომ შემოაკლდა ილიამ „საქართველოს მოამბის" გამოცემას თავი ანება. მარცხენა გზით სიარულისაგან რომ არაფერი გამოუვიდა, ილია მარჯვნისაკენ გაემართა.

„ლიბერალობა ოქროს ჯაჭვზე გასცვალა".

1864 წლის დამლევს ილია გაგზავნეს იმერეთს, ქუთაისის გენერალ გუბერნატორის ცალკე მინდობილობათა მოხელედ, რომელმაც დაავალა მას გამოერკვია რა ურთიერთობა სუფევდა მემამულეთა და გლეხკაცთა შორის, ბატონ-ყმობისაგან წარმომდგარი.

როცა ბატონ-ყმობა მოისპო და საგლეხო დაწესებულებები დამკვიდრდა თბილისის გუბერნიაში (4 ნოემბერი 1864წ.), ილია დანიშნეს მომრიგებელ შუამავლად დუშეთის მაზრაში.

ამაზე უკეთესს ადგილს ილიასათვის კაცი ვერ კი წარმოიდგენდა. მომრიგებელი შუამავალი, კანონმდებლის აზრით, გლეხკაცის მამაა, მისი „მფარველი ანგელოზი" როგორც ამბობდნენ იმ დროებში, როცა თანამდებობა არსდებოდა. კანონი იმას სდებს იაროს სოფელ-სოფელ და ადგილზე გაარჩიოს ნაბატონევთა და გლეხთა შორი მომხდარი ცილობა. ის არის ობლის პატრონი, სოფლის მართვა-გამგეობის მეთვალყურე, მასწავლებელი და მოძღვარი გლეხკაცობისა. ილიაც სწორედ საამისოდ იყო დაგეშილი და მერე ის დაინიშნა მომრიგებელ შუამავლად არა სადმე სომხეთში, როგორც დღეს არის მაგალითად, გადავარდნილი, ილია ჭყონია, დუტუ მეგრელი, არამედ თავისიანებში, არაგვის პირად, მცხეთიდან ორ ნაბიჯზე, მთიულეთის ახლოს, მყინვარის კალთებზე, სადაც ის პოვნიდა ყოველგვარ მასალას, როგორც მგოსანი, ენის მოყვარე, მამულის ერთგული; მარტო მთიულეთი და მისი პოეზია რად ღირდა მგოსნისთვის და ილიას მისი ადგილი არა სხვა სახელმწიფო სამსახურზე არ უნდა გაეცვალა, მაგრამ არ ვიცი რა იყო მიზეზი, როცა ჩვენში შემოვიდა სასამართლოს რეფორმა (1868), ილიამ შუამავლობას თავი დაანება და ის დანიშნულ იქნა დუშეთის მომრიგებელ მოსამართლედ.

მომრიგებელ შუამავლად ყოფნის დროს ამბავი მე არა გამიგონია ილიასაგან. მხოლოდ, ერთხელ, როცა ჩინოვნიკების ქუდის კაკარდაზე ჩამოვარდა სადღაც ლაპარაკი, ილიამ მთიულების გულუბრყვილობის ნიმუშად გვიამბო, თქვენთან პატივი, ბატონებო და შემდეგი:

პოსრედნილად რომ ვიყავი, ერთხელ ანაზდეულად მომიხდა მთიულეთს მისვლა, საცა კვირა დღეს ხალხი მოგროვილიყო ერთს სოფლის სასამართლოში. რაღაც საქმის გამო მე მამასახლისს ვუბრძანე დაებარებია ერთი გლეხი, რომელიც შორი-ახლო იდგა იქიდამ. მამასახლისმა ბრძანება გზირს გადასცა. გზირი იქვე მიდგა განზე ,და რაც ძალი და ღონე გააჩნდა, ხმა-მაღლა დაუძახა დაბარებულს. დაბარებულმა დაბლიდამ იყო თუ მაღლიდამ ხმა მისცა გზირს და მათ შორის გაიმართა ამ გვარი მიძახილ-მოძახილი:

— გიბარებენ ჩქარა!

— ვინ მიბარებს?

— ჩინოვნიკი.

— ვინ ჩინოვნიკი?

— აი ქუდზე რომ ქათმის...რაღაცა აქვს ის გიბარებს.

ამის გამგონე ილია იტყოდა, ვითომ და ნაპოლეონის გენერალმა ვატერლოუს მინდვრიდამ სიტყვა რომ შეუთვალა ინგლისელებს რით იყო ამ სიტყვაზე უფრო გემრიელიო,.

მომრიგებელ მოსამართლეთ ყოფნის დროიდან მოგონება უფრო საინტერესოა.

თითონ ილიამ გვიამბო:

მოსამართლედ რომ ვიყავი ერთი გლეხი მიწას ედავებოდა ყაზბეგს.-ბატონო, მიწა ჩემია, თეიმურაზ მეფის დროსა მაქვს ნაყიდი, მოწმეცა მყავს და ახლა ყაზბეგი მართმევს, მიშველე, დამიფარეო შემომჩივლა გლეხმა. მე დავიბარე გლეხისაგან ნახსენები მოწმე.

— შენ მოწმე ხარ, რომ ესა და ეს მიწა ამ გლეხს აქვს ნაყიდი-თეიმურაზ მეფის დროს?-დიახ, შენი ჭირიმე, მოწმე ვარ, თუნდ დამაფიცეთ, ფრჩხილის საკვეთი ამილია.

თურმე ძველი ჩვეულება ყოფილა, როცა მიწას იყიდდა ვინმე, დამსწრე მოწმეს ფრჩხილს მოსჭრიდნენ. ამისათვის გასამრჯელოს აძლევდნენ იმას- და ეს მოწმე ვალდებული იყო უფროსი შვილისათვის ეამბა ამ ნაყიდობის ამბავი. შვილი შვილიშვილს გადასცემდა და ამგვარად ნასყიდობის ისტორია გადადიოდა მოდგმიდამ მოდგმაზე. თუ ვისმე შვილი არ ეყოლებოდა იმათთვის უნდა ეამბნა ვინც გვარში უფროსი იქნებოდა.

ილიას ეს ჩვეულება მეტად არ გაეგონა, ძლიერ მოეწონა და მოწმის ჩვენების თანახმად სადაო მიწა გლეხს მიუსაჯა.

ყაზბეგმა აპელაცია გადაიტანა, საცა სწერდა: მომრიგებელ მოსამართლემ მკვდრებიააყენა მიწიდამ და ჩვენება ჩამოართვაო, Мертвых допрашивает-ო.

ამაზე ილია იტყოდა: ბაბილონში აგურზე იპოვეს წარწერა ეს და ეს მამული ნასყიდია და ამ ნასყიდობის მოწმეა ეს-და ეს, რომლის ფრჩხილი ამ აგურში არისო. გატეხეს აგური და შიგ ფრჩხილი ნახესო.

მეორე მოგონებაც ილია მოსამართლისაგან განაგონი: ერთჯერ ილია, ერთი ძმის მაგიერ მეორე გაასამართლა და საპატიმროში ჩასვა.

ვიღაც ზაქარიას ბრალდებოდა ხეების მოპარვა. საქმის გარჩევის დროს მოსამართლემ ბრალდებულის გვარი მოიკითხა.

— მე გახლავარ ბატონო, წამოიძახა გლეხმა.

შენ წაილე ხეები?

დიახ ბატონო წავილე.

რაკი დანაშაული ეჭვს გარეშე იყო, იქვე განჩინება დავსწერე და ბრალდებული საპატიმროში გავაგზავნე. ჯერ კიდევ საპატიმროში ყოფნა არ გაეთავებინა დასჯილს, რომ ჩემთან მოვიდა მისი ძმა.

— შენ ვინ ხარ?

— ესა და ეს ზაქარია გახლავარ ბატონო.

— როგორ ზაქარია, ის ხომ ციხეში არის?

— არა შენი ჭირიმე, ციხეში ჩემი ძმა გავგზავნე, მე საქმეები მქონდა ქალაქში და არ მეცალაო, მიპასუხა გლეხ-კაცმა.

მომრიგებელ მოსამართლედ ილია დარჩა 6 თუ 7 წელი.

1874 წელს ილიამ სულ დაანება თავი სახელმწიფო სამსახურს და შეუდგა თბილისის საადგილმამულო ბანკის საქმეს. ამ წელს თბილისის თავად-აზნაურთა კრებამ ის აირჩია კომისიის წევრად, რომელსაც დაევალა ბანკის წესდების შედგენა და როცა ეს წესდება თავად-აზნაურობამ მოიწონა, ილიამ მათსავე მინდობილობით გაემგზავრა პეტერბურგს და იქ მისი მეცადინეობით ეს წესდება დამტკიცდა. შემდეგს 1875 წელს ამ წესდების თანახმად თბილისში გაიხსნა სადგილ-მამულო ბანკი და ილია არჩეულ იქნა ამ ბანკის გამგეობის თავჯდომარეთ.

ამის შემდეგ ილიას გაეხსნა ფართო ასპარეზი მოღვაწეობისა საქართველოს საქმეთა სასარგებლოდ. ამ დღიდამ მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში თბილისში ქართული საზოგადო საქმე ისეთი არა დაწყებულა რა, საცა ილია თავკაცად არ ყოფილიყოს, თავ-მრჩევლად, საქმის გადამწყვეტად. ვიდრე დიმიტრი ყიფიანი ცოცხალი იყო, ვიდრე გაბრიელ ეპისკოპოსი მეტყველებდა, ვიდრე გრიგოლ ორბელიანი ზემოდან დაყურებდა ახალთა თაობათა, ილია ჭავჭავაძეზე მაღლა კიდევ თუ იხსენებოდა სხვისი სახელი, მაგრამ მას შენდეგ რაკი ესენი მიიცვალნენ ილია დარჩა პირველ კაცად საქართველოში.

ამას იქით ილია არის: ილია ბანკირი, ილია რედაქტორი, ილია წერაკითხვის საზოგადოების თავმჯდომარე, ილია დრამატიული საზოგადოების თავჯდომარე, ილია სათავადაზნაურო სკოლების გამგეობის წევრი, თავჯდომარის ამხანაგი, ილია მწერალი, ილია მოლექსე, ილია წარმომადგენელი ქართულის მწერლობისა, მასპინძელი უცხოელთა სტუმარ-მწერალთა და სხვადასხვა.

მე აქ ილიას ცხოვრებას არა ვწერ, ილიას ცხოვრების მასალას ვაქუჩებ, რომელიც ან თვითონ ილიასაგან გამიგონია, ან მისთა თანამედროვეთაგან მსმენია, ან მე თვითონ ჩემის თვალით მინახავს და ამიტომ ჩემს ნანახს და განაგონს ილიას ცხოვრებიდან მე აქ მხოლოდ დაახლოებით ქრონოლოგიურად, მაგრამ მაინც უსისტემოდ ვსწერ. მე ხომ მეწვრილმანე ვარ ქართულის მწერლობისა და ჩემგან შეკრებილი წვრილმანებით მე თქვენ ილიას სურათი ზოგიერთ შემთხვევაში მაინც ნათლად დაგანახეთ, მე ჩემს ვალს ქართულს მწერლობაში მოხდილად მივიჩნევ.

მე გავიცანი ილია პირველად 1879 წელს.

ამ წლიდამ დაწყებული დღემდე მისი სიკვდილისა მე ილიას კეთილგანწყობილებას არ მოვკლებივარ. პირველ 4-5 წელს, როდესაც თბილისში ვცხოვრობდი, მე მასთან უფრო ხშირი მისვლა-მოსვლა მქონდა ჯერ როგორც წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრს და საქმის მწარმოებელს და შემდეგ როგორც გაზეთების თანამშრომელს.

სამწუხაროდ, იმ დროებიდამ ჩემ სამახსოვრო წიგნში არაფერი თითქმის არ ჩამიწერია ილიას ცხოვრებიდან, მაშინ ჯერ არ მქონდა განზრახული შემედგინა ჩვენი მწერლების ცხოვრების აღწერა და ბევრი რამ ილიას ცხოვრებიდამ, რასაც დღეს შეეძლო მისი ბიოგრაფიის გახალისება მე მიმავიწყდა. მხოლოდ შემდეგში, როცა მე მივყავი ხელი ორბელიანის, ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის და სხვათა ცხოვრების აღწერას, მე ყოველს შეყრაზე ილიას ვუყურებდი და ვუსმენდი, როგრც მსხვერპლს „მუშტრის თვალით" და როცა მისგან მოვდიოდი შინ, მის ნალაპარაკევს ვწერდი ჩემს სამახსოვრო წიგნში.

სულ ყველაფერი რასაც აქ მოვახსენებ მსმენელს, ან არის ამოღებული ჩემის სამახსოვრო წიგნიდამ, ან თითონ საკუთარის ჩემის მეხსიერებიდამ, და არაფერი არ ურევია აქ, რაც სხვის კალამს ეკუთვნოდეს, სხვისი ნაწერებიდამ იყოს ამოღებული.

გარნა არც კი ვიცი საიდამ დავიწყო წერა, რა რიგზე ამოვწერო სამახსოვრო წიგნიდამ, ნანახი და გაგონილი ილიას ცხოვრებიდამ.

მგონია ისევ ისა სჯობია თავიდამ დავიწყო, ათადამ-ბაბადამ, როგორც თითონ ილიას უყვარდა თქმა, ესე იგი შინ მივიდე მასთან და ჯერ შინაური კაცი დაგანახოთ.

ილია ჯერ იდგა ახალ, ბებუთოვის ქუჩაზე, სტაროსელსკის სახლის პირდაპირ. მერე ოთხმოციან წლების მეორე ნახევარში ის გადავიდა კუკიას, თავის დის ლიზა საგინოვის სახლში, ბოლოს დროს იმან იყიდა საკუთარი სახლი ანდრიას ქუჩაზე.

ილიას არ ჰქონდა ფართოდ გაშლილი სტუმრიანი სახლი. მასთან თქვენ ვერ შეხვდებოდით ქალაქის მაღალ საზოგადოებას, Велико-светская пвблика-ს. მისს სალონში თქვენ შეეყრებოდით მხოლოდ მწერლებს, არტისტებს, საზოგადო მოღვაწეთ, ქალთაგან მარტო ნათესავებს.

თუ რამე საღამო გაკეთდებოდა მასთან ან წვეულება იქნებოდა, მომსვლელები ამათ წრიდან იყო.

ილია იყო თავაზიანი კაცი, პურმარილიანი მომლხენი. მას პირადად და მის სუფრას, რომელსაც ქართული კერძი თავის დღეში არ განშორებია, მუდამ ქართველი მოსამსახურენი მსახურობდნენ. საქართველოს საუკეთესო კაცს და მამულის მოყვარეს, მუდამ სწავლული და მამულის მოყვარე მოსამსახურე ებედებოდა.

თვითონ ილიამ გვიამბო: ერეკლე ბატონიშვილს ვაჟი რომ დაებადა დილა ადრიანათ ჩემთან შემოიჭრა ბიჭი და ჩვენს შორის ამგვარი დიალოგი გაიმართა:

— მომილოცავს ბატონო!

— რა, ბიჭო?

— ბატონის რძალს ვაჟი ეყოლა ამ დილას.

1884-ს იყო თუ 85-ს, როცა ილია წამოვიდა სამეგრელოს,მთავრის ბიბლიოთეკის ჩასაბარებლიდ, ილია ისე გამხიარულდა, რომ ბანძას მექი ფალავასას და ჩემთან ცაიშში სულ „ფარინა", ფარინა" იმღერა და ფერხულით გული შეიჯერა.

ილია აუჩქარებელი კაცი იყო, დინჯი, მძიმე. აუჩქარებელი ხშირად ნიშნავს ზარმაცს და ეს თვისება- ზარმაცობა — ღმერთო შენ შეგცოდე და ილიას ცილისწამებად არ უნდა მიეთვალოს.

დიმიტრი ყიფიანმა მოსწერა იმას ერთხელ ქვიშხეთიდამ სამდურავი, რას უგვიანებ წერა-კითხვის საქმეებსო. სხვა რომ ვერა მოახერხა რა თავის გასამართლებელი, ილიამ პასუხად მისწერა მხცოვანს პატრიოტს, არაფერია, ყველაფერს მოვესწრებითო,-რუსთაველმა სთქვაო: „თქმულა სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა".

მეორე მაგალითი: 1890-წელს, როცა ქალაქმა ბათუმმა ითხოვა, თბილისის სააზნაურო ბანკს ნება მისცემოდა მიეღო გირაოდ ბათუმის მამულები, ფინანსთა მინისტრი ქალაქს ჩამოვიდა, მაგრამ ილია არ წარსდგა მასთან და არ წარუდგინა ამ საგანზე მოხსენება. როცა ამის გამო საქმის გარდაწყვეტა დაგვიანდა და ილიას უსაყვედურეს რატომ მინისტრი არ ნახეო, პასუხად სთქვა: „ვერც ჩემი მისვლა დააჩქარებდა საქმეს და ვერც ჩემი მიუსვლელობა დააბრკოლებდაო."

მაგრამ ილია, როგორც ეს შეეფერება პოეტს, ხშირად და ადვილად მოდის აღტაცებაში და ეძლევა პათოსს ხანდახან სულ უბრალო მიეზების გამო.

— ვაა.. ვერ წარმოიდგენ.. მითხრა ერთხელ იმან, რაღაც შემთხვევის გამო, ბრაზილიის იმპერატორმა დონ პედრომ შეუთვალა ვიქტორ-ჰიუგოს ( აქ მგოსანი წამოდგა ზეზე და გამოიჭიმა მთელის მისის სიმაღლით): შენი ნახვა და გაცნობა მწადიანო. ამის პასუხად ჰიუგომ შეუთვალა მეფეს: მე სადარბაზოდ არავისთან არ დავდივარო. მაშინ იმპერატორმა და მისმა ტახტის მემკვიდრემ თითონ ინახულეს დიდი მგოსანი. ვიზიტის დროს როცა მასპინძელმა სიტყვაზე „ თქვენო უდიდებულესობაო"უთხრა მეფეს, მეფემ სიტყვა შეაწყვეტინა მგოსანს და უთხრა თავის მემკვიდრეს: Сын мой, помни, здес нет другого вепичества кроме Виктора Гюго... ეს სიტყვები ილიამ დიდის ამბის-ყოფით წარმოსთქვა, ეტყობოდა სიხარული, რომ ქვეყნის მბრძანებელი ასეთ გვარად ემორჩილებოდა სიტყვისა და ლექსთა მეფეს, როგორიც იყო ვ. ჰიუგო.

ლაპარაკში ილია უძლეველი იყო. მის დიალექტიკას, მის მოსწრებულ სიტყვებს, მის მდიდარს ლექსიკონს ჩვენს ქართველობაში წინ ვერავინ უდგებოდა. ვის არ ახსოვს მისი სიტყვები საადგილმამულო ბანკის წევრთა საზოგადო კრებებზე წინააღმდეგ ძმათა მაჩაბელთა, ბევრნი გრძნობდნენ რომ სიმართლე ვანო მაჩაბლისაკენ იყო მაგრამ ილიამ გაჭეჭყა ის თავის დიალექტიკით და მოსწრებული სიტყვებით.

აი ერთი მაგალითი ილიას უძლეველობისა ლაპარაკში. „ვის-რამიანის" ბეჭდვა რომ იწყებოდა უკანასკნელი რედაქციის დადგენა და ვარიანტების ერთი ერთმანეთთან შეთანხმება მიანდეს ილია ჭავჭავაძეს., პეტრე უმიკაშვილს და ალ. სარაჯიშვილს. ერთს უძველეს ვარიანტში ამათ დაინახეს, რომ უ-ს ბრჯგუ არ აქვს. ილიას მეტი რა უნდოდა, ჩვეულებრივის ახტაცებით იმან დაიჯინა უ უბრჯგუოდ დავბეჭდოთო, უმიკაშვილი თითონ თაყვანისმცემელი იყო ყოველგვარის არქაულის ფორმისა, მაგრამ ასე გასინჯეთ იმას კი შეეშინდა ამგვარის გადაწყვეტილებისა. რადგანაც კორექტორი ის იყო, ეშინოდა ბრჯგუს განდევნა იმისათვის არ დაეწადიმებინათ რადგანაც კორექტორი ის იყო, იმან დასწერა ამ საგანზე დადგენილი გადაწყვეტილება და ხელი მოაწერინა ილიასა და სარაჯიშვილს. მერე წიგნი დაიბეჭდა.

მაგრამ შენი მტერი ის რომ დაიბეჭდა, თქვენ თითონ გადაშალეთ წიგნი და დაინახეთ შიგ რაები სწერია. წარმოიდგინეთ თუ რა სიტყვები გამოვიდოდა თუ ბრჯგუ არ ექნებოდა უ-ნით დაწერილ სიტყვებს: ჩვენ, — ჩუენ; მოსვენება-მოსუენება; გამოკვება-გამოი.

— ილიას, ეს რა გიქნიათ, როგორ დაგიბეჭდნიათ-ჰკითხეს პოეტს.

— წარმოიდგინეთ: მე რომ რუსეთში ვიყავი პეტრეს გაუკეთებია. პეტრე, ეს რასა ჰგავს, როგორ დაგიბეჭდნია?

— მე ისე დავბეჭდე, როგორც შენ გადასწყვიტე...

— თავის დღეში მე ამგვარი დაბეჭდვა არ მიფიქრია.

გიფიქრია კი არა, გითქვამს კიდეც და ხელიც მოგიწერია, უთხრა გაჯავრებით პეტრემ და გაიხსნა უბის ჯიბე. ამოიღო მანდედამ ხელმოწერილი ბარათი და თვალწინ დაუდვა.

— თავის დღეში მე ეს არ მითქვამს, მე სხვა რიგად დაწერილი მეგონა, უთხრა მაინც ილიამ და იმდენი ილაპარაკა, სანამ საწყალი პეტრე დამნაშავედ არ გამოიყვანა.

ილია ხელმოჭერილი კაცი იყო, სულ იმას სჩიოდა- მეტი აღარა ვართ ამ საქველმოქმედო საღამოებისაგანო, საცა ჩვენ და სასარგებლოდაც უნდა გავმართოთ წარმოდგენაო და სხვა ამგვარები. უცნობი ქალი ან კაცი რომ მოვიდოდა მასთან იმას სულ

გაგრძელება მე-6 გვ. -ზე

# იონა მეუნარგია-ნანახი და გაგონილი ილიას ცხოვრებიდამ

დასაწყისი მე-5 გვ.-ზე



იმის ეშინოდა ვაი თუ ფული მთხოვოსო. ერთხელ საადგილ-მამულო ბანკში მასთან მოვიდა პლატონ იოსელიანის ცოლისაგან მოგზვნილი ქალი, ილიას ეგონა მთხოვნელი არისო და მიღების უარზე დადგა, მაგრამ მოგზავნილმა შემოუთვალა: პლატონ იოსელიანისაგან დარჩენილი ნაწერი მომაქვს თქვენს ჟურნალში დასაბეჭდათო და პოეტს გადასცა-"მეფე გიორგის ცხოვრება", იოსელიანისაგან შედგენილი, შემდეგში „ივერიის" ნომრებში დაბეჭდილი.

მაგრამ ამ ხელმოჭრილ კაცს სულ არაფარად მიაჩნდა ასობით და ათასობით ფულის წაგება ბანქოს თამაშში.

ოთხმოციან წლების დამდეგს ილია თითქმის ყოველ სალამოს თამაშობდა. ჩვეულებრივი მისი პარტნიორები იყვნენ: გიორგი შარვაშიძე (დიმიტრიჩი), კონსტანტინე რეიტერი, კოლა ერისათვი, დავით ალავიშვილი. კრუჟოკში ან კლუბში ის ხშირი სტუმარი არ იყო. იქ თუ წავიდოდა ის მხოლოდ ზაფხულობით. მე ხშირად გამოვსულვარ დილა ადრიანათ ალექსანდრეს ბაღში და შევყრილვარ ილიას კუკიიდამ მომავალს შემდეგ ღამის თამაშში გატარებისა.

განსვენებული ილია ხონელისაგან გამიგონია: ილიამ მთელი ღამე თურმე ითამაშა სადღაც კლუბში და ათასხუთასი მანეთი წააგო. შინ რომ დაბრუნდა და ეტლის გასასტუმრებლად ქისა ამოიღო, შიგ ნაშალი ვერ იპოვა, ერთი თუმნიანი-ღა შერჩენოდა იმას გაუტეხელი.

— ეჰ საცა სხვა წავიდა ესეც წავიდესო, გაიყლო მგოსნმა გულში და გაუწვდინა ქუჩერს თუმნიანი.

— აჰა წაილე, უთხრა პოეტმა.

ბატონო აქ ერთი თუმანია.

არაფერია, წაილე განუმეორა მან.

— გეტყობა კნიაზო, წუხელის მოგიგიათ, ღმერთმა ყოველთვის ასე მოგაგებინოსო, დაუმადლა სულგრძელ მგოსანს თვალგაპრიალებულმა ქუჩერმა.

ახლა უნდა გადავიდე ილიას რედაქტორობაზე და გაზეთზე, მაგრამ ჯერ მოისმინეთ ეს რამდენიმე ნაწყვეტიც ჩემი დღიურიდამ ბატონ რომპუ.

გაზეთის ივერიის გამოცემას რომ მოკიდა ხელი ილიამ, ის დიდს ფაცა-ფუცში იყო. მე იმ დროს პეტერბურგში ვიყავი დროებით და — რადგანაც გაზეთში თანამშრომლობა მქონდა აღთქმული (სხვათა შორის გაზეთში უნდა დაწყებულიყო ჩემგან შეკრებილი ისტორიული და სამწერლო ნაკვესების ბეჭდვა, რომელზედაც ფსევდონიმად ლელო ეწერათ. თითონ სათაური (ნაკვესი) ილიასაგან არის გამოგონილი, მაგრამ ფსევდონიმი არ მოსწონდა). 20 დეკ. 1885-წელს ილია წერდა თბილისიდან:

„დაგვანებე, ჩემო იონავ თავი და დაგვაობლე ამისთანა გაჭირვების დღეს... მაგრამ რა გაეწყობა? თურმე სოფელი ასეა. თუმცა შენ ბევრს გვაკლიხარ, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას არ ვიშლით და ვჩხირკედელაობთ 1-ს იანვრისათვის. ვნახოთ ღერძი ბედისა როგორ დაიწყებს ტრიალსო. გიგზავნი გამოცხადებულს და ყოველგან გაგზავნილს უწყებას ჩვენის ახლის გაზეთის გამოცემის თაობაზედ. ზოგიერთმა ჩვენგან ახლად შემოღებულმა სიტყვებმა და ტერმინებმა მოწონების და დაწუნების ღაღადი მოჰფინეს ჩვენს სალიტერატურო არე-მარეს. ჩვენ ვნუგეშობთ და ვამბობთ: Значит, свет нас заметил. უარარაობას კიდევ ესა სჯობია. ახ ნეტავი ეხლა ჩვენთან იყო. ყინვამ მაგ უმადურ და უსიხარულო ქვეყნისა გული არ გაგიყინოს და არ დაგვღუპოს შენდამი მსასოებელნი.

შენი ფსევდონიმი არც ერთი არ მომეწონა. აქ მოვიგონეთ ორი ფსევდონიმი: 1."მე ვარ და ჩემი ნაბადი" თუმცა გრძელია, მაგრამ შენზედ ზედ გამოჭრილია;

2) „აბედი", ვითომ ნაკვესმა შენ ცეცხლი მოგიკიდა როგორც აბედს და შენ ჩვენ გადმოგვეცი. ეს უკანასკნელი კარგია, მაგრამ აკაკი წერეთელს საბუთს მისცემს ქართული აბედი რუსულ обед-ად გადააქციოს; მაინც შენ სხვის სადილების მაძებარს გეძახოდა და დაქცინოდა. ორში ერთი ამოირჩიე და ტელეგრაფით მაცნობე.

ასოებისათვის ფული საჭირო არ არის, რადგანაც თვითონ ასოები აქ ჩამოვასხმევინეთ და ძალიან ცოტა განსხვავება აქვს მანდაურებთან. წიგნები რაც საჭირო იყო, დავიბარეთ, ვიდრე შენი წერილი მომივიდოდა.

ნიკოლაძესა სთხოვე და შეეხვეწე ჩემმაგიერ, ჩვენს გაზეთს თავისი ნაწერებით შეეწიოს. მომიტევოს ამჟამად, რომ საკუთარს წერილს არა ვსწერ. ეგ იმისთანა კაცი არ არის, რომ ამის გამო გაგვწბილდეს და გულიდამ ამოიღოს ჩვენი გაზეთი, წვრილმანმა წვრილმანს მოუკიდოს ცეცხლი.

ქაღალდის თაობაზე სერებრიაკოვს წერილი მივწერე და პასუხს ველი. ჯერ ხანად Новое обозрение-ს ფორმატის ქაღალდს ვიხმარებთ.

კაცო, რატომ არა გვწერ, — ეგ ჩვენი მუხრან ბატონი რას სჩადის და როგორ მიჰყავს ჩვენი საზოგადო საქმეები. შენგან მიკვირს და მეოცება. ღმერთსა ვთხოვ, რომ სამერმისოდ არც ერთი შემემთხვას შენგან და არც მეორე. ასე ჩემო იონავ, იყავ მშვიდობით და დღეგრძელობით და არ დაივიწყო, რომ შენ ერთად ერთი მეგობარი გყავს და ის ერთად ერთი-შენი ილია ჭავჭავაძეა".

20 დეკემბერი.

P.s. მოუთმენლად ველი შენს სტატიას. ილიკომ მოგიკითხა. მოიკითხე ყველანი, ჩემი ნაცნობები.

„ივერიის"პირველი ნომერი გამოვიდა 1 იანვარს 1886-წ.

„ივერიას" რედაქცია ამ დროს კუკიის ქუჩაზე იყო მოთავსებული პოეტის დის ლიზა საგინოვის სახლში. დაბლა იყო გამართული გაზეთის სტამბა, მაღლა იყო რედაქცია და იდგა თვით რედაქტორი.

რომ ახვიდოდით მეორე სართულზე, მარცხენა კარებს შეყავდით თქვენ გაზეთის რედაქციაში და მარჯვენას ილიას სადგომში. სადგომის ყურეში შესვლისთანავე, მარცხნივ იყო რედაქტორის კაბინეტი-პატარა ტანის ოთახი- სწორედ ისე იყო მოწყობილი, როგორც ეს შეეფერებოდა მის პატრონს-პოეტს და მამულის მოყვარე რედაქტორს.

შეხვიდოდით თუ არა კაბინეტში, ყველაზე უწინ თქვენს ყურადღებას იქცევდა ფერადის სურათებით აჭრელებული ჭერი ოთახისა. ჭერის ოთხ კუთხეზე იყო დახატული ფართო მედალიონები მეფის ლუარსაბისა, დიმიტრი თავდადებულის, გიორგი თამარის მამისა და დავით აღმაშენებლისა, შუაში იდგა წმინდა ნინოსი.

კედელზე ეკიდა: მეფე ერეკლე, გორგასლანი.

კედლებზედვე: სოფლის გლეხკაცი და ყასაბი გაბაევისა, მურილლიოს გრავიურა, მითოლოგიური სურათები.

კაბინეტი სავსე იყო შკაფებით, სტოლებით,წიგნებით, ქანდაკებებით.

რომ მიიხედ-მოიხედავდით, დაინახავდით: ერთგან შექსპირის ბიუსტს, სხვაგან გიოტესას, კიდევ სხვაგან რუსთაველისას, გარიბალდისა.



იქა-აქ კედლებზე: კაკაბს და ხოხობს.

მთავარი სტოლი კაბინეტში სავსეა რაგინდარათი: წიგნებით, გაზეთებით, სამწერლო იარაღებით, სულ ყველაფერი ამ დიდ სტოლზე არეულ დარეულია, რომ აქაც გამართლებულიყო ნათქვამი პოეტურს დაუდევნელობაზე. აი აგერ დიდი ამომშრალი საწერელი, რომელშიაც ვიღაცას მეორე მომცრო ტანის საწერელი ჩაუდგავს, აი სველი ქანდაკება, რომელსაც რქაზე პოეტის ჩაჩი აქვს წამოცმული. აი გადაშლილი წიგნი, პაპიროსის ნამწვრით შუა გულში, აი გლობუსი, საანგარიშე, სათვალე, გაზეთის ორიგინალები, ვეებერთელა წითელი კარანდაში...

თუ საღამოა, ამ სტოლთან თითონ რედაქტორი ზის და აქ ამ ვიწრო ქარხანაში მზადდება დღეს ის აზრი, რომელიც ხვალ შეიძლება სახელმძღვანელოდ გახდეს ყველა ქართველისათვის ბაქოდამ დაწყებული სოხუმამდის და კავკასიის გარეთაც.

როგორც გაზეთის თავი-მესვეური ილია, დიდად ნაყოფიერი იყო, ის ბევრსა სწერდა და გრძლად სწერდა. გრძლად წერა, სამწუხაროდ, მისი ნაკლულოვანება იყო.

გაზეთი წიგნი არ არის, რომ კაცი დაუჯდეს იმას და იკითხოს. გაზეთის სტატია თუ ჟურნალის სტატიად გახადა კაცმა რაც უნდა კარგად იყოს ის დაწერილი, თვისს ღირსებას კარგავს.

გაზეთი თქვენ ბულვარზე სადმე იყიდეთ, გზა გზა მიმავლად იმას თვალი გადაავლეთ ან მიჯექით სადმე, ზელტერის წყლით სიცხიდამ სული მოუიბრუნეთ და უფრო მეტი ხანი მოანდომეთ იმას, რომ წაიკითხოთ ტელეგრამები, ახალი ამბები, მცირე შენიშვნები და ბოლოს თუნდ მეთაური წერილი. მაგრამ თუ ეს წერილი გრძელია არა ადვილად საკითხი, გაყოლებით დაწერილი, წინასიტყვაობით, სხვადასხვა წინადადებებით ერთმანეთში აცმულ გადაბმული, რომელსაც აჭრელებენ: „როგორცა ვთქვი", „რომელიც რომ" და სხვა ამგვარები, თქვენ იმას ვერ წაიკითხავთ.

და თუ წაიკითხავთ, ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, ბევრი დრო გქონიათ.

უმეტესობა კი ათის მკითხველიდამ ცხრა, ამ სტატიას არ წაიკითხავს.

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის თუ შაირზე მარტო სთქვა რუსთაველმა, ალბათ იმიტომ რომ მეთორმეტე საუკუნეში არც გაზეთები იყო და არც მოწინავე სტატიები.

მე ხელთ არა მაქვს ილიას გაზეთის „ივერიის" კოლექცია და მაგალითს აქ ველარ მოვიყვან, მაგრამ ისე მახსოვს, რომ იშვიათია ილიას მოწინავეს არ ეჭიროს გაზეთში ორი სამი სვეტი, ხან ოთხი, ხუთი, ექვსი.

გაზეთს ქვეყანა კითხულობს და ქვეყანას ამ გაუთავებლის სტატიებისათვის არა სცალია.

ფრანცუზები იტყვიან: ქუანდ ვოუს ვოულერ დირე: ილ პლეუტ, დიტეს ილ პლეუტ. ეს ქართულად ასე ითარგმნება: თუ გინდათ სთქვათ, რომ წვიმს სთქვით სწვიმს. და ნუ მოყვებით ათადან-ბაბადან ნუ დაიწყებთ ციდამ, ღრუბლიდამ, ჰაერიდამ, სთქვით მოკლედ: წვიმს.

ისევე ითქმის საზოგადოდ იმ გვარ მეთაურ წერილებზე რომელსაც ეკუთნოდა ილიას წერილები. ეს წერილები მოკლედ და პირდაპირ ვერ ეუბნებოდნენ მკითხველს იმას, რისი თქმაც მის დამწერს უნდოდა და რაც, როგორც პოეტს მას შეეძლო.

მეშინია მეტის თქმა არ გამომივიდეს, მაგრამ არ შემიძლია შემთხვევით არ ვისარგებლო და ამ გრძელ მოწინავეებზე ორი-სამი სიტყვა კიდევ არა ვსთქვა. ყოველი გაზეთის ნომერი, რომელშიაც გრძელი მოწინავე წერილია დაბეჭდილი წვალებაა ჩემთვის.

ერთი დიდი, საფრანგეთის ფილოსოფოსი, ოგიუსტ კონტი ამბობს: მწერალს არ უნდა ჰქონდეს უფლება ათამაშოს მკითხველი თავის სურვილისამებრ, სწეროს როგორც იმას უნდა. ყვალაფერი კანონს და ზომას უნდა ემორჩილებოდეს, უნდა იყოს განსაზღვრული, რომ ყოველს ფრაზაში ქვემდებარე იყოს, შემასმენელი, დამატებითი სიტყვა და კიდევ არ მახსოვს რა და შემდეგ ფრაზა თავდებოდეს, მძიმე დაესმებოდეს. როცა მე ვხედავ ოთხი-ხუთ სვეტიან მოწინავე წერილებს გაზეთში, მეც ის ცხოვრებაში განუხორციელებელი ფიქრი მომდის, როგორც კონტს, რომ შეიძლებოდეს ამ გრძელი მოწინავეების შემოკლება, თუნდ ისეთ გვარად როგორმე, როგორც მაგალითად სახელმწიფო სათათბიროში ამოკლებენ ორატორის სიტყვებს ხუთი წამის ლაპარაკის შემოღებით.

ჩემი იდეალი გაზეზთის მოწინავე წერილების მწერლისა არის საფრანგეთის ჟურნალისტი ჟირარდენი. აი როგორ ახასიათებს ჟირარდენის წერას საფრანგეთისავე მწერალი დანკური:

„ის (ჟირარდენი იწყებს რამე საგანზე ლაპარაკს, წამოაყენებს წინ ერთ აზრს, თეზისს. მოუსვამს კალამს და ორ სტრიქონშისაქმის ექსპოზიცია მზად არის. ორი-სამი სტრიქონი და ჟორარდენი შუაგულ კითხვამდის არის მიწევნილი. ამის შემდეგ ის გადადის დასკვნაზე, ის წინდაწინ ხედავს თუ თქვენ მასთან არა ხართ თანახმა და თქვენსკენ მოიწევა. თქვენ შეიძლება ამაზე ესა და ეს მითხრათ; ახ, რაგავარად მებრალებით და ის მტრად აქცევს ჩვენს ნათქვამს ან დაანახვებს სხვებს რომ თქვენი ნათქვამი მტრად აქცია და გასწევს და გასწევს. კიდევ ორი სტრიქონი. გათავდა? არა იმას კიდევ აქვს სათქმელი უკანასკნელი სიტყვა, კიდევ უნდა გაისროლოს უკანასკნელი ისარი. ახლა მაინც გათავდა? არა. ერთი სტრიქონი კიდევ და ამ სტრიქონში სულ ბევრი-ბევრი სამი სიტყვა, ხანდახან ორი და ხშირად ერთი. ჰა და გათავებულ მოწინავეს ხელი მოაწერა".

ამგვარად ილიას არ უწერია.

ილია რედაქტორი თავის ნაწერს სანამ დასაბეჭდათ გაგზავნიდეს, უკითხავს თავის თანამშრომლებს და ყოველგვარ რჩევას სიამოვნებით ითვისებს.

ნინო მუხრან-ბატონის დასაფლავების გამო მოწინავე წერილი რომ დაბეჭდა ილიამ „ივერიაში", მეორე დღეს მკითხა:

— წაიკითხე ჩემი წერილი?

— წავიკითხე გუშინ ღამე სტამბაში და ძალიან მომეწონა. მხოლოდ რომ გენებებიათ და სამღვთო წერილის სიტყვაც ჩაგეტანებინათ- შიგ შრომის მოყვარე ქალის თაობაზე დაწერილი, წერილი ბევრს მოიგებდა.

— რა სიტყვები?

— ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსა.

— ოხ, მართლა რომ კარგი იქნებოდა და რატომ ეს სიტყვები არ მიაწერე რაკი სტამბაში მოხვედრილხარ, მითხრა ნაღვლით რედაქტორმა, საზოგადოდ დეკლამაციის მოყვარემ.

სხვის ნაწერებს ის თავაზიანათ ეპყრობოდა, მხოლოდ ენის მხრით კი რედაქტორი ულმობელია, მეტადრე იმერეთიდამ გამოგზავნილი კორესპონდენციების და წერილების კითხვის დროს.

ენის მხრით ილია მართლა რომ კანონმდებელია ქართულის ენისა.

ვიღაცამ უსაყვედურა ვიქტორ ჰიუგოს: ეს სიტყვა ფრანგული არ არისო.

— არ არის, მაგრამ იქნებაო, თავმომწონებით უპასუხა საფრანგეთის დიდმა მგოსანმა.

იგივე ითქმის ილიაზე და ქართულ ენაზე.

სანამ ილიამ არ დაუშალა ჩვენებს, ჩვენში ამბობდნენ: უფალი კერესელიძე, უფალი მესხი, ეს უფალი ან იყო ამოღებული სამღვთო წერილიდამ, ან იყო ნათარგმნი რუსული სიტყვიდამ „Господин".ილიამ სთქვა: „უფალი მესხი"-ს თქმას „ბატონი მესხის"-ს თქმა არა სჯობიაო? და ეს სიტყვა მას აქეთ დაკანონდა ჩვენში და ამ სიტყვას ისე მაგრად აქვს მოკიდებული ფესვი ჩვენს ენაში, რომ ენას ვერ განდევნის ეხლა ჩვენის ენიდამ ვერც „ამხანაგი" და ვერც „ მეგობარი" ისე, როგორც ვერ განდევნეს ფრანგულის ენიდამ „მონსიეურ" ვერც დიდი რევოლუციის ციტოყენ-მა და ვერც კომუნის ჩომპაგნონ"-მა .

მისგან მოგონილი სიტყვებთაგან მახსოვს: სულთა სწრაფვა, თვალთა ხედვის ისარი.

იმას არ მოსწონს იმერულ წერილებში სიტყვები- „ვღებულობ", „ამნაირად",საცა ეს სიტყვები მოხვდება ილიას, მაშინვე შლის და სამაგიეროდ ზემოდან აწერს, სიტყვებს: „ვიღებ", „ამ გვარად"..

საცა ჩვენ ჩვეულებრივათ ვწერთ „მაგრამ"-ს ილიას ხშირად-"გარნა"-ს სწერს.

იმასვე ეკუთვნის, მგონია, ეს „ჰსჩადის", რომელსაც ეხლამდის ვერ შევთვისებივარ, რომელიც არც ერთ ძველს წიგნში სადმე არ წამიკითხავს, არც ხალხში გამიგონია სურამის აქეთ მაინც. გადაღმაც არ ვარ დარწმუნებული, რომ ხალხში „ჰსჩადის" ითქმოდეს, შეიძლება თქვან ჩადის, სიტყვიდამ ჩასვლა, მაგრამ „ჰჩადის" ქალაქში უნდა იყოს გაზვიადებული.

როგორც რედაქტორს ილიას მუდამ ერთი აზრი აქვს, გაზეთი არავის პირადობას უმართებულოდ არ შეეხოს. ამ მხრით ის დაშინებულია გაზეთის „დროების" განურჩევლობით.

სხვისი პირადობის დამცველს თავის გაზეთში, ილიას არ უნდოდა რომ თითონ უმართებულოდ ეხსენებია ვინმე სხვის გაზეთში. როდესაც ნიკო ნიკოლაძემ „Новое обозрение"-ში ერთი წერილი დასწერა მისი პიროვნების შესახებ ილიამ თავი შეურაწყობილად მიიჩნია და ორი თვისი ამხანაგი მიუგზავნა სეკუნდანტებად ნიკოლაძეს-კოლა ერისთავი და სოსიკო შალიკოვი. ამან პასუხად ჭავჭავაძეს გაუგზავნა ორი თვისი ამხანაგი, დათიკო გურამიშვილი და ნიკოლოზ სიმბორსკი და მათ შორის გაიმართა დუელი. მოწინააღმდეგენი დადგნენ ბარიერზე გატენილის ფიშტოებით და ყველაფერი იმ წერტილამდის იყო მოყვანილი, საცა ტყვია უნდა გავარდნილიყო, მაგრამ ამ დროს სიმბორსკიმ უკანასკნელის შერიგების სიტყვით მიმართა დუელიანტებს და დუელი მორიგებით დამთავრდა.

არ ვიცი ამ ორში ვინ ვის მოსთხოვა ბოდიში, რადგანაც მათი შერიგების პროტოკოლი არ გამოქვეყნებულა. როგორც გამიგონია, ჭავჭავაძეს უნდა ეთქვას: მე შეურაწყოფილად მივიჩნიე ჩემი თავი მარტო იმისათვის რომ ნიკოლაძეს თუნდ ერთი წამით შეეძლო ეფიქრა, რომ რაც „ივერიაში" დაიბეჭდა ის ჩემის თანხმობით იყოო. ნიკოლაძეს ამაზე უნდა ეთქვას: თუ ეს ასეა, მაშ, რაც მე ჩემს გაზეთში ვთქვი ჭავჭავაძის შესახებ უკან მიმაქვსო.

რედაქციაზე და გაზეთზე ლაპარაკს აქ ჩვენ უნდა დაურთოდ აკაკის სიტყვებიც:

აკაკი თამარაშენში იყო მაჩაბლისას და დაძინების დროს „ივერიას" კითხულობდა. კითხვის დროს აკაკის მიეძინა და გაზეთს სანთლიდამ ცეცხლი მოედო.

— ფუ, ფუ, ფუო და ერთის ყოფით გააქრო ალი პოეტმა.

— მადლობა ღმერთს, წყალნარევი გაზეთია, თორემ ვერ ჩავაქრობდიო, აამა მგოსანმა ილიას მოწინააღმდეგე ბანკის დირექტორს.

ილიას, როგორც ბანკირს, ქართულ მწერლობასთან და ხელოვნებასთან კავშირი არა აქვს და ამიტომ მის მოღვაწეობაზე თბილისის საადგილმამულო ბანკში, მე აქ დიდს არას ვიტყვი. პოეზია და ანგარიში, ქნარი და ჩოთქი როგორღაც ერთმანეთთან ვერ მიდიან, გარნა არ უნდა დავივიწყო, რომ ილია საზოგადო მოღვაწეა და რომ მისმა გონებამ და შრომამ მისგან დაწყებული და წარმართული ბანკი იმ ზომამდის მიიყვანა, რომ დღეს ბანკის დამფუძნებელთ უკვე დაუბრუნდა უკანვე ძირის თანხა და როგორც ახლა, ამ წასვლაზე თბილისში შევიტყვე, შარშან ბანკს ჰქონდა იმდენი შემოსავალი, რომ ოთხასიათასი მანეთის ზარალი დაუფარავთ და კიდევ დარჩენილა წმინდა შემოსავალი ორასი ათასი მანეთი. ილიას ბანკის მოგებით უდგია დღეს სული ყველა, თბილისის თავადაზნაურთა დაწესებულებათ.

დრო და ადგილი ნებას არ მაძლევს აქ ილიას ნაწერებზე ვილაპარაკო და ამით გავათავებ ამ ჩემს მოგონებას პოეტის ცხოვრებიდამ, თუმცა სამახსოვრო წიგნში ჯერ კიდევ არ გამომლეევია მასალა ილიას შესახებ.

დასასრულ ორი-სამი სიტყვა ილიას საგურამოში ცხოვრებიდამ.

ილია ყოველ ზაფხულს ამოდიოდა საგურამოს, დასასვენებლად. აქ ქონდა იმას ერთი, პატარ, ქვის სახლი, რომელიც გადაყურებდა არაგვის ხეობას. სახლის წინა ბალკონიდამ მგოსანს თვალწინ ედგა მშვენიერი-პანორამა კავკასიის მთებისა და ქვემოთ არაგვის ხეობისა.

ილია აქ ისვენებდა ქალაქის საქმეთაგან დამშრალი. ყოველ 20 ივლისს, მის დღეობაზე აქ მოდიოდა მასთან მოსალოცავათ დიდ-ძალი ხალხი ქალაქიდამ და ხანდახან იმერეთიდანაც.

აქ, საგურამოში უახლოვდებოდა ილია ხალხის ცხოვრებას და ენას.

ყოველ შეყრაზე და გამოლაპარაკებაზე სოფლის ხალხთან ილიას, როგორ ფუტკარს, საზრდო გამოქონდა ხალხიდამ თავის სიტყვიერებისათვის. დღეს ამა და ამ გლეხმა ლაპარაკში ესა და ეს ჩემთვის უცნობი სიტყვა სთქვაო, იტყოდა მგოსანი. ერთ ამგვარ სიტყვად მახსოვს იყო სიტყვა პეიტარი. ჰაზრით გამოდიოდა, რომ პეიტარი კაცის წოდება უნდა ყოფილიყო და რომ ჩავიხედეთ ლექსიკონში აღმოჩნდა რომ პეიტარი საქონლის ექიმს რქმევია.

ხალხი იყო ილიასათვის წყარო მოკამკამე ენისა და გამოთქმის.

# როგორ ყალიბდებოდა მეღვინეობის კოოპერატივები მე-19 ს.-ის კახეთში



**წერილი კახეთიდამ**

დაგპირდით, შემდეგს წერილში წლევანდელ ღვინის მოსავლის შესახებ საუბარსა, მაგრამ იმავე მოსავლის გამო ჩამოვარდა ისეთი ლაპარაკი, რომ არ შეიძლება, მკითხველის ყურადღება ამ ახალს სალაპარაკოს არ მივაქციო, რადგანაც ეგ სალაპარაკო დღე და ღამ არ გვასვენებს კახელებს. თავადმა ნიკოლოზ ზაალის ძემ, ჩოლოყაშვილმა მოიწვია ოქტომბრის მიწურულს თელავის მაზრის თავად-აზნაურობა და სხვა ვენახის პატრონები. მოწვეულნი შეიყარნენ დილის თერთმეტს საათზედ თ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილის სახლის დარბაზში. თავ-მჯდომარედ აღმორჩეულმა თ. დიმიტრი მაყაშვილმა სთხოვა საზოგადოებას, რომ ბაასი რიგით ყოფილიყო, რათა ერთმანეთისთვის არ დაეშალათ.

მომყავს აქ სტენოგრაფიული ანგარიში კი არა — არამედ ის, ვინც რა სთქვა დაახლოებით და ამიტომ ბოდიშს ვიხდი, თუ ნათქვამი ზოგისა ცოტათი შევამოკლე; მომატებით კი არა მომიმატებია-რა, მომეტებული ლაპარაკი რუსულად იყო, თუმცა ბოდიშს-კი იხდიდნენ მოლაპარაკენი, კარგი ლაპარაკი არ შეგვიძლიან ქართულადაო.

თ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი. ბატონებო, მე ახალს არას მოგახსენებთ. რაზედაც ვილაპარაკებ, არა ერთ გზის გსმენიათ; ბევრჯელ ყოფილა ამაზედ ლაპარაკი კერძოდაც და საზოგადოდაც. ბევრჯელ გვილაპარაკნია და საქმედ-კი არც ერთხელარ გადაგვიქცევია. ყველა თქვენგანი დამეთანხმება, რომ დიდ გაჭირვებაში ვართ ვენახის პატრონები ღვინის რიგიან ფასად გაუყიდველობით. აგერ წლევანდელი მოსავლის ღვინის ვაჭრები ჰყიდულობენ ღვინოს საპალნეს (48 ვედროა) ოც-და-ხუთ მანეთად. ვენახის შემმუშავებელს რა უნდა დარჩეს საპალნის 25 მ. ან 50 მ. გაყიდვითა? შეიძლება, ამ ფასად გაყიდულ ღვინით დაიბრუნოს ვენახის პატრონმა, თუნდ მარტო შემუშავების ხარჯი? კარგად იცით ყველამ, დღევანდელი მდგომარეობა ვენახის პატრონისა დიდ-ხანს ვერ გასტანს და ამიტომ იძულებული გახდება, დაჰკარგოს ეგ ერთად-ერთი წყარო ცხოვრებისა. თუ დროზედ არ ვუშველეთ ჩვენ თავს, ვენახებს სხვა პატრონები გაუჩნდებიან: ეს უტყუარი საქმეა. ჩვენ პურის მოყვანას არ მივსდევთ; არ ვიჩენთ ცხვარსა და ღორსა, არა გვყავს მუშა და მოცადი საქონელი: ერთად-ერთი წარმოება ჩვენი არის ღვინო, რომელსაც ასე უსინდისოდ აფოლებენ ვაჭარნი. ღვინო მოგვყავს და ზარალით ვყიდით. როდემდის შეიძლება ავიტანოთ ეს ზარალი? დროა, ღვინოს გზა მივცეთ. შევადგინოთ ამხანაგობა და ჩვენ სინდისიერად ვისარგებლოთ მით, რითაც ახლა ასე უსინდისოდ სარგებლობენ სხვანი. შევადგინოთ ამხანაგობა და ჩვენი ღვინო ჩვენვე მივაწოდოთ მხმარებელსა. მეტყვიან, ფული არა გვაქვს, კაცები არა გვყავს, როგორ ვუშველოთ თავსაო? მეტყვიან, თელავში სხვა საზოგადო დაწესებულებანიც გვქონდა, მაგრამ ჩაილურის წყალი დალიესო. მართალია, თელავის დამზოგველი საზოგადოების დეპო და გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობის კასა მოისპო, მაგრამ უკაცობით-კი არმოხდა ესა, არამედ გამგებელთა შორის პირდაპირ ქიშპობის მსხვერპლნი შეიქმნენ ეს დაწესებულებანი. თელავის მაზრაში სამასი კომლი თავად აზნაურობაა. ამ სამას კომლში პირველ დაწყებისათვის საკმარის ფულს ვერ ვიშოვნით? როგორც მცოდნე კაცებმა მითხრეს, ღვინის ვაჭრობის გამართვისათვის, ღვინო რომ არ ჩავთვალოთ, საჭიროა ორასი თუმანიო. ჩვენ ექვსასი ჩავაგდოთ, ერთი სამად მეტი. განა ჩვენში არ მოიპოვება ოცი კაცი, რომ ოც-და-ათათი თუმანი გამოიღონ და ეს საჭირო ექვსასი თუმანი შეადგინონ? მაგალითად ვამბობ ამას; და ნამდვილად იქნება თითოს გამოსაღებად ხუთი თუმანიც არ შეჰხვდეს. რამდენადაც ამხანაგობაში ბევრი მიიღებს მონაწილეობას, იმდენად ნაკლები შეჰხვდება თითოეულს ამხანაგს გამოსაღები ფული. რაც შეეხება კაცებს, იმათაც ვიშოვნით. სამას კომლში სამ-ოთხ კაცს როგორ ვერ გამოვარჩევთ? ღვინის კეთების მცოდნეებსაც ვიშოვნით. ჩვენ გვყავს კაცები თბილისში, რომელნიც დიდის სიამოვნებით ხელს მოგვახმარებენ. თ. ნ. ჭავჭავაძე, რომელიც იქამდის უხიაკი და მოთაკილეა, რომ უკანასკნელს ლუკმას დაინატრებს და სხვისას ერთ ფარქლს არ ინდომებს. ჩვენა გვყავს თბილისში თ. ი. გ. ჭავჭავაძე, რომელმაც კარგად იცის ამ გვარი საქმენი და ამიტომ შეუძლიან ჩვენთვის სასარგებლო და შესაფერი წესდების შედგენა, ჩვენა გვყავს იქვე თექვსმენტი წელიწადი ბუხგალტერად ნამყოფი კაცი, რომელსაც ბევრნი ფინანსისტს ეძახიან. მე ფინანსისტს არ ვეძახი და ვიცი-კი, რომ კარგად შეიძლებს ის ჩვენ ანგარიშების გასწორებას. ეს კაცი არის თ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი. კიდევ გვყავს ტფილისში, ჩვენი მეზობელი, თ. ვ. გ. ჯანდიერი, რომელსაც წელს ას სამოცი საპალნე ღვინო მოუვიდა და რომელიც საგანგებო წევრი იქნება ზედამხედველ კომიტეტისა.

ბატონებო, შევადგინოთ ამხანაგობა, ხელი ხელს მივცეთ და ფულსაც ვიშოვნით, კაცებსაც. ჩვენი ღვინო ჩვენვე გავყიდოთ და დავარწმუნოთ მყიდველი, რომ ეს ღვინო ბევრად კარგია იმაზე, რომელსაც ჩვენი ღვინის სახელით ჰყიდიან და იაფადაც დაუჯდება, ვიდრე ახლა უჯდება. ბატონებო, ვისარგებლოთ წლევანდელის მოსავლით, შევადგინოთ ამხანაგობა, ნუ დავინანებთ, თუნდა, პირველად საქმის უციდონარობისა და გამოუცდელობისა გამო ვიზარალოთ რამ კიდეც. ვითომ დავსეტყვილვართ. ნუ ვინ იტყვის, ჩემის ცოლშვილის წლიური სარჩო ეგ არისო. რამდენჯერ დაგვსეტყვია, დაგვნაცრია, არა მოგვსვლია-რა და შიმშილით არ დავხოცილვართ. შევუდგეთ საქმეს, დღევანდელის შიმშილ-სიტიტვლით გავაკეთოთ სამერმისო და საშვილიშვილო საქმე.

თ. მაყაშვილი. მოვისმინეთ ბაასი თ. ჩოლოყაშვილისა ღვინის სავაჭრო ამხანაგობის დაარსების შესახებ. ნათქვამიდამ ვერ გავიგე, რაზედა ვართ მოწვეულნი, ან რაზედ უნდა ვილაპარაკოთ. ყოველთვის, როცა ვინმე საქმის წინამძღოლობას ჰკისრულობს და ამისთანა კრებას მოუწოდებს, შეკრებილთ წარუდგენს გამორკვეულს გეგმას. კრებაც შეუდგება მუხლ-მუხლად სინჯვას წარმოდგენილ პროექტისას. რამდენჯერმე გქონიათ ამ საგანზე ლაპარაკი და აქნობამდის არა არის რა გამორკვეული. მე აქ არც პროექტგეგმასა ვხედავ რისამე და არც მუხლ-სალსარსა; რაზედ უნდა ვილაპარაკოთ?

თ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი. მე არც წინამძღოლობას ვჩემობ და არც გეგმა მაქვს შედგენილი. მე, ბატონებო, მოგიწვიეთ და მოგახსენეთ, რომ ჩვენ გაჭირვებულ მდგომარეობას შველა უნდა. როგორ, რით, რანაირად? აი, აქა ბრძანდებით და თქვენ არჩიეთ. წესდების შედგენა მიანდეთ კომისიას და იქონიეთ სახეში, რაც ადრე იქნება, ისა სჯობია, ვეცადნეთ მომავალ იანვრისთვის ამხანაგობამ დაიწყოს მოქმედება.

თ. ს. ნ. ვეზირიშვილი. ყველასათვის ცხადია, რა ღარიბად არის ჩვენი თავად-აზნაურობა. ყველამ ვიცით, რომ ერთად ერთი წყარო შემოსავლისა არის ღვინო. ამისათვის დიდად გაუჭირდება თვითოეულს ჩვენგანს ოც-და-ათის თუმნის შემოტანა. თუმცა თ. ჩოლოყაშვილმა სთქვა, ვითომ დაგვსეტყვიაო, მაგრამ ასე არ იქნება. ისევ სჯობია, თუ შეიძლება, საქმის დაწყებისათვის საკმაო ფული ისესხოს ამხანაგობამ.

თ. აბამელიქოვი. ბატონებო, იცოდეთ რომ ამისთანა ამხანაგობა ტფილისშიაც იყო დაარსებული, ე.ი. ამხანაგობა ღვინის მოხმარებელთა. ამ ამხანაგობას კარგად მიჰყავდა თავისი საქმე; დიდი ნდობაც დაიმსახურა, ასე რომ საურთიერთო ნდობის საზოგადოება ათას თუმნობით ასესხებდა ფულს. თვით ჩემი ძმა იყო გამგეობის წევრი და ვიცი, რომ ეს ამხანაგობა მდიდრებმა დაამხეს, ამიტომ მე გირჩევთ, ამხანაგობა მარტო თავად აზნაურთაგან შეადგინოთ, არავინ სხვა არ გაურიოთ (აქ საზოგადოებამ მოუწონა ნათქვამი ორატორს), თუ გაურევთ ვისმე, დაიღუპებით. (ისმის ხმა: მართალია, მართალია). ამასთანავე წილის ფული ხუთი თუმანი იყოს, იქნება, იმისთანა ამხანაგი გამოჩნდეს, რომ ასი წილის ფული შემოიტანოს. თვითონ მე ას წილის ფულს შემოვიტან. მე ოცის წლის გამოცდილება მაქვს ღვინის ვაჭრობაში და მენდევით, რომ არც ერთი წვეთი ღვინო არ დაგრჩებათ გაუყიდავი.

შემდეგ თავად ს. ნ. ვეზირიშვილის თხოვნით იფიქრეს და გადასწყვიტეს შემდეგი:

ა) ამხანაგობა შევადგინოთ მარტო თელავის მაზრის ვენახის პატრონთაგან, თუ სხვა მაზრების ვენახის პატრონებიც მივიღოთ ამხანაგობაში?

ბ) ამხანაგობა შევადგინოთ მარტო თავად-აზნაურთაგან, თუ სხვა წოდებისაგანაც?

გ) ვაჭრობა რა ზომისა უნდა იყოს, ან რაოდენი უნდა იყოს ვაჭრობისათვის ფული?

დ) წილის ფული რაოდენი უნდა იყოს?

ე) ამხანაგობა მოვალეა, მიიღოს ამხანაგის ღვინო სრულიად, თუ არა და ამხანაგი მოვალეა უეჭველად თავისი ღვინო მიჰყიდოს ამხანაგობას თუ არა?

კრებამ გადასწყვიტა:

ა) ამხანაგობა შესდგეს მარტო კახეთის ვენახის პატრონთაგან;

ბ) ამხანაგობაში მიღებულ იქმნას მარტოდ მარტო თავად-აზნაურობა. (ზოგთ სთქვეს, სამღვდელოებაცაო, პირადნი აზნაურნიცაო, ზოგთ უარი სთქვეს).

გ) ვაჭრობისათვის ფულის რაოდენობის საჭიროებას წინათვე ვერ განვსაზღვრავთ, არ იქნებაო;

დ) წილის ფული ხუთი თუმანი იყოს, ხოლო რავდენი წილის ფულის შეტანა შეეძლება ერთს ამხანაგს და რავდენი ხმა შეიძლება ჰქონდეს, კომისიამ გამოარკვიოსო;

ე) ამხანაგობა მოვალეა, გამგეობისაგან გადაწყვეტილ ფასად მიიღოს ამხანაგის ღვინო სრულიად; ამხანაგი მოვალეა, ჯერ გამგეობას აჩვენოს თავისი ღვინო და თუ მისგან გადაწყვეტილ ფასს არ დასჯერდება, სხვას მიჰყიდოს.

ამორჩეულ იქმნენ კომისიის წევრებად: თ. ს. ნ. ვეზირიშვილი, თ. ა. რ. ვახვახიშვილი, თ. ს. რ. ვახვახიშვილი, თ. ი. გ. ჯორჯაძე, ვ. ი. კიკნაძე, თ. ი. ი. ჯორჯაძე, თ. ი. გ. ქობულაშვილი, თ. გ. დ. მაყაშვილი, თ. ნ. ი. აბამელიქოვი, თ. ი. რ. რუსიშვილი და თავმჯდომარედ კომისიისა — თ. დ. გ. მაყაშვილი.

ერთმა არა თავად-აზნაურთაგანმა ი. ზ.-მ. (ილია ზარაფიშვილმა — წინამდებარე პუბლიკაციის ავტორმა — ქ.ნ.) ითხოვა სიტყვა და მოახსენა კრებას: პატივცემული საზოგადოება აჩქარდა, როცა მიიღო გადაწყვეტილება, ამხანაგობა მარტო თავად-აზნაურთაგან შევადგინოთო. თუ არ აჩქარებით, ვერ ამიხსნია, რად უარ-ჰყო საზოგადოებამ ისინი, ვის შრომით და ოფლით მოდის ის ღვინო, რომლისათვისაც არსდება ამხანაგობა? რით დაიმსახურა გლეხობამ ამისთანა დაწიხლვა? თუ იტყვით, გლეხებში ბევრნი ძალიან საწყალნი არიანო, განა თავად-აზნაურთა შორის არ არიან ღარიბნი და საწყალნი? განა თქვენ დღეს სიღარიბეს არ სჩიოდით? თქვენვე არა სთქვით, სიღარიბე კი-არა, სიმდიდრეა საშიში ამხანაგობისთვისო? რადგანაც კახეთში განსაკუთრებულის თვისების ღვინო მოდის, ვიდრე სხვა საქართველოს კუთხეში, უნდა ამხანაგობა შესდგეს მარტო კახეთის ვენახის პატრონებისაგან, მიუხედავად იმისა, თავადია, აზნაურია, გლეხია, თუ სამღვდელო. ვინც ისურვებს ამხანაგად შესვლას, უნდა მიღებული იქმნას, ოღონდ, ვენახი ჰქონდეს კახეთში. თუ ჰშიშობთ, მდიდარი ვაჭრები დაგვიამხანაგდებიან და დაშლიან საქმესაო, ისეთი წესდება შეადგინეთ, რომ იმათ ვერა დააკლონ-რა. განა მდიდრები თავად-აზნაურობაში არ არიან და განა ისინი-კი მოკლებულნი არიან ჯიბის გასქელების სურვილსა? თუ სუყველასთვის არ იქნება ამხანაგობის კარი ღია, ეგ რაღა ამხანაგობაა და ან ამისთანა ამხანაგობისაგან რა საზოგადო სარგებლობას უნდა ველოდდეთ. ისევ სირაჯის დუქანი იქმნება, რომლის მოგებაც მცირე რიცხვს გაუსქელებს ჯიბეს და უმეტესობას უფრო უარესს დღეში ჩაჰყრის. იმის მოგებით საზოგადოება ვერ ისარგებლებს. თუკი ასე იქმნება, თუნდა ყოფილა ამისთანა ამხანაგობა, თუნდა არა. კახეთს მალამო არ დაედება. ჩემის აზრით, საჭირო იყო კრებას ამ საგნის გადაწყვეტა რითიმე დაესაბუთებინა, როგორც სხვა საგნის შესახებ მოიქცა. არავის არა უთქვამს-რა ამ საგანზედ, გარდა თ. აბამელიქოვისა, რომელმაც გირჩიათ, მარტო თავად-აზნაურთაგან შევადგინოთ ამხანაგობაო. მიზეზი იმისი, თუ რად დავასკვენით ასეთი აზრი, არც იმას დაუსახელებია გარკვევით და არც სხვასა: სჯობდა კიდევ დაჰბრუნებოდით ბატონებო, ამ საგანს და იქნება რიგიანად გამორკვევის შემდეგ სხვა გადაწყვეტილება მიგეღოთ. ან იგივე გადაწყვეტილება უფრო რიგიანად დაგესაბუთებინათ.

თ. ი. რ. რუსიშვილი. სხვებიც რომ მივიღოთ, ბევრნი ვიქმნებით და საქმე ჩაგვეშლება.

ი. ზ. წეღან სჩიოდით, ცოტანი ვართ, ბევრი ფულის გამოღება არ შეგვიძლიან, ახლა სიბევრესა სჩივით?თავმჯდომარე. ჩვენის ამხანაგობის მოქმედება გლეხების ღვინოსაც ფასს დასდებს.

ი. ზ. როცა ვაჭრობა რომლისამე საგნისა ერთის ხელში ჩავარდება, მოქიშპე არ ეყოლება, ის ერთი ჰბატონობს. (აქ აირევიან, დაიწყებენ ლაპარაკს, აღარა ისმის-რა).

ჭეშმარიტად სამწუხაროა, როცა მთელი მაზრის მოწინავე დასის უმრავლესობა ასე ჰფიქრობს. სამწუხაროა და სავალალო არამარტო დღევანდელის დღისათვის, არამედ და უფრო მომეტებულად მომავლისათვის. რა იმედი უნდა გვქონდეს მომავალში, თუ-კი ასე გავნაწილდით, ჯგუფ-ჯგუფად გავედით და თითო წოდება ცალკე იმოქმედებს საერთო, საქვეყნო საქმეში? რა ძალი და ღონე მოიპოვება ამისთანა გაცალკ-გამოცალკევებით? განა შეიძლება იქ კერძო ბედნიერება, სადაც უმრავლესობა უბედურია? რა სჯობია ერთობას ჭირშიაც და ლხინშიაც, აღებაშიაც და გაღებაშიაც? სხვამ რომ დანერგოს განცალკევება ძმათა შორის, პირველი მოწინააღმდეგენი ჩვენ უნდა ვიყვნეთ და დახე, ისევ ჩვენვე არა ვსცდილობთ ჩვენსავე დაქსაქსვადანაწილებას?!

**ნადიკვარელი**
**(ილია ზარაფიშვილი — ქ.ნ.)**
**გაზ. ივერია, 1892 წელი**

# ამბროსი ხელაია: სიტყვა წარმოთქმული ილია მართლის ცხედრის წინაშე



ვკადნიერდები და ვბედავ ამ დიდებული ცხედრის წინაშე ვსთქვა ორიოდე სიტყვა.

დღეს მთელი საქართველო დასტირის დიდებული მამულის შვილის ცხედარს. დღეს საქართველომ დაჰკარგა უდიდესი მგოსანი, საუცხოვო და თავდადებული საზოგადო მოღვაწე, სიამაყე ლიტერატურისა. არა გვყავს ილია ჭავჭავაძე – მოჭირნახულე თავის ერისა. ის მოიკლა ბარბაროსების ბინძურის ხელით.

მაგრამ მოკვდა კი დიდებული ილია? „იქმენ მორწმუნე, ვიდრე სიკვდილადმდე და მოგცე შენ გვირგვინი იგი ცხოვრებისაი“ (გამოცხადება 2, 10). – გვიბრძანებს ჩვენ უფალი მოციქული იოანნე ღვთისმეტყველის პირით და ამით გვისახავს იმას, თუ რანაირი უნდა ვიყოთ ჩვენ ამქვეყნად, რომ დავიმკვიდროთ საუკუნო გვირგვინი – გვირგვინი უკვდავებისა. ნეტარია ის, ვინც ამქვეყნად პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, სწამს და თავგანწირულად ემსახურება სიმართლეს, ამას ისახავს მოქმედებად – მოღვაწეობის საფუძვლად. „პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკვდილი“ ამნაირის კაცისა (ფსალმუნი 115, 6). ის უკვდავია მისი ნამოქმედარით, მისი ხსოვნა უკუნისამდე დარჩება მადლიერ ერში. ამისთანა კაცი სიკვდილის შემდეგაც თვისის ნამოქმედარ-ნაღვაწით მასწავლებელი და დამრიგებელია, რადგან, მოციქულის თქმით, ის სიკვდილის შემდეგაც მეტყველებს (ებრ. 11, 4).

მაშასადამე, არ მომკვდარა ილიაც. ის ცოცხალია. ის მხოლოდ გარდაიცვალა სიკვდილისაგან ცხოვრებად. თუმცა დასდუმდნენ მჭევრმეტყველებით განთქმული ბაგენი, მაგრამ საქმენი მისნი მჭევრმეტყველურადვე ღაღადებენ და იღაღადებენ. ის თავისი ნაშრომ-ნაღვაწით უკვდავად დარჩება, სანამ ქართველი ერი იარსებებს. მეტიც: ქართველი ერიც რომ გადაგვარდეს, განადგურდეს უკუღმართ დრო-გარემოებათა გამო, მაშინაც არ იქნება დაკარგული დიდებულ მგოსან-მოღვაწის ხსოვნა, ვინაითგან საქართველოს ამ დიდებული შვილის ნაწარმოები ეკუთვნის არა მარტო ქართველ ერს, არამედ კაცობრიობას, რომლის ნაწილსაც შეადგენს ქართველობა.

განსვენებული დიდებულია თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით სამშობლოს საკეთილდღეოდ. მისი ღვაწლის სიდიადე არის მიზეზი, რომ ასე მწარედ დასტირის მას მთელი საქართველო. მაგრამ, ქართველნო, არა დაუვიწყარი ილიაა საგლოვ-სატირალი, არამედ ბედისაგან განწირული ჩვენი სამშობლო, – მისი დამკარგავი. განა არა კმაროდა, რაც უკუღმართ დრო-ვითარებამ უბედურება დაგვატეხა თავზე, რომ ჩვენ თვითონ აუწერელი უბედურება არ მიგვემატებია?! მაგრამ დასაჯერებელი კია, ეს უმაგალითო ბარბაროსული მკვლელობა ჩაედინოს საქართველოს შვილს, იმ საქართველოსას, რომლის თავგანწირულად სამსახურში გაატარა განსვენებულმა მთელი 50 წელიწადი.

თუკი ეს ბრალი დაედო ქართველობას, მაშინ ჭეშმარიტად ჩვენი გახრწნილება, ზნეობრივად დაცემა, ველურობა, უკუღმართობა იქნება სატირალი. ამას უნდა ღრმად ჩავუფიქრდეთ, თუ გვინდა დავრჩეთ ქართველ ერად. განსვენებული კი ნეტარია. გზა გაკაფულია. ის უკანასკნელ წუთამდის ერთგულად ემსახურებოდა იმ იდეალებს, რომლებიც მან ამ ნახევარი საუკუნის წინათ აირჩია ქართველი ერის საკეთილდღეოდ. ერთის ნაბიჯითაც არ გადაუხვევია, არ უღალატნია მათთვის და ამისთვის, მიციქულის თქმისაებრ, მზა არს მისთვის „გვირგვინი ცხოვრებისა“ (გამოცხადება 2, 10), გვირგვინი უკვდავებისა.

დიდებულ გვამთაგან გარდაცვალებასაც კი აქვს ჩვენთვის რაიმე მნიშვნელობა, ისიც უთუოდ რამეს გვასწავლის. მივიჩნიოთ ეს ბარბაროსთაგან დაღვრილი სისხლი ჩვენს ეროვნულ ცოდვათა განსაწმედად, უკუღმართ გზიდან მოსაქცევად, მთლად საქართველოს შვილთა შესაერთებლად, განსამტკიცებლად.

შევფიცოთ ამ წინამდებარე ცხედარს, რომ ვიქნებით ნამდვილი აღმასრულებელნი იმ მცნებისა, რომელიც განსვენებულმა თვისის მოღვაწეობით გვიანდერძა ჩვენ. თუ ჩვენ გვექნება ერთობა ეროვნულ იდეალების მსახურებაში, მაშინ უეჭველია ჩვენმა სამშობლო მხარემ შეიძლება კიდევ წარმოშოს ილიასებრი დიდებული მოღვაწენი და მაშინ საბოლოოდ განიხარებს განსვენებულის დიდებული უკვდავი სული. იყოს უკანასკნელი მხვერპლი, სამშობლოს საკეთილდღეოდ და ჩვენთან ეროვნულ ცოდვათა სახსრად შეწირული ეროვნულ ტრაპეზზედ. სიდიადე ამ მსხვერპლისა თავდებია, რომ მომავალში ჩვენი უკუღმართობა, ჩვენი შეუგნებლობა მოსპობილ იქნება და ერთობლივის ძალით შევუდგებით პირნათლად სამსახურს სამშობლო მხარის აღორძინებისას. თუ ამნაირი ღვაწლი დაგვდო ჩვენ ამ მსხვერპლის სისხლმა, თუ ჩვენ შეგვაერთა მამულისათვის თავდადებით სამსახურში, – ეს იქნება უკანასკნელი, ჭეშმარიტად დიადი ღვაწლი დიდებულის ილიასი – მისი ხანგრძლივი შრომის სასურველი ნაყოფი და გვირგვინი. ჩვენის მხრითაც ეს იქნება ნამდვილი ვალის მოხდა, მისი ანდერძის აღსრულება და თან საუკეთესო პატივისცემაც განსვენებულის ხსოვნისა. ღმერთმან მოგვცეს ამის შეძლება.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, მამულისათვის თავდადებულო, დიდებულო მგოსანო, ილიავ!

**არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია)**
**1907 წელი**

# მხოლოდ მხარში დგომა, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული გადაგვარჩენს — ამას გვასწავლიდა და დღესაც გვირჩევს ჩვენი დიდი წინაპარი, წმინდა ილია მართალი



ოქტომბერში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების ვნებათაღელვა ჯერ კიდევ არ განელებულა, ოპოზიციაში მყოფი პარტიები აუგ სიტყვებს არ იშურებენ ხელისუფლების მიმართ და არჩევნების გაყალბებაზე მიუთითებენ. მათდა სამწუხაროდ, საერთაშორისო დამკვირვებლებმა, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ, საქართველოში ამერიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა იან კელიმ კი ჩატარებული არჩევნების კამპანია დადებითად შეაფასეს.

ჩვენი დიდი წინაპარი ბრძანებდა — „ხმა არ უნდა დაითვალოს, უნდა აიწონოს. არჩევნებს სხვა მნიშვნელობა არა აქვს რა, თუ ამომრჩეველთა სურვილის გამოთქმისა, არჩევნებში მონაწილეობა დიდი საქმეა, დიდი მოვალეობაა და ამიტომაც დიდი წინდახედულობა, დიდი სიფრთხილე და განსჯა გმართებთ.

რადგანაც ყველაზე ჭკვიანი ადამიანი ასეთ მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხის რჩეულთა შერჩევას, ჩემი პირველი კითხვაც ამ თემაზე იქნება, ვინაიდან მუნიციპალიტეტის გამგებელი უპირველესად პოლიტიკური ფიგურაა და პასუხისმგებლობაც თქვენ გეკისრებათ მიღებულ შედეგებზე.

**— წარმოიდგენდით, რომ ასეთი მხარდაჭერა ექნებოდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ყვარლის მუნიციპალიტეტში?**

— ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ ყვარლის მუნიციპალიტეტში და განსაკუთრებით ქალაქ ყვარელში კიდევ დარჩებოდა მხარდამჭერები ნაციონალურ მოძრაობას. თუმცა,ეს თვალნათლივ მიანიშნებს იმაზე, რომ მართლაც დემოკრატიულ ვითარებაში, ყოველგვარი ძალადობის გარეშე ჩაიარა პირველმა ტურმა.

**— თუ გაქვთ გაანალიზებული რატომ ჰყავდათ ნაციონალებს ასეთი რაოდენობით მხარდამჭერები?**

— არჩევნებისათვის მზადების პერიოდში რადიო, პრესა, ტელევიზია, ექსპერტები ნაციონალური მოძრაობის მიერ დესტაბილიზაციისა და ახალი რევოლუციური სცენარების მოსალოდნელ განხორციელებაზე მიგვითითებდნენ და იქადნოდნენ, რომ არჩევნები მათი ტრიუმფალური გამარჯვებით დასრულდებოდა და ხელისუფლებაში დაბრუნდებოდნენ. თუმცა ეს ასე არ მოხდა და ვერც მოხდებოდა, რადგან მოსახლეობას კარგად ახსოვს მათი სახე, ჩადენილი ძალადობა და უკანონობა.

ისიც ვიცით, რომ ზოგიერთი ადამიანი ოცნების მიმართ გამოხატავდა უკმაყოფილებას თუნდაც იმის გამო, რომ ვერ დაასაქმეს. ნათქვამია — „წვიმა მოვიდა, მაგრამ ყველგან ვერ მისწვდაო“. ჩვენ ყოველნაირად ვცდილობდით შეგვემსუბუქებინა ადამიანთა მძიმე სოციალური მდგომარეობა და ყველაფერი კეთდებოდა ამ მიმართულებით.

არჩევნებს პირველივე ტურში ოცნებამ პროპორციული სიით უმაღლესი პროცენტი დააფიქსირა და ნაციონალების ხელისუფლებაში დაბრუნების მცდელობას ცივი წყალი გადაასხა. გონიერმა ადამიანებმა შეაფასეს მეორე ტურის წინ არსებული ვითარება და თელავისა და ყვარლის, ყვარელი-ლაგოდეხის მაჟორიტარმა დეპუტატობის კანდიდატებმა ირაკლი სესიაშვილმა და გურამ მაჭარაშვილმა შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვეს მეორე ტურად გამართულ არჩევნებში.

ვულოცავ მათ სახელოვან გამარჯვებას, ვუსურვებ ყოველივე კარგს საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში. ვისურვებდი ბევრი სასიკეთო საქმეები აკეთონ ყვარლის, ლაგოდეხის და თელავის მუნიციპალიტეტების მოსახლეობისათვის.

**— მუნიციპალიტეტებში გამგეობის საქმიანობის შეფასების ძირითადი განმსაზღვრელი კრიტერიუმი მოსახლეობის ყოფითი პირობების გაუმჯობესებისათვის გაწეული მუშაობაა. რა გაკეთდა ყვარლის მუნიციპალიტეტში გასული წლის ილიაობიდან დღემდე?**

— გეთანხმებით, გამგეობის საქმიანობის ძირითად მიმართულებად დავისახეთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან კომუნიკაცია და მათ მიერ დაყენებული პრობლემების შესწავლა-გაანალიზება. პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტა ადგილობრივი ბიუჯეტით შეუძლებელია და მოსახლეობისათვის მეტად აუცილებელი, ვასაბუთებთ და ვაგზავნით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდში. ამასთან, წინასწარ ვახდენთ საპროექტო დოკუმენტაციების შესყიდვას და პროექტების მნიშვნელოვან რაოდენობას გვიფინანსებს ფონდი.

კერძოდ, მიმდინარერ წელს ფონდმა დაგვიფინანსა სოფ. ენისელში სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაციის პროექტი 257 ათასი ლარით, სოფელ შილდაში სკვერის მოწყობის პროექტი — 170 ათასი ლარით, ხოლო სოფ. ალმატში მინი სპორტული მოედნის და სკვერის მოწყობის პროექტი 74 ათასი ლარით. სამივე ობიექტზე პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები დასრულებული იქნა განსაზღვრულ ვადებში.

ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაციამ და გამრიცხველიანებამ



შესაძლებელი გახადა ენისლის მოსახლეობას სასმელი წყალი მიეღო 24 საათიანი რეჟიმით. ეს მათი საუკუნოვანი ოცნება იყო.

ფონდის მეშვეობით ქ. ყვარელში ბოგირის უბანში შენდება საბავშვო ბაღი — რომლის საპროექტო ხარჯთაღრიცხვა 364 ათასი ლარია, ასევე დასრულების სტადიაშია შინმოუსვლელთა სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები, რომლის საპროექტო ხარჯთაღრიცხვა 748 ათასი ლარია.

850 ათასი ლარია გამოყოფილი ილია ჭავჭავაძის და რაჭის ქუჩის მოასფალტება და სანიაღვრე არხების რეაბილიტაციისათვის. ეს პროექტი გარდამავალია და მომავალ წელს 945 ათასი ლარით უნდა დაფინანსდეს, მაგრამ კომპანია „სერ-პანტინმა“ ყველაფერი იღონა, რომ ნოემბრამდე პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების 72 პროცენტი შეესრულებინა.

2016 წელს რეგიონების განვითარების ფონდმა ყვარლის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები 2464208 ლარით დააფინანსა, რამაც საშუალება მოგვცა მოსახლეობისათვის მტკივნეული პრობლემები მოგვეგვარებინა.

მიმდინარე წელს სოფლის მხარდაჭერის პროექტით ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებს გამოეყოთ 567380 ლარი, რომლის საშუალებითაც მოსახლეობისათვის მეტად აუცილებელი პრობლემების მოგვარება მოხდა.

სოფელ ახალსოფელში სასმელი წყლის მაგისტრალი მოეწყო, სასაფლაოს ღობეს რეაბილიტაცია ჩაუტარდა, სოფელ თივში გარე განათება მოეწყო, სოფელ სარუსოში სასაფლაო შემოიღობა და მისასვლელი გზა მოიხრეშა.

სოფელ ბალღოჯიანში მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 42 ათასი ლარი, სოფელ გავაზში საბავშვო ბაღის რემონტზე, სასმელი წყლის რეზერვუარის და სადაწნეო კოშკის მოწყობაზე — 51 ათასი ლარი.

სოფელ გრემში და შაქრიანში სასმელი წყლის რეზერვუარი და სადაწნეო კოშკი მოეწყო, საბავშვო ბაღს ჩაუტარდა რემონტი.

სოფელ ენისელში სასმელი წყლის ქსელის მოწყობაზე 33 ათასი ლარი დაიხარჯა, სოფელ კუჭატანში კლუბის შენობის რემონტზე, მგზავთა მოსაცდელის მოწყობაზე — 16 ათასი ლარი, წინკანაანთსერში საბავშვო ბაღის რემონტზე — 15 ათასი ლარი, სანავარდოში გარე განათების მოწყობაზე და საბავშვო ბაღის რემონტზე — 26 ათასი ლარი,მთისძირში საბავშვო ბაღის რემონტზე — 24 ათასი ლარი, საბუეში სანიაღვრე არხის აღდგენა და მიმდებარე გზის რეაბილიტაციაზე — 22 ათასი ლარი, შილდაში კულტურის სახლის რეაბილიტაციაზე — 78 ათასი ლარი, ჭიკაანში სკვერის კეთილმოწყობაზე — 35 ათასი ლარი და ა.შ.

იმის გამო, რომ სოფლის მხარდაჭერის პროექტით ქ. ყვარელი არ ფინანსდება, ადგილობრივი ბიუჯეტით რჩეულიშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხები მოეწყო, ილიას გორაზე კი ძეგლის და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია მოვახდინეთ.

სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ნაწილობრივი აღდგენითი-სალიკვიდაციო სამუშაოების ჩასატარებლად გამოვყავით 28 ათასი ლარი, ხოლო „ილიას“ ტბის შემავსებელი სალექარის გაწმენდის სამუშაოების ჩასატარებლად — 21 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან 122 ათასი ლარი დასჭირდა რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების დაფინანსებას.

**— კომუნისტური წყობის შემდგომ ასეთი ფართო მასშტაბური მოცულობის სამუშაოები არ ჩატარებულა ყვარლის მუნიციპალიტეტის ქალაქსა და სოფლებში, ვგულისხმობ გზების მოხრეშვას და დურუჯის ხეობიდან დიდი რაოდენობით ინერტული მასის გატანას. მოსახლეობას უთუოდ დააინტერესებს რა მოცულობის სამუშაოები შესრულდა და ვისი დაფინანსებით?**

— მართალი ბრძანდებით, ასეთი მასშტაბური მოცულობის სამუშაოები დიდი ხანია არ განხორციელებულა მდინარე დურუჯის ხეობაში. თვეზე მეტი იმუშავეს ავტომანქანებმა, რომელთაც სოფლებში: მთისძირში, ბალღოჯიანში, ახალსოფელში, ჭიკაანში, გავაზში, კუჭატანში, შილდაში, ენისელში, გრემში და საბუეში 40 კილომეტრზე მოახდინეს შიდა სასოფლო გზების მოხრეშვა. ამავე სოფლებში 20 კილომეტრზე მოიხრეშა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი გზები, ხოლო დურუჯის ხეობიდან გატანილი იქნა დიდი რაოდენობით ინერტული მასა.

მთავარი ისაა, რომ ეს სამუშაოები განხორციელდა ქველმოქმედებით და რაიონის ბიუჯეტიდან დაიხარჯა უმნიშვნელო რაოდენობის თანხა.

**— უმცროსი თაობის ახალგაზრდობა არდადეგების პერიოდში გართობისა და დასვენებისთვის თბილისში, თელავსა და სხვა ქალაქებში მიემგზავრებოდნენ, რადგანაც ყვარელში არ იყო ამის შესაძლებლობა. ქალაქის შემოსასვლელში დიდი ხანია მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები და უკვე გამოჩნდა კონტურები, რაც მიანიშნებს, რომ პატარებს ადგილზევე ექნებათ დასვენებისა და გართობის შესანიშნავი პირობები. როდის უნდა დამთავრდეს კეთილმოწყობის სამუშაოები და რა სახის ატრაქციონები იმუშავებენ?**

— ვერ დაგეთანხმებით, რადგან ყვარელში არსებობს ყველასთვის საყვარელი „ილიას ტბა“, სადაც ყვარლის მოსახლეობა იკრიბება. აქ დამსვენებლები მთელი საქართველოდან მოდიან. მიმდინარე წელს დამსვენებელთა უპრეცენდენტო რაოდენობა დაფიქსირდა. ჩვენი ქალაქის შემოსასვლელში არსებული ე.წ. „შინმოუსვლელთა სკვერი“ პირუტყვის სათარეშოდ იყო ქცეული, ამიტომაც მოვახდინეთ წინასწარ საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა და რეგიონების განვითარების ფონდმა 748235 ლარით დააფინანსა მიმდინარე წლის დასაწყისში. სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ნორმალური ტემპით. ვიმედოვნებთ, რომ მშენებელი ორგანიზაცია მიცემულ ვადაში 20 დეკემბრისთვის დაამთავრებს პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებს.



ბავშვებს საშუალება ექნებათ ისეირნონ საბავშვო მატარებლით, კარუსელით, დაისვენონ ბუნგალოებში, გაერთნენ საქანელებით, ჩამოსაცურებლებით და სხვა ატრიბუტებით. ღია სპორტულ მოედნებზე და ჩოგბურთის კორტებზე შეეძლებათ დაოსტატდნენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

**— ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალზე (ილია ჭავჭავაძის მუზეუმიდან ილიას გორამდე) დიდი ხანია მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, რა სიკეთეს მოუტანს ეს ქალაქის მოსახლეობას?**

— ქ. ყვარელში ილია ჭავჭავაძის და რაჭის ქუჩის მოასფალტებისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის სამუშაოების შესასრულებლად გამოვაცხადეთ ტენდერი, რომელშიც გაიმარჯვა კომპანია „სერპანტინმა“, რომლის დირექტორია ჩვენი თანამემამულე, ყვარლისათვის თავგამოდებული პიროვნება, ბატონი ზურაბ ფეიქრიშვილი. პროექტით ეს ობიექტი გარდამავალია, მაგრამ მშენებლობის ტემპი ისეთია, რომ ვადაზე ადრე ჩააბარებენ.

— უპირველესად მივანიშნებ, რომ დახურული ღვარგამშვები არხების წყალობით ფართოვდება გზის ცენტრალური მაგისტრალი და ასევე ფეხით მოსიარულეთა ბილიკები. რაც მთავარია, ქალაქის ცენტრალურმა მაგისტრალმა შეიცვალა იერ-სახე და იგი თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობს.

**— განსაკუთრებული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას თუ აპირებთ მომავალი წლიდან?**

— მომავალ წელს უნდა გავაუმჯობესოთ ქალაქის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა, რათა ჩვენს პატარებს ჰქონდეთ კომფორტული გარემო ნორმალური სწავლისა და აღზრდისათვის. ამჟამად მიმდინარეობს საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა და იმედია ფონდი დააფინანსებს ყვარლის №1 და №2 საბავშვო ბაგა-ბაღებში შენობების რეაბილიტაციის სამუშაოებს.

ყვარელში დაზიანებულია გოგებაშვილის ქუჩა. ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ ამ ქუჩაზე რეაბილიტაციის სამუშაოები ჩავატაროთ და ასფალტი დაიგოს. ასეთივე მდგომარეობაა დემეტრეს ქუჩაზე, ამიტომ მასზე რეაბილიტაციის სამუშაოების ჩატარებისათვის პროექტი შესყიდულია და მოთხოვნილი გვაქვს დაფინანსება.

კვლავ გაგრძელდება სოფელ ბალღოჯიანთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციისა და მოასფალტების სამუშაოები. სოფელ ჭიკაანში კი კულტურის სახლს ჩაუტარდება რემონტი და კეთილმოეწყობა მიმდებარე ტერიტორია.

ვიმედოვნებთ, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით კვლავაც ბევრ პრობლემას გადავწვეტთ მუნიციპალიტეტის სოფლებში. ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული გვაქვს სოფელ გრძელჭალაში და შილდაში გარე განათებების მოწყობა, საბუეში ადმინისტრაციული შენობების რემონტი და სახურავის რეაბილიტაცია, შილდის ადმინისტრაციულ შენობაში მუსიკალური სკოლის განთავსებისთვის ოთახების რემონტი

და სახურავის რეაბილიტაცია, გავაზში სამუსიკო სკოლის შენობაში ფანჯრების შეცვლა, სოფელ ენისელში „ბომბეის“ უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა.

ქ. ყვარელში ადგილობრივი ბიუჯეტით კაზარმის მრავალბინიან საცხოვრებელ სახლთან საკანალიზაციო ორმო გაკეთდება, ხოლო ი. ჭავჭავაძის ქუჩაზე „ლაითბოქსები“ მოეწყობა. რეაბილიტაცია ჩაუტარდება „9 აპრილის“ სახელობის სკვერს, სანიაღვრე არხები გაკეთდება „კაზარმაში“, სააკაძის, „ლაშარის“ და გურამიშვილის ქუჩებზე. მოხდება ელადის ქუჩის მოასფალტება.

**— მუნიციპალური საავადმყოფოს ფუნქციონირების აღდგენაზე თუ ფიქრობთ?**



— საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყვარლის მოსახლეობა მოკლებულია სამედიცინო მომსახურების სერვისებს მუნიციპალური საავადმყოფოს არ არსებობის გამო. საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ბატონმა ირაკლი სესიაშვილმა გულთან მიიტანა ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გასაჭირი და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ აღდგენილი იქნას მუნიციპალური საავადმყოფოს ფუნქციონირება.

**— ყვარლის მუნიციპალიტეტში წელს ვიზიტორთა ოდენობამ განსაკუთრებულად იმატა, რა შემოსავლები მოუტანა ტურიზმმა ადგილობრივ ბიუჯეტს?**

— მართლაც ჯერ არნახული რაოდენობის ვიზიტორი ესტუმრა მიმდინარე წელს ყვარლის მუნიციპალიტეტის ტურისტულ ობიექტებს. რასაკვკრველია, შესაბამისად იზრდება საბიუჯეტო შემოსავლებიც. ამჟამად



მიმდინარეობს მუშაობა კონკრეტული ციფრების დასადგენად.

**— მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სოციალურად გაჭირვებულია და მიღების დღეებში გაკითხავენ დახმარებისთვის. რამდენ ადამიანს მოუგვარეთ პრობლემები?**

— მუნიციპალიტეტის გამგეობას მიმდინარე წელს სოციალურად დაუცველმა 1377 ადამიანმა მოაკითხა დახმარებისათვის. 312 ბენეფიციარს ოპერაციებზე გადავურიცხეთ 78908 ლარი, 496 ბენეფიციარს მედიკამენტებზე 34 221 ლარი; 281 ახალშობილზე გადავრიცხეთ 64 000 ლარი. მრავალშვილიან დედებზე ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად გავეცით 36500 ლარი, გარდა ამისა ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიიღო 244 ბენეფიციარმა, ერთჯერადი სარიტუალო დახმარება 43 ბენეფიციარმა.

მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ შეჭირვებულ ადამიანებს დავეხმაროთ ყოფითი პრობლემების მოგვარებაში.

**— მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შემოსავლების ზრდა ძირითადად დამოკიდებულია სოფლის მეურნეობაზე, კერძოდ მევენახეობაზე. როგორი რთველი იყო წელს და მოსახლეობა თუ არის კმაყოფილი?**

— მიმდინარე წლის არახელსაყრელი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე არასახარბიელო მოსავალი მიიღეს ჩვენმა მევენახეებმა. სულ დაიკრიფა 29555 ტონა ყურძენი, ყურძნის გადამამუშავებელ ქარხნებს ჩაბარდათ 22037 ტონა ყურძენი, ხოლო 7 ათას ტონამდე მოსახლეობამ დაწურა საკუთარ მარნებში.

სამაგიეროდ მიმდინარე წელს უხვი მოსავალი იქნა მიღებული ხორბლის, სიმინდის და ბაღჩეული კულტურების.

**— როგორი განწყობით ხვდებით ილიაობის დღესასწაულს?**

— განწყობა ამაღლებული გვაქვს თვითეულ ჩვენთაგანს, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდება მომავალ ოთხ წელიწადში საქართველოს მოსახლეობისათვის.

ქართველების წარუმატებლობის მთავარი მიზეზი შური და გაუტანლობა იყო.

ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა განსაკუთრებულად აღნიშნავენ „პატიების“ დღესასწაულს, ამ დღეს შემდურებული ოჯახები ეპატიჟებიან ერთმანეთს და ხდება მათი შერიგება საზეიმო ვითარებაში.

სამწუხაროდ ჩვენთან ასე არ არის. უნდა შევძლოთ ადამიანებმა ერთმანეთის მიმართ გამოვიჩინოთ ლმობიერება, მოვიცილოთ შუღლი და გაუტანლობა, რომელთა გამო ხშირად ვმარცხდებით.

მხოლოდ მხარში დგომა, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული გადაგვარჩენს — ამას გვასწავლიდა და დღესაც გვირჩევს ჩვენი დიდი წინაპარი, წმინდა ილია მართალი.

მაშ ვიაროთ ილიას გზით, უფალი იყოს სრულიად საქართველოს და ჩვენი ერის მფარველი.

**ესაუბრა
ალექსანდრე გიგილოშვილი**

# მინდა მთელ საქართველოს მივულოცო „ილიაობა“ და გისურვოთ ყველას — ილიას გზით გვევლოს

*ქ. ყვარლის ცენტრალურ, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებმა არახელსაყრელი ვითარება შექმნა მოსახლეობისათვის, ვინაიდან ავტოტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის გამო ბინძურდებოდა გარემო. ჩვენმა თანამემულემ, ყველასათვის ცნობილმა, საყვარელმა და პატრიოტმა პიროვნებამ ბატონმა ზურაბ ფეიქრიშვილმა გაიზიარა თანაქალაქელების გასაჭირი და პრობლემა დროულად მოაგვარა. იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობას აინტერესებს გზის მშენებლობის მიმდინარე პროცესები და მისი დამთავრების ვადები, შევხვდით ბატონ ზურაბს და გავესაუბრეთ.*



## კომპანია „სერპანტინი“ გეგმავს სამუშაოები დაასრულოს 2016 წელს საკუთარი სახრებით

**— ბატონო ზურაბ, თქვენმა ფირმამ ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა და ვალდებულება დაგეკისრათ ყვარელში ი. ჭავჭავაძის და რაჭის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება, თუმცა თავიდან ტემპი ასეთი არ იყო, როგორც ახლა, რა გიშლიდათ ხელს?**

— კომპანია, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, მოიგო ტენდერი ღირებულებით 1 795 000 ლარი, რომლის დასრულების ვადა განსაზღვრულია 2017 წლის 11 ოქტომბრამდე. ხელის შემშლელი ფაქტორები არაფერი იქნებოდა ეს პროექტი რომ არ ხორციელდებოდეს ქ. ყვარელის შუაგულში, პროექტის მიხედვით სანიაღვრე კოლექტორი უნდა მოწყობილიყო სავალი ნაწილის შუაში, რაც ძალიან დიდ პრობლემებს აჩენდა. ჩვენს მიერ ყველა მოსამზადებელი სამუშაო იქნა ჩატარებული და დაიწყო სამუშაოები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გადასატანი ხდებოდა გაზი, რომელიც ზუსტად იქ გადის, სადაც უნდა მოწყობილიყო კოლექტორი, ამიტომ გაზის გადატანა თავისთავად უნდა მომხდარიყო მშენებლობის პარალელურად, რაც გამოიწვევდა მოსახლეობის 4-5 თვით გაზმომარაგების შეწყვეტას, გავითვალისწინეთ რა მოსალოდნელი პრობლემები, ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნა ალტერნატიული წინადადება საპროექტო ცვლილებებთან დაკავშირებით, რათა თავიდან აგვეცილებინა მოქალაქეთა უკმაყოფილება. ყვარლის მუნიციპალიტეტის თანადგომით მოვახდინეთ პროექტის კორექტირება, რასაც ბუნებრივია, გარკვეული დრო სჭირდებოდა. ცვლილებების შემდგომ კი სამუშაოები მიმდინარეობს ჯერ-ჯერობით შეფერხების გარეშე, თუმცა პრობლემა გაქვს მარცხენა მხარეს „სილქნეტის“ კომუნიკაციებთან და იმედია მალე მოვაგვარებთ.

**— ამიტომაც შეწუხებული იყო ამ ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობაც და მგზავრებიც, რადგან აუტანელი მტვრის გამო სუნთქვა არ შეიძლებოდა, ვინ მოიფიქრა, რომ ნაწილობრივ ასფალტირება მომხდარიყო ამ ქუჩის?**

— მოგეხსენებათ, მეც არავისზე ნაკლებად ვწუხდებოდი ამ მტვრით, მაგრამ ყველა სახის სამუშაოს აქვს თავისი სპეციფიკა. მიუხედავად ამისა, კომპანია წავიდა იმ ხარჯზე, რომ ასფალტის ქვედა ფენა მოგვეწყო მტვრის მოსაცილებლად. თქვენ ხედავთ, რომ მუშა პროცესში ეს ფენა კიდეებზე ზიანდება, რაც შემდგომ აუცილებლად უნდა აღვადგინოთ. ეს უკვე დამატებითი ხარჯია, მაგრამ მაქსიმალურად გავითვალისწინეთ მოსახლეობის ინტერესები.

**— ყოველდღე გვიხდება ამ ქუჩაზე გავლა-გამოვლა და გვიხარია, რომ საშვილიშვილო საქმე კეთდება. ასე თავგამოდებით მომუშავე ადამიანები იშვიათად მინახავს, ზაფხულის ცხელ გაუსაძლის დღეებშიც და ახლა აცივების შემდგომ წვიმაშიც შეუპოვრად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, უპრიანი იქნება მათი ვინაობა იცოდეს ქალაქის მოსახლეობამ.**

— კომპანია „სერპანტინი“ ზოგადად საქართველოში გამოირჩევა ძალიან მაღალი პროფესიონალიზმით და ჩვენი პერსონალის მაღალი კვალიფიციურობით. მათ უამრავი პროექტი აქვთ განხორციელებული კახეთის რეგიონში და თავი არსად შეურცხვენიათ. იმედია ქალაქის მოსახლეობაც გაგებით შეხვდება გარკვეულწილად იმ დისკომფორტს, რომელიც ექმნებათ მშენებლობის პროცესში და გვერდში ამოუდგებიან ჩვენს თანამშრომლებს.

**— თქვენი თვალსაზრისით რა სახის და როგორი სირთულის სამუშაოები განახორციელა თქვენმა ფირმამ?**

— რაც შეეხება სამუშაოების სირთულეს, აქ მაგდაგვარს ვერაფერს ვხედავ, უბრალოდ ქალაქის და დასახლებული პუნქტების პრობლემატიკა რაც არის, ესაა მიწისქვეშა კომუნიკაციები. თავის დროზე ეს კომუნიკაციები გაკეთებულია ყოველგვარი სტანდარტების დაცვის გარეშე, თან



მოძველებულია, ყავს სხვადასხვა მეპატრონე და ყოველივე ეს ქმნის გარკვეულ პრობლემებს, თუმცა ვცდილობთ ერთობლივად, მათთან ერთად მოვაგვაროთ ყველა პრობლემა. სხვა მხრივ ჩვენი კომპანიისათვის სირთულე არ არსებობს. შეიძლება ბევრმა არ იცის, მაგრამ ვიტყვი, რომ ჩვენს მიერ განხორციელებულია „ნეკრესის“ სამონასტრო კომპლექსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, ბოლომდე ქვაფენილების ჩათვლით და ამის მერე მკითხველი მიხვდება, რომ ჩვენთვის სირთულე არ არსებობს.

**— ცნობილია, რომ პროექტი გარდამავალია და დამთავრება გათვალისწინებულია მომავალ წელს, ცხადად ჩანს, რომ სამუშაოების უდიდესი ნაწილი დამთავრების სტადიაშია, მაინც როდის ითვალისწინებთ მის ჩაბარებას?**

— როგორც თავში აღვნიშნე, პროექტი მომავალი წლის ოქტომბერში უნდა დამთავრდეს, თუმცა კომპანია „სერპანტინი“ გეგმავს სამუშაოები დაასრულოს 2016 წელს საკუთარი სახსრებით, კონტრაქტი პროექტის ღირებულების ნახევარზე მეტის გადახდას ითვალისწინებს 2017 წელს, თუმცა ჩვენ გაგვაჩნია იმის რესურსი, რომ სამუშაოების დასრულება მოვახდინოთ მიმდინარე წლის ბოლომდე.

**— თქვენ როგორც გამოცდილმა პატრიულმა და სამეუნეო მუშაკმა თავი გამოიჩინეთ საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადებისას საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში, ელოდით ასეთ შედეგებს?**

— ჩემი საქმიანობის პარალელურად მომიწია საარჩევნო საკითხებში აქტიური ჩაბმა, რაც უფრო მეტად განპირობებული იყო ცოტა განაწყენებით I ტურის შედეგებიდან გამომდინარე. მე და ჩემმა მეგობრებმა ვფიქრობ შევძელით საარჩევნო სტრატეგიის სწორად განსაზღვრა, მისი სწორი ორგანიზება და შედეგიც სათანადო მივიღეთ. რა თქმა უნდა, ველოდით ასეთ შედეგს. ეს შედეგი მესამეა საქართველოს მასშტაბით და ახლა მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა მოვუხადო ყველა ამომრჩეველს პირველ რიგში და ყველას, ვინც გვერდში დაგვიდგა, რათა I ტურის სირცხვილი ჩამოგვერეცხა, თუმცა სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ არჩევნების მოგება I ტურშიც შეიძლებოდა. ალბათ რაღაცეები სწორად ვერ შევაფასეთ და ცოტა მოშვებულებიც ვიყავით.

**— რას უსურვებდით ჩვენს ახლადარჩეულ მაჟორიტარ დეპუტატებს, ბატონ ირაკლი სესიაშვილს და ბატონ გურამ მაჭარაშვილს?**

— რაც შეეხება ბატონ ირაკლის და ბატონ გურამს, მე მიხარია, რომ ჩვენს რაიონს საქართველოს პარლამენტში ეყოლება ორი წარმომადგენელი ირაკლი სესიაშვილის და გურამ მაჭარაშვილის სახით, ორი ახალგაზრდა, ენერგიული და სამშობლოზე შეყვარებული ადამიანი. გულწრფელად მინდა მათი წარმატება, რამეთუ ეს ჩვენი რაიონის წარმატება იქნება. ასევე ჩვენ, ამომრჩევლებმაც უნდა ვიაქტიუროთ და მათი საშუალებით რაც შეიძლება მეტი საკითხები მივიტანოთ საქართველოს მთავრობამდე. მეიმედებიან ჩვენი დეპუტატები და წარმატებები მინდა ვუსურვო მათ საქმიანობაში.

**— დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, წმიდა ილია მართლის იუბილე რას გვახსენებს?**

— წმინდა ილია მართლის იუბილე თითოეული ქართველისათვის მეტად მნიშვნელოვანი თარიღია, განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობაა თითოეული ყვარლელისათვის, მომავალი წელი დიდი ილიას საიუბილეო წელია და ვფიქრობ მზადება უკვე დასაწყებია. მინდა მთელ საქართველოს მივულოცო „ილიაობა“ და გისურვოთ ყველას — ილიას გზით გვევლოს.

**ესაუბრა
ალექსანდრე გიგილოშვილი**



# მოგონებები ილია ჭავჭავაძეზე — ექვთიმე თაყაიშვილი

ილია ჭავჭავაძე პირველად ვნახე ჩემი სტუდენტობის დროს, ვგონებ, როდესაც III კურსზე ვიყავი გადასული. კარგად კი არ მახსოვს, ასე 1885 წელს უნდა ყოფილიყო. ილია ქართული სათავადაზნაურო ბანკის საქმეზე ჩამოვიდა პეტერბურგში და ბინად ჩამოხტა ვასო მაჩაბელთან. ილია და ის ვასო მაშინ დიდი მეგობრები იყვნენ, ილია შვილებს უნათლავდა. ვასო ნაფიცი ვექილი იყო, ადვოკატი თავად მინგრელსკისა, რომელიც მაშინ პეტერბურგში ცხოვრობდა. ვასო ქართველ სტუდენტებს ეხმარებოდა ხოლმე ხელმოკლეთათვის ფულის შესაკრებად საღამოების მოწყობაში. ერთი ასეთი საღამოს შემოსავალი, სამი ათასი მანეთი სტუდენტებს ვასილის თანხმობით გადაედოთ, როგორც ხელუხლებელი თანხა და ხუმრობით „დარდუბლის კიდობანი“ დაერქმიათ მისთვის. ის ფული თვით ვასილ მაჩაბელს ჰქონდა მიბარებული. იმ წელიწადს ვასილმა გადაწყვიტა საქართველოში დაბრუნება, თავისი სახლის ლიკვიდაციას აპირებდა (მგონი, ნევის როსპექტზე ცხოვრობდა) და წინადადება მოგვცა სტუდენტებს, იმ თანხასაც თან წავიღებ და შესანახად გადავცემო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომლის თავმჯდომარეც ილია ჭავჭავაძე არისო. სტუდენტებმა არ მიიღეს ეს წინადადება და მოითხოვეს, ფული პეტერბურგში დაეტოვებინა. მაშინ მაჩაბელმა უთხრა — წარმომადგენელი გამოგზავნეთ და ილია ჭავჭავაძის თანდასწრებით გადავწყვიტოთ ეგ საქმეო. სტუდენტობამ აგვირჩია და გაგვაგზავნა სამი კაცი: მიხაკო ღვდლიევი [მღვდლიაშვილი. გ. ლ.] (შემდეგ ჩვენი სენატორი რომ იყო), ალექსანდრე ლორთქიფანიძე (მერაბის ძე, იასონისა და [მწერალ] ნიკოს უფროსი ძმა, იურისტი, მერე ქუთაისში ბანკირად იყო) და მე. მივედით ვასო მაჩაბელთან და ილიაც გამოვიდა და გაგვეცნო. ილიას პირველად მაშინ შევხვდი და მისი დანახვისთანავე გამახსენდა, ძალაუნებურად, ჩემი ნათესავის კოწია თაყაიშვილის ნათქვამი ილიას გარეგნობის შესახებ. ეს თაყაიშვილი მეფის „კონვოი“ — ში მსახურობდა უწინ, ალექსანდრე მეორის დროს; ახლო კავშირი ჰქონდა ქართველ სტუდენტობასთან, დიდი ლიბერალი და თან პატრიოტი კაცი იყო; კარგად იცნობდა ახალ ქართულ ლიტერატურას და თაყვანს სცემდა ილიას, როგორც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს; ძალიან კარგად გვიკითხავდა ხოლმე მის „კაცია-ადამიანს“, „გლახის ნაამბობსა“ და სხვა ნაწარმოებებს. ილია დიდხანს არ ენახა პირადად, მხოლოდ ერთხელ მოეკრა თვალი ქუთაისის ბულვარში, სხვებთან ერთად, და დასდევნებოდა, რომ კარგად დაეთვალიერებინა. მერე გვითხრა: „მრგვალი ტანითა და სისრულით მის მიერ აღწერილ თათქარიძეს ჩამოგავს, მაგრამ თვალები კი შესანიშნავი აქვსო“.

შეგვექმნა მსჯელობა „დარდუბლის კიდობნის“ გამო. ილია დიდხანს გვესაუბრა წერა-კითხვის საზოგადოების მიზნებისა და მათი განხორციელების გზების შესახებ და ბოლოს გვირჩია, თანხა იმ საზოგადოებისათვის გადაგვეცა – თუ შეწირულობად არა, შესანახავად მაინც. „აქ ეგ ფული უსათუოდ შემოგეხარჯებათ, ან არა და, ქართველების ჩვეულებისამებრ, აიშლებით, დაიშლებით და დაგეკარგებათო!“ აზრთა ხანგრძლივი გაცვლა-გამოცვლის შემდეგ შევთანხმდით, რომ ფული შესანახავად გადაეცემოდა წერა-კითხვის საზოგადოებას. ვასილ მაჩაბელმა პირადად წამოიღო თანხა, თბილისში რომ წამოვიდა, და დანიშნულებისამებრ ჩააბარა კიდეც. ოღონდ, ეტყობა, არ მოუთხოვია იმ თანხის ხელშეუხებლობა და საზოგადოებას ფული თავისი მიზნებისამებრ მოეხმარა. ყოველ შემთხვევაში, ჩემ დროს საზოგადოებას აღარ გააჩნდა ასეთი, ხელუხლებელი თანხა.

უნივერსიტეტი რომ გავათავე, თბილისში ჩამოვედი და ლათინური ენის მასწავლებლად დავდექი სათავადაზნაურო სასწავლებელში, რომელსაც მაშინ ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე განაგებდა (ქუთაისშივე, გიმნაზისტობისას ჩემი კარგად მცნობი). ჩემი ჩამოსვლის შემდეგ ერთი თვეც არ გასულიყო, რომ ამბავი მოვიდა, სტავროპოლში დიმიტრი ყიფიანი მოკლესო. ეს იყო 1887 წლის 24 ოქტომბერს. ამან, რა თქმა უნდა, თავზარი დაგვცა ყველას და მთელი ქართველობა ააღელვა. გადაწყვიტეს, ჩამოესვენებინათ ცხედარი და საკადრისი პატივით დაემარხათ მთაწმინდაზე. ამის მოსაწყობად შედგა კომისია, რომელშიც, რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძეც დიდ მონაწილეობას იღებდა.

მთავრობის მიერ დაყრილი ხმა,ვითომც დიმიტრი ყიფიანი გაძარცვის მიზნით მოეკლათ, არავის არა სჯეროდა: ყველა დარწმუნებული იყო, რომ იგი რუსული ხელისუფლების აგენტების მიერ იყო მოკლული.

კომისიაში ამირჩიეს მეც. ვინ დამასახელა, აღარ მახსოვს. მაგრამ საერთოდ მაშინ უკვე ყველა ასეთ კომისიებში მასახელებდნენ ხოლმე, იმიტომ რომ ცოტა იყო ასარჩევი ადამიანები. კომისიაში სულ თხუთმეტი კაცი იქნებოდა, მაგრამ ამასთანავე დამხმარეც აუარებელი გვყავდა. შევიმუშავეთ დაკრძალვის გეგმა. ჭირისუფლობა იკისრა განსვენებულის ნათესავმა დავით ყიფიანმა – ცნობილმა მოღვაწემ და კარგმა კაცმა, თბილისში დიდად მიღებულმა ნოტარიუსმა, ილია ჭავჭავაძის, ივ. პოლტარაცკის, ალ. ჯაბადარისა და სხვათა მეგობარმა. ოფიციალური მიმოწერა, ნებართვის მიღება და სხვა ასეთი რამეები სულ მას დაეკისრა. მართალია, დიმიტრის დარჩა ვაჟი – კოტე, მაგრამ ის ვერ გაართმევდა თავს იმდენ საქმეს და თან პრესტიჟისთვისაც სჯობდა დავითისათვის დავალება იმეებისა.

რასაკვირველია, საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ დეპუტატები და სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები, ყველანი სამგლოვიარო ლენტებით შემოსილნი (მკლავებზე გაგვიკეთეს). დავხვდით ცხედარს ვერაზე, ჯვართან55. იქიდან დაიწყო პროცესია. კომისიის გეგმით, ცხედარი უნდა გამოგვეტარებინა გოლოვინის პროსპექტით56 ერევნის მოედნამდე57, მერე უნდა აგვეხვია სოლოლაკის ქუჩაზე58, მერე პეტრე დიდის ქუჩაზე59 და ისე უნდა ავსულიყავით მთაწმინდაზე. პოლიცია, რასაკვირველია, გამრავლებული იყო და ფეხზე იდგა.

დაიძრა პროცესია დავით ყიფიანის მეთაურობით. როგორც კი მივუახლოვდით გრიბოედოვის ქუჩის ასავალს, პოლიცია გადაგვეღობა და გამოგვიცხადა, რომ პროცესია გრიბოედოვის ქუჩით უნდა წავიდეს. შეიქნა ერთი ჩოჩქოლი, ხალხი წინ მიმავალთ მიაწვა. ამასობაში ნიკო დიასამიძემ, რომელიც წაბლისფერ ტაიჭზე იჯდა ქართულად ჩოხაში გამოწყობილი, ცხენდაცხენ გაარღვია პოლიციის რაზმი და გასწია წინ. დავით ყიფიანიც მას გაჰყვა. პოლიცია წინ გადაუდგა სამღვდელოებას, რომელსაც მიუძღოდა ცნობილი ქართველი პატრიოტი, ბერი, ეპისკოპოზი ალექსანდრე ოქროპირიძე. ის საერთოდ თითქოს არ იყო გამბედავი კაცი, მაგრამ აქ კი ნამდვილად გამოიჩინა გამბედაობა. პოლიციის რაზმის მეთაურმა უთხრა: „Ваше преосвященство, приказано по Грибоедовской улице направить процессию!“ ალექსანდრე არ შედრკა და მიუგო: „Меня пригласили родные покойного; куда они последуют, и я за ними!“-ო და განაგრძო გზა. შემოსილი მღვდელმთავრის შეჩერება პოლიციამ ველარ გაბედა, თან ხალხიც მიაწვა, გაარღვია პოლიციელთა წყება და მედგრად გასწია წინ. მთელ პროსპექტზე გაიმართა უზარმაზარი პროცესი. სასახლეს რომ მივუახლოვდით, განგებ შეაჩერეს ცხედარი და მიცვალებულის ლოცვა გადაიხადეს, დემონსტრატიულად. სასახლიდან არავის გამოუხედავს. მაშინ მთავარმართებლად იყო დონდუკოვ-კორსაკოვი. ამბობენ, რომ იმ დღეს ის არ იყო სასახლეში, თავისი ცოლის პანაშვიდზე წავიდაო ზემოთ, წმ. ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიის ეკლესიაში.

სასახლიდან დაძრული პროცესია მოედანზე გავლით ავიდა სოლოლაკის ქუჩაზე, მერე შემოუხვია პეტრე დიდის ქუჩაზე, ხოლო იქიდან ერმოლოვის ქუჩით ავიდა მთაწმინდაზე. ცხედარს, დავით ყიფიანთან ერთად, მიჰყვებოდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სხვა პოეტები და მწერლები, მიჰყვებოდა, რა თქმა უნდა, განსვენებულის მთელი ოჯახიც.

საფლავზე პირველი სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა, რომელმაც დიმიტრი ყიფიანი გამოაცხადა საქართველოს მეორე დიმიტრი თავდადებულად და, რა თქმა უნდა, დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა. ის ცნობილი მშვენიერი ლექსი რომა აქვს, „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოო“, მაშინ არ უთქვამს, მერმე დაწერა. დიმიტრი ყიფიანს კი გულისხმობდა შიგ!

მოელოდნენ ილიას სიტყვასაც, მაგრამ მას არაფერი უთქვამს. ისე კი გვითხრა რამდენიმე კაცს: „რა ამბავსაც დღეს აქ ვუყურებთ, ამას არავითარი სიტყვა არ სჯობიაო!“ მართლაც, უამრავი ხალხი იყო დაკრძალვაზე მოსული, ნამდვილად მთელი საქართველო! ილიას მიერ სიტყვით არ გამოსვლა ზოგმა მის სიფრთხილეს მიაწერა. ისიც კი გაიხსენეს, რომ ერთ დროს მას ყიფიანთან პოლემიკა ჰქონდა. მაგრამ ერთიცა და მეორეც, რა თქმა უნდა, ცილისწამება იყო ამრიგად, ეს გრანდიოზული პროცესია დიდი და გაბედული დემონსტრაცია იყო ქართველი ერისა ცარიზმის რეჟიმის წინააღმდეგ. მან ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველობაზე და ერთგვარ საგონებელშიც ჩააგდო ხელისუფალნი.

მეორე დღეს მთავარმართებელმა მოიწვია საბჭოს სხდომა და თათბირობდნენ, თუ რით ეპასუხათ ამ გამოუთქმელ დემონსტრაციაზე. აზრთა დიდი გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაასკვნეს, რომ რეპრესია დემონსტრაციის მომწყობთა მიმართ კიდევ მეტ გართულებას გამოიწვევს. რაც მოხდა, პოლიციის განცხადების მიმართ უბრალო წინააღმდეგობად ჩათვალეს, ჭირისუფალი დავით ყიფიანი 6 მანეთით დააჯარიმეს და ამით გათავდა საქმე.

ილია ჭავჭავაძე ჩემ დროს იყო თბილისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე და გაზეთ „ივერია“-ს რედაქტორი. ეს სამი დაწესებულება წარმოადგენდა უმთავრეს ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. მართალია, არსებობდა კიდევ ქართული დრამატიული საზოგადოება, მაგრამ ის სულს ღაფავდა. ხან აკაკი წერეთელი იყო მისი თავმჯდომარე, ხან – ვინ და ხან – ვინ; მალიმალ იცვლებოდნენ. საზოგადო მოღვაწენი ცოტანი იყვნენ. მართალია, გიმნაზიაში და მთავრობის სხვა დაწესებულებებში კი მსახურობდა თითოოროლა ქართველი, რომლებსაც შეეძლოთ საზოგადო საქმიანობა, მაგრამ ისინი თავს არიდებდნენ ამას, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ თუ ჩაებმებოდნენ, სამსახურს დაკარგავდნენ.

ილია თუმცა ითვლებოდა წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარედ, მაგრამ სრულიად ვერ ესწრებოდა მის ხდომებს. ჩემ დროს იქ მის მოადგილედ ითვლებოდა ვანო მაჩაბელი, რომელიც საადგილმამულო ბანკის დირექტორიც იყო. საზოგადოდ, მე რომ ჩამოვედი, პირველ ხანებში ილიასა და ვანო მაჩაბელს შორის არავითარი უსიამოვნება არ ყოფილა, ისინი თანხმობით მუშაობდნენ. ვანო მაჩაბელიც დიდი პატრიოტი იყო, ნიჭიერი, განათლებული, კარგი მუშაკი და თან სიმპათიური ადამიანი. ჩვენ საზოგადოებაშიც გავრცელებული იყო აზრი, რომ ილიას მემკვიდრე საზოგადო საქმეებში ვანო მაჩაბელი იქნებოდა: ის ბევრად უმცროსი იყო ილიაზე. ილიასა და ვანოს შეხმატკბილებული მუშაობა ხომ, სხვათა შორის, იმაშიც გამოიხატა, რომ ერთად თარგმნეს „მეფე ლირი“.

იმხანად ილიას უკვე ბევრი ემდუროდა, მუშაობას მოუკლო და დიდ დროს ანდომებს ქაღალდის თამაშსო. ზოგიერთი პირშიც ამხელდა, როცა ის წერა-კითხვის საზოგადოების სხდომას თავმჯდომარეობდა ხოლმე. მახსოვს ექიმ ხუდადოვის გამოსვლა ამ საზოგადოების წლიურ კრებაზე. ეს ის ხუდადოვი იყო (გორელი სომეხი, ქართველობდა), რომელმაც ტყე გააშენა კუკიის სასაფლაოს ზემოთ. სოციალისტური მიმართულების კაცი იყო, საზოგადო საქმიანობის მონაწილე. ადგა ეს ხუდადოვი და რიხიანად უსაყვედურა ილიას: „ილიავ, სულ ძილი და ძილი არ შეიძლება! აღა რაფერს აკეთებ და ჩვენი საერთო საქმეც ვერ მიდის კარგადაო!“ ილიამ უპასუხა: „მე რომ მძინავს და მძინავს, ეს ყველასაგან ცნობილია, მაგრამ შენ ხომ გღვიძავს და ალბათ ბევრ რამეს აკეთებ; ჰოდა, ერთი გვაჩვენე, რა გაგიკეთებიაო?!“

მერე მოხდა რაღაც კონფლიქტი ილიასა და ვანო მაჩაბელს შორის. როგორ დაიწყო იგი, რა იყო მისი მთავარი მიზეზი, არ ვიცი, მაგრამ ის კი ცხადად ჩანდა, რომ სათავადაზნაურო ბანკის საქმე უკან-უკან მიდიოდა. ვანო მაჩაბელმა განაცხადა, ილიამ დროზე არ იზრუნა ბანკის ბილეთების კონვერსიაზე და ამიტომ მსესხებელნი დავკარგეთო. ეს ნაწილობრივ მაინც იყო მართალი, მაგრამ იმას კი არ ითვალისწინებდნენ, რომ როცა ადამიანი წლოვანებაში შედის და დამძიმებას იწყებს, მას ველარ მოვთხოვთ პირვანდელ ენერგიასა და შრომას; ეს ბუნების წესია. იმის მაგიერ, რომ ილიასათვის პენსია დაენიშნათ და ისე, პატივისცემითა და მადლობით აღენიშნათ მისი დამსახურება, და ამრიგად გამოეცვალათ თავმჯდომარე, მათ საზოგადო კენჭისყრით გაშვება მოუნდომეს და აშკარა წინააღმდეგნი გახდნენ მისი.

ასე დაიწყო ე.წ. „ბანკოვიადა“. წლიური ანგარიშის განხილვა და შემდგომი ბიუჯეტის მიღება-დამტკიცება, რაც წინათ ორ-სამ სხდომაზე მოთავდებოდა ხოლმე, ახლა სამ თვეს გაგრძელდა. იმ კრებას „Долгий парламент“ დაარქვეს – ინგლისში რომ იყო, იმის მსგავსად. ბჭობის დროს მრავლად აღმოჩნდნენ ისეთები, ვისაც თავისი ორატორული ნიჭის გამოჩენა მოუნდა, და უფრო ხშირად ისეთ საკითხებზე ჰქონდათ მსჯელობა, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო ბანკის საქმეებთან. ბოლოს ზოგი იქამდეც კი მივიდა, რომ თავის შეთხზულ ლექსებსაც ამბობდა კრებაზე. ერთი მათგანი, მგონი, ბაგრატიონის ქალი იყო; სხვებიც იყვნენ, მაგრამ გვარები აღარ მახსოვს. ზოგი ორატორი კი ხში რად გადაუხვევდა და ძირითად საგანს გვერდს აუვლიდა ხოლმე. მაგალითად, მ. მ. ერთხელ ისე შევიდა სიტყვის თქმის ექსტაზში, რომ დაწვრილებით მოგვითხრო, თუ როგორ აჰყვა ერთ საღამოს ძაღლების ყეფას და გადავიდა ხევსურეთში. ეს დაიხვიეს ხელზე და ხშირად ქირდავდნენ მას ფელეტონებში. ერთხელ ილიამაც დაუწერა: „მეც მეტი აღარ დამრჩენია-რა, მ-ვით უნდა ავყვე ძაღლების ყეფასო“. ილია საერთოდ ხშირად კენწლავდა ხოლმე მას: „აი, თავადმამ — მა რომ მოგვახსენაო“, იტყოდა განზრახ. „არ არის თავადიო“, შესძახებდნენ აქეთ-იქიდან. „არ არისო? ჰოოო, იყოს მერე, რა გვენაღვლებაო!“

შეგნებული ქართველობა დარწმუნებული იყო, რომ ბანკისათვის ორივე ძალიან საჭიროა, ილიაცა და ვანო მაჩაბელიც, და ამიტომ აუცილებლად მიიჩნევდნენ, რომ ისინი როგორმე თანხმობით მოთავსებულიყვნენ თავ-თავიანთ ადგილებზე. საკითხისადმი ასეთი შეგნებული დამოკიდებულება არა ერთხელ დადასტურდა კენჭისყრითაც: ორივეს ირჩევდნენ ხმის უმეტესობით და ვერც ერთმა მეორე ვერ „გააშავა“. მაგრამ ბოლოს ძალზე არანორმალური მდგომარეობა შეიქმნა:

გაძნელდა ერთად მოთავსება ორი ადამიანისა, რომელნიც ერთიმეორეს ხმას არა სცემდნენ, თუმცა კი ერთისა და იმავე გამგეობის წევრები იყვნენ.

თითოეული „პარტია“ ცდილობდა, თავისი დამხმარე წევრი გაეყვანა მესამე დირექტორად. იმ დროს მაჩაბლის „პარტიაში“, სხვათა შორის, იყო გენერალი გიორგი თარხნიშვილი, ხოლო ბანკის მესამე დირექტორად ირიცხებოდა სანდრო ჩოლოყაშვილი. ეს უკანასკნელი საკმაოდ ინტელიგენტი კაცი იყო, მაგრამ ქართველობა სრულიად არ ეტყობოდა: ქართული არ იცოდა, უფრო გერმანული ემარჯვებოდა, ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიას ეტანებოდა საერთოდ ილიაც, ისევე როგორც ყველა, ხშირად ურევდა ხოლმე საუბარში რუსულს; კერძოდ, ბანკშიც ხშირად გამოდიოდა რუსულად და მშვენივრადაც ლაპარაკობდა. თუმცა არა ერთხელ თითონვე შემოუღია წესად, – როდესაც მასთან ვიკრიბებოდით, ხუთშაბათობით, რედაქციის წევრები და სხვები (იმ დღეს რედაქციის სხდომა იყო ხოლმე მის ბინაზე) – ვინც ქართულ საუბარში უცხოურს გამოურევს, ერთი შაური უნდა გადაიხადოსო. ილია თვითონ მიაძახებდა ხოლმე, ვისაც წამოსცდებოდა: „შაური, შაური ამოყაჭეო!“ ასე იცოდა! ისე სხდომა-საღამო არ გათავდებოდა, რომ ორი თუ სამი მანეთი არ შეგროვებულიყო. რასაკვირველია, თვითონაც ხშირად იხდიდა იმ შაურებს.

მაჩაბლის „პარტიამ“ მოინდომა ჩოლოყაშვილის მაგიერ გიორგი თარხნიშვილის გაყვანა და კიდევაც მოახერხა ეს: თარხნიშვილი გახდა ბანკის მესამე დირექტორი. მაგრამ რაკი ფეხი მოიკიდა ბანკში, მაჩაბელს გადაუდგა, ილიას მიემხრო და ყველა საქმეში უჭერდა მას მხარს. მაჩაბლის მეორე დიდი მომხრე იყო დიმიტრი მუსხელიშვილი, ფრიად წარჩინებული, არტილერიის გენერალი. მას მუდამ ქებით იხსენიებდნენ, კარგი სახელი ჰქონდა სამხედრო უწყებაში. თან კარგი პატრიოტი ქართველიც იყო, დედაენა კარგად იცოდა და დიდად განირჩეოდა ძმებისაგან. ამ უკანასკნელთაგანაც ორი სამხედრო პირი იყო. ერთ მათგანს, ალექსანდრეს, ცოლად ჰყავდა ნიკო ღოღობერიძის და ანეტა. ალექსანდრე დაკოდილი [დაჭრილი] იყო რუსეთ — ოსმალეთის ომის დროს, ხუცუბნის ბრძოლაში. მე გავიცანი უკვე სამსახურიდან გადამდგარი პოლკოვნიკი. მისი მეუღლე – შესანიშნავი, ჭკვიანი, პატიოსანი და დიდი ქველმოქმედი მანდილოსანი, ჩემი გიმნაზიელობის დროს თავმჯდომარეობდა კომიტეტს, რომელიც განაგებდა ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლას. მეორე ძმას, გიორგის, აგრეთვე სამხედრო პირს, ბეჟან წერეთლის და ჰყავდა ცოლად. მესამე ძმა, სახელად მგონი ნიკო, არ ვიცი, წინათ რა მოხელე იყო, მაგრამ ჩემ დროს ყველა ამ ძმების მამულს განაგებდა. მათ საერთოდ დიდი მამული ჰქონდათ ახალქალაქის მაზრაში. მუსხელიშვილებს იმიტომ ვიცნობდი კარგად, რომ ერთ წელიწადს რეპეტიტორად ვყავდი მიწვეული ალექსანდრეს, რომელიც უშვილო იყო და თავისი უფროსი ძმის, ნიკოს შვილსა ზრდიდა, ხოლო მისი მეუღლე ანეტა – თავისი ძმის სიმონ ღოღობერიძის ქალს. იმ ქალ-ვაჟს ვამეცადინებდი მე.

დიმიტრი მუსხელიშვილი ხშირად გამოდიოდა ბანკის სხდომაზე ილიას წინააღმდეგ და იტყოდა ხოლმე: „Илья производит давление на собрание“-ო. ილია ხომ დიდი ოსტატი იყო პასუხების გაცემაში და ერთხელ წარმოსთქვა: „Я не понимаю, о каком давлении тут говорят? Физического давления никто не предпринимает, а если говорят о давлении ума, то против него бессильна вся артиллерия!“ ასე გადაჰკრა არტილერიის გენერალს თავისებური მწვავე მათრახი!

ილიას საზოგადოდ საოცრად მაგარი ნერვები ჰქონდა, ხოლო ვანო მაჩაბელი, პირიქით, ერთობ ფიცხი ადამიანი იყო. ილიამ თავის სიტყვებში მოწინააღმდეგის დანდობა და განკითხვა არ იცოდა. მაჩაბელსაც არ ზოგავდა და ისე გამოჰყავდა მისი ნათქვამი, თითქოს ყველაფერი აბსურდი ყოფილიყოს. ერთხელ ისე აიგდო, რომ რუსულ სათამაშო, „Ванька–встань-ка“-საც კი შეადარა. საერთოდ კი ამ ბრძოლამ ილია, ბოლოს და ბოლოს, გამოაცოცხლა. თუ ერთ დროს ის მართლაც მიძინებულ ლომს წარმოადგენდა, ახლა ლომმა გაიღვიძა, გაშალა ბრჭყალები და მიფანტ-მოფანტა წინააღმდეგნი. ნერვიულმა ვანო მაჩაბელმა კი ეს ბრძოლა ფიზიკურად ვერ გადაიტანა. თუმცა კენჭისყრით არ გაშავებულა, თავისი ნებით განაცხადა, რომ შორდება ბანკს და მოშორდა კიდევაც, დემონსტრატიულად დასტოვა კრება. ილიამ განაცხადა: „მე მასავით არ გავიქცევი;

მანამ თქვენი ნდობა მაქვს, აქა ვარ და აქ ვიქნებიო!“

შემდგომი ისტორია ცნობილია: ვანო მაჩაბელმა თავისი ცოლისძმის, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის, ბაგრატიონის დახმარებით შეადგინა ქართლის თავად-აზნაურობის სინდიკატი (ისინი ქართლელი ბაგრატიონები იყვნენ, მგონი მუხრანის შტოისა, მაგრამ უფრო შორებულნი, და ამიტომ არც ეწოდებოდათ მუხრანელები) 61. სინდიკატის წევრებს მასში შეჰქონდათ თავიანთი შემოსავალი. ვანო მაჩაბელი მისი დირექტორი იყო, მაგრამ ჯამაგირი, რასაკვირველია, შედარებით მცირე ჰქონდა. მერე დაავადმყოფდა, რაღაც ბრონქიტი დაემართა, და ბოლოს – ისე მოულოდნელად და საარაკოდ გაქრა, დაიკარგა: ერთ დღეს, დილაადრიან შინიდან გამოსული, აღარ დაბრუნებულა. ძებნის ყოველი ცდა უშედეგოდ დარჩა. ათასგვარი ჭორი გავრცელდა და ეს საკითხი დღემდის გამოურკვეველია. აკაკი წერეთელი, რა თქმა უნდა, დიდი მომხრე იყო ვანო მაჩაბლისა და ბოლო დროს მასთანაც ედო ბინა. მაგრამ მას ბანკის საქმეებში არავითარი დახმარების გაწევა არ შეეძლო ვანოსათვის. საერთო დ, აკაკის ყოველთვის სჩვეოდა ენამწარეობა, ისე რომ ზოგჯერ თავის მოყვარეთა ძვირსაც ამბობდა ხოლმე. ამის გამო აფორიზმი იყო გავრცელებული და ერთხელ ვალერიან

გაგრძელება მე-11 გვ. -ზე

დასაწყისი მე-10 გვ.-ზე

გუნიას გაზეთშიც კი გამოქვეყნდა: „ღმერთმა გვაშოროს ილიას მტრობა და აკაკის მოყვრობაო!“ ილიამ იცოდა, გურიაში რომ იტყვიან, „მეზერში ჩასდევდა“, მაგრამ – მტერს, ხოლო აკაკი თავის მახლობელსა და მოკეთესაც კი არ დაზოგავდა ხოლმე მაჩაბლის ბედის შესახებ აკაკისაგან ბევრს მოელოდა ხალხი, მაგას ეცოდინებაო, მაგრამ ვერაფერს გაიგებდი: ხან რას იტყოდა – წყალშიაო, ხან რასა და ხან რას!

უნივერსიტეტი რომ დავამთავრე და თბილისში ჩამოვედი, პირველ ორ წელიწადს ილიას იშვიათად ვხედავდი ხოლმე, მარტოოდენ კრებებზე. სხვაგან მას ვერსად ვხვდებოდი და არც მის რედაქციაში დავდიოდი. მხოლოდ ერთხელ ვნახე, მახსოვს, სხვებთან ერთად, შემთხვევით, რედაქციაში, რომელიც ფრეილინის ქუჩაზე იმყოფებოდა. იმ საღამოს სულ იმაზე იყო საუბარი, თუ რა დიდად ავნო ნიკო ნიკოლაძის სტატიამ, გაზეთ „Обзор“-ში დაბეჭდილმა, გიორგი ქართველიშვილსა და ზეზემანს. სტატიაში აღწერილი იყო წარმოუდგენელი ნიაღვარი ატენის ხეობაში, სადაც აღნიშნული პირები ერისთავისაგან იჯარით აღებულ ტყეს ამუშავებდნენ: ნიაღვარმა აუარებელი დამუშავებული ხე-ტყე იმსხვერპლა, მოიტაცა და ადიდებულ მტკვარს შერთოო. ამან დიდი ზარალი მიაყენა ქართველიშვილსა და ზეზემანს და მათი წარმოებაც შეწყდა. ნიკოლაძეს დიდად კიცხავდნენ, რაკი თავის სტატიაში საჯაროდ განაცხადა მათი ზარალი და ამით მოიჯარადრეებს კომერციული ნდობა დაუკარგა. მაშინ ხომ კომერციულ საქმიანობაში ნდობას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა! მათ ალბათ ბანკიდან სესხი ექნებოდათ აღებული და გაზეთი თუ გაუმჟღავნებდა ზარალს, შემდგომ სესხს ველარ მიიღებდნენ. ილია ამბობდა, ნიკოლაძეს ეს არ უნდა ჩაედინაო „ივერიის“ რედაქცია შემდეგ გადავიდა ავჭალის ქუჩის63 დასაწყისში, სულ ახალ სახლში, რომელიც აშენებული იყო ილიას თაოსნობით და მისი დის ელისაბედის, საგინაშვილის ქვრივის საფასით. ილიამ ამ თავისი დის ხარჯითა და მის სახელობაზე ორი სახლი ააშენა. ეს იმ ადგილასაა, რომელსაც ვორონცოვის ხიდი პირდაპირ უცქერის. ერთი სახლი ავჭალის ქუჩაზე გამოდიოდა, მეორე – უკანა ქუჩაზე. მაშინ თბილისში შენობის აგება იაფი იყო. არსებობდა სახლთა მაშენებლების რამდენიმე არტელი, რომლებიც ყველა სამუშაოს თითონ კისრულობდნენ და მზამზარეულს აბარებდნენ პატრონს. შემდეგ პატრონები ამ სახლებს ბანკში აგირავებდნენ და მეტწილად ამით იხდიდნენ აშენების ფასს. გირაოს საფასურის შეტანა კი 20–30 წლობით გრძელდებოდა, ასე რომ, არ უძნელდებოდათ. მახსოვს, ილიამ გვიამბო, თუ რა შესანიშნავად, ღირსეულად აუშენა ქართველთა არტელმა ის ორი სახლი – სრულიად ყოველისფრით დამთავრებული – და ბინათა გასაღებები ჩააბარა მას.

პირველ სახლში მოთავსდა ილიას სახლობა, ე.ი. თვით ილია, მისი მეუღლე ოლგა თადეოზის ასული და ილიას და ელისაბედი. შვილი არც ერთს არა ჰყავდა. სახლი ორსართულიანი იყო, მაგრამ სარდაფიცა ჰქონდა, ხოლო შიგნით, ეზოში, მარცხნივ – ორსართულიანი წაგრძელებული დერეფანი, ფლიგელივით. სარდაფსა და დერეფნის ქვედა სართულში გაზეთ „ივერიის“ სტამბა იყო. პირველი შენობის ზედა სართული საგანგებოდ აშენდა ილიას ოჯახისათვის. მისი კაბინეტის კედლები, შესავალს მარცხნივ, დამშვენებული იყო ისტორიული სურათებით: შოთა რუსთაველის, თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის პორტრეტებით და სხვ. დანარჩენი სამი ბინა – ზედა სართულის მარჯვენა მხარე, პირველი სართული და აგრეთვე ილიას ბინის ქვემოთ მდებარე ბინა – გაქირავებული ჰქონდათ. ზედა მარჯვენა ბინაში, მახსოვს ვექილი ალექსანდრე ჭყონია იდგა. სხვა მდგმურები ვინ იყვნენ, არ მაგონდება. ილიას ბინა ფართო ოთახებისაგან შედგებოდა. ეზოს მხრით მას შუშაბანდიანი აივანიც ჰქონდა, ზაფხულობით შუშაბანდს ჩამოიღებდნენ და ზამთრობით ისევ ჩადგამდნენ ხოლმე. დიდი მისაღები დარბაზი ორად იყო გაყოფილი: პირველი ნაწილი მამაკაცებისათვის იყო, მეორე კი ქალების მისაღებს წარმოადგენდა. ამ მისაღებ დარბაზს გასწვრივ, შუშაბანდისაკენ, დიდი სასადილო ოთახი იყო. მასში ხუთშაბათობით იმართებოდა ხოლმე საღამო რედაქციის წევრებისა და თანამშრომლებისათვის, რომელსაც ესწრებოდნენ ილიას სხვა (ბანკისა და ა.შ.) თანამშრომლები თუ მეგობრებიც. იმ საღამოებზე ხშირად კითხულობდნენ პოეტებისა და ლიტერატორთა ახალ ნაწარმოებებს, სტატიებს; იყო მსჯელობა იმდროული ქართული საკითხების შესახებ. ყოველი საღამო თავდებოდა უბრალო ვახშმით, რომლისთვისაც ღვინო ილიას მუდამ საგურამოს მამულიდან ჰქონდა (ახლა რომ მწერალთა სახლი ყოფილა).

ილიას იმ ხუთშაბათ-საღამოებს მე ვესწრებოდი 1890 წლიდან, მას შემდეგ, რაც „ივერია“-ში თანამშრომლობა დავიწყე და ჩემი „სამი ისტორიული ხრონიკა“ გამოვიდა. ვახშამზე თამადად ყოველთვის ანტონ ფურცელაძე იყო ხოლმე თუმცა ძალიან მჭევრმეტყველი არ ეთქმოდა იგი ილიას ძალიან პატივს სცემდა. „ბანკოვიადა“ რომ შეიქნა მაჩაბელსა და ილიას შორის (განსაკუთრებით 1893–1894 წლებში), ანტონმა მაგრად დაუჭირა მხარი ილიას და ამით დაუახლოვდა მას. წი ნათ ის დამფასებლად იყო საადგილმამულო ბანკში, მაგრამ მერმე დირექტორადაც გავიდა, ხოლო ილიას შემდეგ – რამდენადაც მახსოვს – ბანკის თავმჯდომარედაც კი რაც შეეხება მის შემოქმედებას, ანტონი პისარევის მიმდევარი მწერალი იყო, ნიჰილისტური მიმართულებისა ილიას „ხუთშაბათობა“ დემოკრატიული საღამოები იყო, მაგრამ მას სხვა, უფრო არისტოკრატიული საღამოებიც ჰქონდა ხოლმე. იგი დიდად მიღებული იყო იმ წრეში, რომელშიც შედიოდნენ ქართველი დიდრონი თავადები: თბილისის გუბერნატორი შარვაშიძე, გენერალი ნინიკა (ნიკა) ამილახვარი, გენერალი ზაქარია ჭავჭავაძე (დიდი გენერალი იყო, კორპუსის ყოფილი მეთაური; მის ვაჟიშვილს მაქსი ერქვა სახელად, ქალიშვილი ერთ რუმინელს ჰყავდა ცოლად) და სხვები. ისინი ჩვეულებრივ აწყობდნენ ე. წ. „ჟურფიქსებს“ და ილიას იწვევდნენ ხოლმე. მასაც, რასაკვირველია, სამაგიერო უნდა გადაეხადა და იხდიდა კიდევაც. მაგრამ ასეთ წვეულებაში ქართველი დემოკრატების გარევა მათთვისვე იქნებოდა უხერხული და ილია არც ურევდა.

საზოგადოდ, მთავრობის უმაღლესი წრეები გარკვეულ ანგარიშს უწევდნენ ილიას, ყურს უგდებდნენ მის აზრსა და შუამდგომლობას. მაგრამ ილია მაინც წინდახედული იყო, და თუ რომელიმე უმაღლესი ხელისუფალი უხეშად იქცეოდა, მასთან არავითარ ურთიერთობას არ იქონიებდა, არც ეჩვენებოდა და არც საქმისათვის მივიდოდა. მაგალითად, მთავარმართებელი გოლიცინი ცნობილი იყო, როგორც ნამდვილი „სოლდაფონი“: ვინც არ უნდა ხლებოდა, ყველას უყვიროდა და უკმეხად ელაპარაკებოდა. ისე წავიდა ის გოლიცინი თბილისიდან, რომ ილიას არც გაუცნია იგი და არც რაიმე საქმეზე მისულა, თუმცა თვით გოლიცინს ეწადა მისი გაცნობა და არა ერთხელ უთქვამს თავისი ადიუტანტის, საშიკო ორბელიანისათვის, „გამაცანით ილიაო!“ ვორონცოვ-დაშკოვთან და მის წინამორბედ შერემეტიევთან კი ილია დაახლოებული იყო და ხშირად ქაღალდსაც კი ეთამაშებოდა ხოლმე. ერთხელ თეატრში ყოფილიყო გოლიცინი და თანმხლებ საშიკო ორბელიანს დაენახვებინა შორიდან, მათ პირდაპირ ლოჟაში მჯდარი ილია. გოლიცინს დურბინდით შეეხედა ილიასათვის და ეთქვა: „რა შესანიშნავი თვალები აქვსო!“ ერთადერთი ქართველი არისტოკრატი, რომელიც გოლიცინთან დაიარებოდა, კონსტანტინე (კოწია) მუხრანსკი იყო. გოლიცინიც დადიოდა მის ოჯახში და ძალიან უნდოდა, რომ კოწია გამხდარიყო თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი.

ადრე წინამძღოლად იყო დავით მელიქიშვილი, რომელიც მანამდე ადიუტანტად ჰყავდა მეფისნაცვალსა თუ თავარმართებელს (ძნელი გასახსენებელია, ხან ერთი ერქვა იმ თანამდებობას და ხან მეორე!). გოლიცინი მასაც უხეშად მოექცა, უყვიროდა ხოლმე და მელიქიშვილმა გათავისუფლება ითხოვა, სამსახურს თავი დაანება. ეს მით უფრო ღსანიშნავია, რომ მელიქიშვილი ძმისწული იყო ყოფილი მთავარმართებლის მოადგილისა და თან დიდი მომხრე იმისა, რომ ქართველობას რუსეთის მთავრობასთან ლოიალური დამოკიდებულება ჰქონოდა. ხშირად ამბობდა – ლოიალური ქცევით ბევრ რასმე გამოვიტანთ რუსებისაგან, ხოლო ოპოზიციური ქცევით ყველაფერს დავკარგავთო. იგი დიდი მეგობარი იყო შინაგან საქმეთა მინისტრის ვიტესი (რომელიც თბილისელი იყო) და იმას ეუბნებოდა ხოლმე, – ეს ვინ გამოგვიგზავნეთ მთავარმართებლად, ნორმალური კაცი არ არის, გადარეულიაო.

ერთადერთი ქართველი, შედარებით დაბალი წრის წარმომადგენელი, რომელიც დადიოდა გოლიცინთან, იყო დავით სარაჯიშვილი – ჩვენებური ბურჟუაზიის მეთაური. გოლიცინის ძმა დიდი მეურნე იყო, ღვინისა და შამპანურის საქმეს განაგებდა ყირიმში და ძალიან მეგობრობდა სარაჯიშვილს. როდესაც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა, აღმოჩნდა, რომ მას გოლიცინის ძმისათვის 70.000 მანეთი ესესხებინა და ის ფული სრულიად დაიკარგა. მემკვიდრეებმა ვერაფერი მიიღეს თუმცა ასეთი კარგი ურთიერთობა ჰქონდა გოლიცინთან და მის ძმასთან სარაჯიშვილს, მაგრამ ერთხელ ისიც ჩავარდა, რომ იტყვიან „ხათაბალაში“. საქმე ასე იყო: როგორც ცნობილია, სომხის ეკლესიას ძველი დროიდანვე უამრავი უძრავი ქონება-მამულები ჰქონდა და დიდ შემოსავალსაც იღებდა იქიდან. მათ განაგებდა სომეხთა პატრიარქი და შემოსავალს მეტწილად სკოლებს ახმარდა: მთელი მათი მხარე მოფენილი იყო სასულიერო სასწავლებლებით. გოლიცინის წინადადებით, მთავრობამ ჩამოართვა სომხის ეკლესიას ეს უძრავი ქონება და გადარიცხა სახელმწიფო ფონდში (ჩვენს მართლმადიდებელ ეკლესიას ასეთი ქონება დიდი ხნის ჩამორთმეული ჰქონდა). სომხები ბევრს ეხვეწნენ და ემუდარნენ, დაგვიბრუნეთო, მაგრამ არაფერმა გასჭრა. მაშინ მათ გადაწყვიტეს გოლიცინის მოკვლა – როგორც ამბობდნენ, ნაქირავები, ოსმალეთიდან ჩამოსული დაშნაკების ხელით. თავს დაესხნენ იქ, სადაც კოჯრის გზა იწყება და თავდება გოლიცინის მიერ გაყვანილი ძალიან კარგი ასასვლელით, რომელიც მანამდე ნამეტანი ალმართიანი იყო (ამის მეტი კარგი საქმე ჩვენში გოლიცინს არ გაუკეთებია). იმ გზით უყვარდა ხოლმე თითონ ეტლით გასეირნება კოჯრისაკენ. გოლიცინი ვერ მოკლეს, მაგრამ სასტიკად კი დაჩეხეს სატევრებით, სულ თავ-პირში ურტყეს. თავდამსხმელები კაზაკებმა დახოცეს. დაჭრილი და თავ-ყბაშეხვეული გოლიცინი კი სასახლეში იწვა. მთელმა ჩინოვნიკობამ და მეგობრებმა, რა თქმა უნდა, თანაგრძნობა გამოუცხადეს. დავით სარაჯიშვილიც, როგორც ოჯახის მეგობარი (მის ცოლთანაც კარგად იყო), ეახლა თანაგრძნობის გამოსაცხადებლად და ნუგეშის საცემად. სხვათა შორის, ასეთი რამეც უთხრა: „Ваше сиятельство (გოლიცინი თავადი იყო), нужно быть очень осторожным, мало ли сумасшедших на свете?“ ამის გაგონებაზე გოლიცინმა თურმე უყვირა: „Ах, вы сумасшедшими называете людей, которых армяне подкупили и направили для моего убийства?!“ ცოლიც შეწუხდა, დავითს ენა ჩაუვარდა და აღარ იცოდა, რა ექნა. ცოლს უთხრა, მე ნუგეშისცემა მინდოდა, სხვა არაფერი, მომეხმარე, რამენაირად დაამშვიდეო! ძალიან დამახასიათებელი ამბავია! ვერაფერი ნუგეში გამოუვიდა! ეს გახლავთ ნაწყვეტი. მისი სრული სახის სანახავად იხ. ეს >>> (გვ. 249)

**წყარო: „ქართული ემიგრანტული ლიტერატურა — დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა“**
**მრავალტომეული 1**
**გურამ შარაძის საერთო რედაქციით**
**თბილისი 1991**



# ილია ჭავჭავაძე

შემოდგომის საღამო ჟამია. ის დროა, როცა მზის სხივები ლაჟვარდოვანი ცის კამარაზე გაფერმკრთალების დასასრულს აღწევენ და ღრუბლებში მთვარის გამოსვლა იწყება. აგრილდა და ბნელმა შეცვალა ბინდ-ბუნდი. ცელქმა სიომ ყაჩაღური თარეში იწყო. გარემოს მოაწყდა და ხეებიდან ფოთლების დაფანტვაში სიბეჯითე გამოავლინა. საამო ამინდია. მაგრამ გვიანია. სახლების ბუხრებიდან გაქრა კვამლი ფანჯრებიდან გამომავალ შუქთან ერთად, მხოლოდ ერთი სახლიდან ილვრება ნაზი სინათლე, იმ სარკმელიდან, რომლის პატრონის ოთახში მდგარ დიდ ვარდისფერ ხავერდ გადაფარებულ მაგიდას შვიდსანთლიანი შანდლის გარდა ამშვენებდა ვარდების თაიგული, საწერი ქაღალდის დასტა, მელან-კალამი და საფერფლე, რომელთა წინაც იჯდა ასაკმიტანებული დინჯი გარეგნობის მამაკაცი. მისი მეტყველი, ღრმა, უზომოდ თბილი და ჭკვიანი თვალები სანთლების ანც ალთა ციალს იყვნენ მიპყრობილნი, ხოლო შეჭმუხნული შუბლი შევერცხლილი თმით დამშვენებულ თავში ფიქრთა დაუცხრომელ დენას გამოხატავდა. მარჯვენა ხელი ნიკაპის ჩამოსადებლად გაამზადა, მაგრამ შუბლი გაეხსნა, სახეზე ღვთიური ნათელი გადაეფინა და კალამს მისწვდა. განაგრძო წერა. ადვილი მისახვედრი იყო, ბრძნულმა აზრმა მიაკითხა — ზეციდან მოვლენილმა, რომელმაც დაუღალავი მარჯვენიდან ნივრისფერ ქაღალდზე დაიწყო გადატანა და დამაგრება. აზრიაზრს, ფიქრი-ფიქრს ენაცვლებოდა. ის კი მუშაობდა. ახალდაბადებული ბავშვივით ხედავდა საქართველოს მომავალს, მისი ყოველი ძარღვი მამულის საკეთილდღეოდ დაჭიმულიყო, სისხლის მოძრაობა, გულის ფეთქვა ხალხის სიყვარულით ჰქონდა გაჟღენთილი. წერდა და წერდა, სიგარის მოსაკიდებლად თუ ჩერდებოდა. მამალმა იყივლა და ძაღლმაც მოუმატა ყეფას, მაგრამ მას არაფერი გაუგია, ვერც ის გაიგო, როგორ მიეხმარნენ დალეული სანთლების შუქს ოთახში შემოჭრილნი სხივნი მნათობთა ხელმწიფისა. სანთლებმა ლვენთას მოუმატეს. აი, ნელი ნაბიჯისა და კაბის შარი-შურის ხმამაც დაარღვია გამეფებული მყუდროება. ვერც ეს და ვერც კარის ჭრიალი გაიგო, ისე იყო მიახლოებული ცასთან. თავი მხოლოდ მაშინ აიღო, როცა თაფლად დამტკბარი ხმა შემოესმა; — ილია, ჩემო კარგო, დაგათენდა, მოისვენე, საუზმეც მზადაა.

კალამი მაგიდაზე ფრთხილად დადო, ადგა და მეუღლეს შუბლზედ ეამბორა. და გაოცდა, რომ დაღლას ოდნავადაც არ გრძნობდა. წერის წყურვილი ოდანავადაც არ დაჰკმაყოფილებოდა.

ილია არ დაიღალა, ის მუშაობდა, წერდა.

# ილია ჭავჭავაძე და ვაჟა ფშაველა

ილია ჭიშკართან შეეგება ვაჟას, გულში ჩაიკრა, გადაკოცნა, მოიკითხა — ცოტა ჯანს გაუფრთხილდი, რაზიკაშვილო, მცირე ხნით უნდა დაისვენო შრომისაგან. ვაჟას გაეღიმა — პოეტი თუ ვარ ულექსოდ როგორ გავძლო, თანაც ისევ ჩემის ყოველდღიური საქმიანობით, ჩემი ოფლით ვშოულობ პურს ჩემი არსებისას, ღვთის მადლით ვარჩენ ჯალაბსაც, სულიერ საზრდოს კი ეს დალოცვილი ბუნება მაძლევს, მისით ვსულდგმულობ. ილიას მოეწონა ვაჟას პასუხი და უთხრა: — მართალი ხარ, მეც ასე ვფიქრობ. ბუნების ანა-ბანას ასე ძლიერად და ზუსტად ვერავინ გადმოგვცემდა პოეზიით ისე, როგორც შენ, ჩემო ვაჟა, შენ დიდი მესაიდუმლე ხარ ბუნების და მე ვამაყობ შენით და კიდევ ერთხელ გადაეხვია მამაშვილური სიყვარულით.



# ასე შეხაროდნენ პატარას

ჭავჭავაძეანთ ოჯახს ვაჟი შეეძინა.

— ილია, ფრთხილად შვილო, არ დაეცე, გენაცვალოს დედა, — ხელს აშველებდა და უღიმოდა ანგელოზ პირმშოს მშობელი.

— მუხლმაგარია და სწრაფობს, სიამაყით ამბობდა მამა და მარჯვენა ხელის ცერა და საჩვენებელი თითებით ულვაშებს ისწორებდა.

ასე შეხაროდნენ პატარას...

გავიდა წლების ათეულები...

ყვარლის წმინდა მიწამ საუკუნოდ დაიტყო და დაიმჩნია ილიას ნაფეხურები — პირველ ნაბიჯთაგან დატოვებულნი, რომელთაც ვეფერებით, ველოლიავებით, უფრთხილდებოდით. ამ ნაფეხურებიდან ხომ წმინდა ილია მართლის გზა იწყება.



# ილია ჭავჭავაძე და ყვარელი

ილიას გულისყური ყოველთვის ყვარელზე ჰქონდა გამახვილებული, ხშირად მიაკითხებდა ხოლმე მამა-პაპეულ კერას. თავისი ბავშვობის წლები ღრმად ჰქონდა ჩარჩენილი მეხსიერებაში. კარგად ახსოვდა მათთან ოჯახში მისული სტუმრები, ისინი ეფერებოდნენ ილიას, — ეს რა კარგი ბიჭია-ო — ეკითხებოდნენ: — რა გქვია? — ილია — ვისი ხარ? — ისიც პასუხობდა, — ჭავჭავაძეანთი-ო — სხვა კითხვებსაც აძლევდნენ, ლექსსაც ათქმევინებდნენ ხოლმე. რომ ეტყოდნენ: — სად დაიბადე? — პასუხობდათ: — ყვარელში — ენას ძლივს მოიბრუნებდა სათქმელად, უჭირდა ამ სიტყვის სწორი გამოთქმა. სტუმრები იცინოდნენ, მითუმეტესს, რომ ძალიან პატარა იყო, მაინც ამბობდა თავის სათქმელს სწორედ, სხაპასხუპით, გამოთქმით, ამაყად, რათა სამუდამოდ ჩარჩენოდათ მეხსიერებაში უცხო სტუმრებს მისი მშობლიური კერა, ლამაზი, სტუმართმოყვარე ყვარლელები და ყვარელი.

სტუმრები აქებდნენ: — ეუბნებოდნენ ყოჩაღ ილია და ასაჩუქრებდნენ. ილიას ყვარელში გატარებული ბავშვობა მთელი ცხოვრება ტკბილად აგონდებოდა.

**მერი პატარქალიშვილი**

# ჩემი სურვილია და მჯერა, რომ მოვესწრები ისეთ საქართველოს, სადაც შეჭირვებული, სოციალურად დაუცველი ადამიანები აღარ იქნებიან



*2000 წელს ყვარელში გაიხსნა სათნოების სახლი და მას შემდეგ სოციალურად გაჭირვებულ ადამიანებს აპურებს. ყოველდღიურად მის კარზე მოფუსფუსე მრავალ ასეთ ადამიანს შეხვდებით. მათთვის ეს სახლი საკუთარი კერის გარდა მეორე ოჯახია, რადგან აქ მოსულებს გარდა დაპურებისა, ხვდებათ სითბო იქ მომუშავე პერსონალის და ხელმძღვანელის — ქალბატონ თამარისგან.*

*რაიონის მუნიციპალიტეტსა და საკრებულოს გვერდში დგომით სათნოების სახლი მაინც ახერხებს ამ ადამიანებს არ აგრძნობინოს გაჭირვება და ხელი შეუწყოს მათ მდგომარეობის შესამსუბუქებლად. წინასაიუბილეო დღეებში გადავწყვიტეთ შევგვეხედა სათნოების სახლში, მის სამზარეულოში და გაგვეგო რა მდგომარეობაა დღეისათვის და რაიმე სიახლეებით ხომ არ ხვდებიან ამ სახლის ბენეფიციარებს. ადგილზე მისულებს მთავარი „დიასახლისი" ქალბატონი თამარი დაგვხვდა და საუბარიც მისგან დავიწყეთ.*

**— ქალბატონო თამარ, დავიწყოთ იმით, რომ ჯერ კიდევ კარგა ხნის წინ, როდესაც ყვარელში გაიხსნა სამკერვალო ფაბრიკა, მაშინ შენ ახალი საწარმოს ხელმძღვანელი გახდი. სხვადასხვანაირი ხასიათის და პროფესიის ადამიანებთან გიწევდა მუშაობა, რა თქმა უნდა იყო პრობლემებიც და ამ ყველაფერს შენ უძლევებოდი. კიდევ ორ ათეულ წელზე მეტია ამ კეთილშობილურ საქმეში ხარ ჩართული და გულახდილად გეტყვი, ამ ხნის განმავლობაში თქვენი სათნოების სახლის მესვეურთა მიმართ, რა თქმა უნდა, შენი თავკაცობით ვინმესგან რაიმე უარყოფითი სათქმელი წამოსულიყოს. ქებით არ გეტყვი, მაგრამ რა შარმია შენში ისეთი, რომ ყოველთვის ხალხის ნდობას და კეთილგანწყობას იმსახურებ. რა არის ყოველივე ამისათვის საჭირო?**

— ამისი" რეცეპტი" მე არ ვიცი. ჩემიდან გამომდინარე ვცდილობ ადამიანებში დავინახო ყოველთვის დადებითი, რადგან მიმაჩნია, რომ თოთოეულ ჩვენგანს გვაქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი თვისებები, დავინახოთ ადამიანებში დადებითი და არ გაგვიჭირდება მათთან ურთიერთობა. სიცოცხლე ხომ ასე ხანმოკლეა. იმაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს შენი ზრუნვით, თუნდაც ერთი თბილი სიტყვით შეჭირვებულ ადამიანს ჩაუსახოთ იმედი. არ ვიცი სხვა რა შეიძლება ითქვას. ვფიქრობ, რომ ადამიანების ნდობისთვის ეს ყველაფერი საკმარისია.

**— რამდენ ადამიანს ემსახურება სათნოების სახლი, როგორი იყო უწინ და როგორია დღეს. დღეში რამდენი სოციალურად გაჭირვებული ადამიანის გასტუმრება გიწევთ?**

— სათნოების სახლი ემსახურება 227 ადამიანს. აღნიშნული სახლი გაიხსნა 2000 წელს 80 შეჭირვებული, სოციალურად დაუცველი ადამიანისთვის. მაშინ ქვეყანაში ნამდვილად იყო საშინელი სოციალური მდგომარეობა. ექვსი თვე ვმუშაობდით შემოწირულობით. 2001 წელს ჩავერთეთ გაეროს სასურსათო პროგრამაში. გაერომ იმ პერიოდში 2000 წლიდან 2011 წლამდე ბევრი ადამიანი იხსნა შიმშილისაგან. დიდი რაოდენობით მოდიოდა ფქვილი, ზეთი, ლობიო, თევზის კონსერვი. გაჭირვებულ ადამიანთა რაოდენობა გაიზარდა 260-მდე. 2011 წელს გაეროს საერთაშორისო პროგრამა გავიდა საქართველოდან. 2011 წლიდან გვაფინანსებს ყვარლის მუნიციპალიტეტი. ჩემი აზრით და ბენეფიციარებიც დამეთანხმებიან, დღეისათვის მათი კვება არის საკმაოდ კალორიული და მრავალფეროვანი. რა თქმა უნდა, შეიძლება მისი უფრო გამრავალფეროვნება. არ შეიძლება არ აღინიშნოს ყვარლის გამგეობის და საკრებულოს დამოკიდებულება ამ მართლაც მეტად შეჭირვებულ, სოციალურად დაუცველი ადამიანების მიმართ. ბატონები ილია მზექალაშვილი, ოთარ ბუჯიაშვილი და მთლიანად გამგეობა სისტემატურად არიან ჩართული ჩვენს პრობლემებში და ცდილობენ ბენეფიციარების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**— პრეტენზიული მომხმარებელი თუ გყავთ?**

— რა თქმა უნდა გვყავს პრეტენზიული მომხმარებლებიც. ადამიანი, რომელიც სრულიად უსინათლოა და გაღიზიანებულია, თავისთავად ხდება პრეტენზიულიც. ჩვენ ვცდილობთ ასეთ ადამიანებს გავუგოთ, მოვეფეროთ და ვეცადოთ მის დამშვიდებას. რა თქმა უნდა, არასოდეს არ გვაქვს მათთან კონფლიქტი. ჩვენი თანამშრომლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სრულიად გათავისებული აქვთ პასუხისმგებლობა მათ ამ მართლაც მეტად შეჭირვებულ, ინვალიდ, მარტოხელა და ბევრჯერ შვილიან, მაგრამ მაინც უპატრონო ადამიანებთან.

ნანი სეფაშვილი, ნუნუ ჟურულიშვილი, ელიზა უძილაური, ეს ის მომსახურე პერსონალია, რომლებიც სათნოების სახლის გახსნის დღიდან მუშაობენ. გვყავს ახალი თანამშრომლებიც, რომლებიც არც ისე დიდი ხანია რაც შემოუერთდნენ კოლექტივს, მაგრამ უკვე სრულად აითვისეს ყველა ის თვისება, რაც აქ მომუშავე ადამიანებს მოეთხოვებათ, — ესენი არიან ნელი ავაზაშვილი, ჯუნა კოკორაშვილი, ეკა ფაქელაშვილი. ისინი ძველ თანამშრომლებთან ერთად ცდილობენ ისეთივე გულშემატკივრობა გაუწიონ ბენეფიციარებს როგორსაც ამ სახლის ტრადიცია იძლევა.

**— რა სახის პროდუქტებით აპურებთ და როგორია მათი ყოველდღიური მენიუ?**

— ჩვენს მენიუში შედის კვირაში ერთხელ ძროხის ხორცის ბორში, ორჯერ ქათმის ხორცის სუპი, ბოსტნეულის სუპი, ლობიო, მაკარონი, ბრინჯის ფლავი, წიწიბურა, ჰერკულესი, ყოვედღიურად ვაწვდით ჩაის.

**— დამთავრდა არჩევნები და შედგა ახალი პარლამენტი, მომავალი წლიდან რაიმე სიახლეებს ხომ არ ელოდებით თქვენი სახლის გაფართოების ან პროდუქტების ასორტიმენტის განახლების მხრივ?**

— არჩევნები დამთავრდა. შედგა ახალი პარლამენტი და მთავრობა. ჩვენც ველოდებით სასიკეთო სიახლეებს ჩვენს მიერ არჩეული პარლამენტის, ასევე ჩვენი რაიონის ღირსეული დეპუტატის ბატონ ირაკლი სესიაშვილის მხრიდან. დარწმუნებული ვართ მისთვის სოციალური სფერო პრიორიტეტი იქნება. ვფიქრობთ 2017 წლის ბიუჯეტი მოგვცემს საშუალებას სასურველი კორექტირება შევიტანოთ კვებაში.

**— სკოლის პერიოდიდან კარგად მახსოვს, რომ კლასში ერთ-ერთი გამორჩეული მოსწავლე იყავი, ოქროს მედალოსანი, გიყვარდა მხატვრული ლიტერატურა, კითხვა, არ გამოვიდოდა ახალი წიგნი, რომ შენს ხელში არ გაევლო. ახლა თუ გყოფნის დრო ამისთვის, რამდენად დაკავებულია ქალბატონი თამარი დღეს, როგორც დედა და როგორც ბებია.**

— მიხარია, რომ შემახსენე სკოლის პერიოდი, ეს მართლაც ყველაზე ბედნიერი წლები ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენს თაობას კითხვა ძალიან უყვარდა. არ არსებობდა სხვა შემეცნებითი საშუალებები. ყველა კითხვაზე პასუხს წიგნებში ვეძებდით. ჩემთვის დღემდე კითხვა რჩება უდიდეს სიამოვნებად, დიდ პატივს ვცემ გალაკტიონის პოეზიას. ვცდილობ მეტი დრო დავუთმო შვილებთან და შვილიშვილებთან ურთიერთობასაც.

**— კარზეა მომდგარი ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის ილია ჭავჭავაძის იუბილე, რა შეგიძლია გვითხრა მასზე, რა იყო შენთვის ილია და საიუბილეოდ რას ეტყოდი ილიას მშობლიურ ყვარელში მცხოვრებთ.**

— უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე არ ყოფილა მსგავსი ფენომენი როგორიც ილიაა. მისი ნაწარმოებები, მისი პუბლიცისტური წერილები, მისი შეხედულებები მოიცავდა ყველა სფეროს, — განათლებას, მედიცინას, სოფლის მეურნეობას, საგარეო და საშინაო პოლიტიკას. ჩვენი ერის კეთილდღეობის გასაღები ილიას შემოქმედებაში დევს. მეტად უნდა ვიკითხოთ, ვისწავლოთ და საერთოდ ვიაროთ ილიას გზით, მისი დევიზით: „აბა დღეს მე ვის რა ვარგე". მიხარია, რომ მომეცით საშუალება მივულოცო ეს დღე ყვარლელებს, ვურჩევდი ევლოთ ილიას გზით, მისი რწმენითა და იმედებით.

**— ჩემი ბოლო კითხვა იქნება — როგორ წარმოგიდგენია სათნოების სახლი თამარ ნაზრიშვილის გარეშე?**

— მეტად საჩოთირო კითხვა დამისვით მაგრამ გაგცემთ პასუხს შეძლებისდაგვარად. გულახდილად გეტყვით, რომ ისე ვარ შეჩვეული და რომ იტყვიან შესისხლხორცებული ჩემს ბენეფიციარებს, რომ პირადად ვერ წარმომიდგენია წუთიც კი მათ გარეშე. ამდენი წლებია ვდგევართ ერთმანეთის გვერდით, კარგად ვიცით ერთმანეთის ჭირიც და ლხინიც და სხვანაირად ნუ გამიგებთ, ასე მგონია ჩემს გარეშე მათ ბევრი რამ მოაკლდებათ. მე თვითონ ბუნებით ვარ ასეთი, თორემ ჩემს გარეშე ჩვეულებრივ იქნება სათნოების სახლი და იქნებიან ბენეფიციარებიც. ჩემი სურვილია და მჯერა, რომ მოვესწრები ისეთ საქართველოს, სადაც შეჭირვებული, სოციალურად დაუცველი ადამიანები აღარ იქნებიან.

**— თუ რამდენად კმაყოფილნი არიან სათნოების სახლის მომსახურებით და კვების მხრივ, გავესაუბრეთ სადილზე მოსულ რამდენიმე ქალბატონს კითხვით, როგორ შეფასებას მისცემდით თქვენს მეორე ოჯახს. რაიმე ახლის თქმას თუ ისურვებდით? როგორი გინდათ რომ იყოს თქვენი სათნოების სახლი?**

— მედიკო ხატიაშვილი-ბურკიაშვილი, ამჟამად ბენეფიციარი, მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმის ყოფილი თანამშრომელი — საერთოდ ძალიან კმაყოფილი ვარ მომსახურე პერსონალით, არის თბილი ატმოსფერო, თვითეული მუშაკი გულწრფელად ფიქრობს ბენეფიციარებზე, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით. ცალკე უნდა აღვნიშნო თამარ ნაზრიშვილის ჩვენს მიმართ დამოკიდებულებაც. იგი ჩემი ბავშვობის მეგობარი, კლასელია. ვიცნობ მას და მიხარია, რომ ასე მზრუნველობით ექცევა ბენეფიციარებს.

მიუხედავად იმისა, რომ კმაყოფილი ვარ არსებული სიტუაციით, მინდა ჩემი სურვილი და აზრი გამოვხატო მომავალი წლისთვის. ვისურვებდი პერიოდულად ხილის დამატებას. უპრიანი იქნებოდა ჩვენთვის პატარ-პატარა ექსკურსიების მოწყობაც. ამ აზრს იზიარებენ ქალბატონებიც — ნანა ფირანიშვილი, ოლია ვანიშვილი, ნარგიზი ვარამიშვილი, ნანო ქარსანაშვილი, ნანი წიწრიაშვილი, ლეილა ნემსაძე, ნინო ოსეფაშვილი.

— რუსიკო ასაბაშვილი — კაზარმის ქარხნის დაკეტვის შემდეგ იმდენად ვიყავი გაჭირვებული, რომ რა მეჭმია შვილებისთვის აღარ ვიცოდი. ამჟამად სათნოების სახლში ვიღებ სადილს ჩემთვისაც და შვილიშვილებისთვისაც. ძალიან კმაყოფილი ვარ გემრიელი სადილებით. მათი მომსახურებით, მთელი კოლექტივი მონდომებულია ჩვენთვის მზრუნველობის გაწევით. ქალბატონი თამარი თუ ვინმე შეუძლოდაა, ვერ მიიღო იმ დღის სადილი, ყველას სახლში უგზავნის, ჩართულია თვითეული ჩვენგანის პრობლემებში, ცდილობს გაიზიაროს და დაგვეხმაროს მის მოგვარებაში.

კარგი იქნება მომავალი წლისთვის გაიზარდოს დღესასწაულის დღეებში საჩუქრების რაოდენობა და მოეწყოს ექსკურსიები.

ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ მომავალი ახალი წელი ჩვენი ბენეფიციარებისთვის იქნება მათთვის საჭირო და სასურველი სიახლეებით დატვირთული. იმედი და გზა ხსნისა ხომ ყოველთვის არსებობს. გვჯერა ასეც იქნება მათ სასიკეთოდ.

**საუბარი ჩაიწერა**
**დალი ტატულიშვილმა**

# ნიორი — დარგვა, მოყვანა, მოვლა, ტექნოლოგიური რუკა



ნივრის სამშობლოდ ცენტრალური აზია, ავღანეთი და ინდოეთი ითვლება. გარეული ნიორი საქართველოშიც არის გავრცელებული „გველის ნიორას" სახელწოდებით.

ნიორს მრავალმხრივი გამოყენება აქვს, იგი გამოიყენება კულინარიაში, კვების მრეწველობაში და მედიცინაში როგორც სამკურნალო საშუალება.

ნიორს გააჩნია ფიტონციდური და ანტისეპტიკური თვისებები, რაც გამოწვეულია მასში არსებული ეთერზეთებით; ამ ნივთიერების გარდა ნიორი შეიცავს დარიშხანოვან ნაერთებს, რომლებსაც აქვთ სამკურნალო თვისებები, ამიტომ მას უხსოვარი დროიდან იყენებენ სხვადასხვა დაავადებების წინააღმდეგ ხალხურ მედიცინაში.

### კულტურის ბოტანიკური და ბიოლოგიური დახასიათება

ნიორი შროშანისებრთა ოჯახს მიეკუთვნება. ის მოყავთ ერთწლიანი კულტურის სახით კბილების ვეგეტატიურად გამრავლების შედეგად. მისი ფოთლები ვიწროა, გრძელი თასმისმაგვარი, ფერი კი მუქი მწვანე. არსებობს მოყვავილე ფორმებიც, რომლებიც ინვითარებენ საჰაერო ბოლქუნებს. თუ საჰაერო ბოლქუნებით ხდება გამრავლება, მაშინ ნიორი სამწლიანია.

სავეგეტაციო პერიოდი 160-200 დღე.

კბილების გაღივება 4-6 გრ.

მცენარის ზრდა 18-20გრ.

ბოლქვის განვითარება 18-27გრ..

აღმონაცენი უძლებს მინუს 7-8გრ.

თოვლის საფარის ქვეშ უფრო მაღალ ყინვებს უძლებს

ველარ ვითარდება 30გრ.-ზევით

მოსავლიანობა: 12-15 ტონა /ჰა-ზე

### ნიადაგის დამუშავება და განოყიერება

მოხვნის წინ ტოტალური მოქმედების ჰერბიციდის შეტანა, ნიადაგი ნიორისთვის უნდა იყოს კარგად განოყიერებული გადამწვარი ნაკელით, მოხვნამდე შეგვაქვს ორგანული სასუქის სრული დოზა.

ნიადაგის ანალიზის არქონის შემთხვევაში მინერალური სასუქების რეკომენდირებული ნორმა:

აზოტი-80 კგ/ჰა-ზე მოქმედი ნივთიერება;

ფოსფორი-120 კგ/ჰა-ზე მოქმედი ნივთიერება;

კალიუმი-90 კგ/ჰა-ზე მოქმედი ნივთიერება;

ნივრის დასარგავად გამოიყენება ნივრის გარეთა მსხვილი კბილები, კბილების სიდიდეზეა დამოკიდებული მოსავლის რაოდენობაც და ხარისხიც. ანაგულის (შიგნითა კბილები) გამოყენება არ შეიძლება;

სარგავი მასალა შეინახეთ დეზინფიცირებულ, გრილ ( 3-5°C), მშრალ, მავნებლებისა და მზის სხივებისგან დაცულ სათავსოში;

### დარგვა და დარგვის ნორმები

ნიორი ირგვება როგორც შემოდგომით, ასევე ადრე გაზაფხულზე. მცირე ფართობებზე დარგვა შეიძლება ხელით, დიდ ფართობებზე კი სპეციალური სარგავი მანქანით.

შემოდგომით — ოქტომბრის მეორე დეკადა, ნოემბრის პირველი დეკადა;

გაზაფხულზე — თებერვალი, მარტის დასაწყისი;

უკეთესია შემოდგომით დარგვა.

**1 ჰა-ზე საჭიროა:**

მსხვილ კბილა — 1200-1500 კგ.

წვრილ კბილა — 800-1200კგ.

**კვების არე:**

მწკრივში მცენარეებს შორის (წვრილ კბილა) 5-6 სმ.

მწკრივში მცენარეებს შორის (მსხვილ კბილა) 8-10 სმ.

მწკრივთაშორის მანძილი 20-25 სმ.

შემოდგომით დარგვის სიღრმე 4-5 სმ.

გაზაფხულზე დარგვის სიღრმე 2-3 სმ.

1 მეტრი სიგანის ბაზოზე 4-5 მწკრივი.

### ნათესის მოვლა

ნივრის ნაკვეთი უნდა იყოს სარეველებისგან სუფთა, ამისთვის ნათესში ტარდება გამარგვლა, ნიადაგის გაფხვიერება, თოხნა 2-3-ჯერ ვეგეტაციის პერიოდში და 1-2–ჯერ მორწყვა.

ხახვის ბუზის, ნივრის ოთხფეხა ტკიპას წინააღმდეგ ინსექტიციდის შესხურება სასურველია 2-ჯერ ან 3-ჯერ. დაავადებების წინაამღდეგ ფუნგიციდის შესხურება კი დაწყებული მარტის თვიდან, საჭიროების მიხედვით.

agrokavkaz.ge

# რეცეპტი ტიბეტიდან — აღიდგინეთ ენერგია და გაიხანგრძლივეთ ახალგაზრდობა

ამ რეცეპტს ტიბეტში ერთ-ერთ ბუდისტურ მონასტერში მიაკვლიეს. ის თიხის ფირფიტაზე იყო ამოკვეთილი. სპეციალისტების აზრით, რეცეპტი 2000 წელზე მეტი ხნისაა.

მეცნიერები ირწმუნებიან, რომ ტიბეტური რეცეპტის მიხედვით მომზადებული სასმელი სასარგებლოა მაღალი ქოლესტერინის დროს, ის ენერგიით ავსებს ორგანიზმს და ანელებს დაბერების პროცესს. მას ახალგაზრდობის ელექსირსაც უწოდებენ:

300 გრამი ნიორი და 1 კილოგრამი ლიმონი (კანიანად) წვრილად გახეხეთ, დაასხით 1,5 ლიტრი მდუღარე წყალი. მიღებული მასა შემოდგით ნელ ცეცხლზე 15 წუთით, შემდეგ გადმოდგით და გააჩერეთ, ვიდრე კარგად არ გაგრილდება. ჩაასხით მინის ქურქელში და მაცივარში შეინახეთ.

გამოყენების წესი: 20 დღის განმავლობაში ყოველ დილით საუზმის წინ დალიეთ 50 გრამი. შემდეგ 10 დღით შეისვენეთ და საჭიროების შემთხვევაში გაიმეორეთ.

გაითვალისწინეთ: არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ დადგენილ დოზაზე მეტი და აუცილებლად შეისვენეთ 10 დღით.

ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება წელიწადში მხოლოდ ორჯერ, ექვსთვიანი ინტერვალით.



# რა სამუშაოები უნდა ჩავატაროთ ნოემბერში-ბაღში და ბოსტანში

ნოემბერი ბაღში ჩასატარებელი სამუშაოებისათვის ბოლო თვეა. ამ დროს ბაღი და ნებისმიერი სახის მიწის ნაკვეთი ყველანაირი მცენარეული ნარჩენებისაგან უნდა გავწმინდოთ. კომპოსტის გროვა კი პოლიეთილენის ფირით ან ტოლით (რუბეროიდი) უნდა დავფაროთ.

თუკი ნაკვეთი ფერდობზე მდებარეობს, სასურველია, ეროზიის საწინააღმდეგო სამუშაოების ჩატარება, რათა გაზაფხულის წვიმებმა მიწის ზედაპირი არ გადარეცხოს. ამისთვის საჭიროა არხების გათხრა ან არსებულის გაწმენდა. შესაძლებელია, ზოგიერთ ადგილას პატარა მიწაყრილის გაკეთებაც, რომელიც წყლის ნაკადს დააბრკოლებს.

ზოგიერთი სახეობის ხეხილის ხეებს (მაგალითად, ვაშლს ხშირად ზიანს აყენებენ თაგვები), ამიტომ, კარგი იქნება ვარჯზე რუბეროიდის ფირფიტის შემოხვევა. თუმცა, მანამდე ძველი ქსოვილის ნაჭრები ან ტომრის ნარჩენები უნდა შემოვახვიოთ, რომ გაზაფხულზე ვარჯის ქერქმა სითბური დამწვრობა არ მიიღოს. აუცილებელია, ხის ვარჯის დაფარვა მოხდეს მიწის დონემდე. ვარჯის მიწასთან ახლოს არსებული არეალი, სადაც მყნობის ადგილია მავნებლებს განსაკუთრებულად იზიდავს.

განსაკუთრებით ბევრი მავნებელი ჰყავს ხეხილოვან მცენარეებს მსუყე ნიადაგებზე. ამიტომაც აუცილებელია, ასეთი ნაკვეთების განსაკუთრებული გულმოდგინებით გაწმენდა და ცალკეულ შემთხვევებში შხამ-ქიმიკატების გამოყენებაც. თუმცა, შხამ-ქიმიკატების გამოყენება მხოლოდ სპეციალისტების რეკომენდაციების საფუძველზე და თანაც სიფრთხილით უნდა მოხდეს.

უთოვლო ზამთარში წაყინვებით ხშირად ზიანდება ისეთი კენკროვანი კულტურები, როგორიცაა მარწყვი. თიხნარ ნიადაგზე კი ხშირად მიწიდან ამოიყრება კიდეც, ამიტომაც კარგი იქნება თუ მარწყვის ნარგავებს ტორფით მულჩირებას გავუკეთებთ. რაც გულისხმობს იმას, რომ მწკრივებს შორის 2-3 სანტიმეტრის სისქეზე ტორფი უნდა გავფინოთ. ეს მცენარეს დაიცავს და გაზაფხულზე იგი მეტად მოსავლიანი გახდება. თოვლისაგან დასაცავად კი კარგი იქნება წიწვოვანების ტოტებით მწკრივების დაფარვა.

ნოემბერში თუკი შედარებით თბილი ამინდები დაიჭირა, შესაძლებელია, გარკვეული სახის ბოსტნეულის თესვაც. მაგალითად: სალათა, ოხრახუში (მაკიდო), სტაფილო, ცერეცო და ისპანახი. მარტივი ფორმის სათბურში კი შესაძლებელია ბოლოკისა და ხახვის დათესვა და დარგვა, რომლის მოსავლის მიღება იანვრის თვეშიც შეიძლება.

კარგი იქნება იმ ნაკვეთის გადაბარვაც, სადაც ერთწლოვანი კულტურები მოჰყავთ. დადგენილია, რომ რაც უფრო გვიან გადაიბარება ასეთი ნაკვეთები, მით უფრო მეტი მავნებელი იღუპება.

ნოემბერში გადაბარული ნაკვეთის უპირატესობა ისაა, რომ ამ დროს მიწა თოვლისა და წვიმის საშუალებით მეტ მინერალებს იღებს და მასზე მოწეული მოსავალი უფრო უხვია. უკეთესია თუ მიწის ბელტები ასეთ დროს დაუშლელი დარჩება.

აუცილებელია ხეხილოვანი მცენარეების ვარჯის გასუფთავება, რომ მასში მავნე მწერებმა არ დაიბუდოს და გამოიზამთროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი დაბალ და უხარისხო მოსავლიანობას გამოიწვევენ. შესაძლებელია, დაცვის მიზნით ვარჯზე წიწვოვანი მცენარეების ტოტების შემოხვევა. თუმცა, ასეთ დროს წიწვოვანთა ტოტები ქვევით უნდა იყოს დახრილი.

ნოემბერში აუცილებელია ადრე აღებული და შენახული მოსავლის კიდევ ერთხელ გადარჩევა და შემოწმება. მნიშვნელოვანია მათი შენახვის ტემპერატურის კონტროლიც. თუ შენახვის ადგილი თბილია, უნდა იზრუნოთ დამატებით ვენტილიაციაზე, რათა ტემპერატურა დაიწიოს, ხოლო ზედმეტი სიცივის დროს კი მის დათბუნებაზე უნდა იზრუნოთ. არ უნდა დაგვავიწყდეს იმ ადგილების მღრღნელებისაგან დაცვა, სადაც მოსავალს ვინახავთ.

არ უნდა დაგვავიწყდეს საბაღო ინვენტარიც. აუცილებელია მათი შეკეთება, გალესვა, გარეცხვა და დეზინფექცია, რის შემდეგაც უნდა შევინახოთ მშრალ ადგილას.

შენახვამდე კი კარგი იქნება თუ გავპოხავთ მანქანის ზეთით, რაც ინვენტარის ჟანგვას აგვაცილებს თავიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს საქმე გაზაფხულზე ბევრ დროს დაგვაკარგვინებს. აუცილებელია სათბურების დეზინფექციაც.



არ უნდა დაგვავიწყდეს ხეზე დარჩენილი ნაყოფების მოცილებაც, რადგანაც შემდგომში ისინი მრავალი სოკოვანი და სხვა სახის დაავადებების გამომწვევად გვევლინებიან.

კარგი იქნება ხეხილოვანი მცენარეების ვარჯების კირით შეთეთრება. ასეთი მცენარეები ადრე გაზაფხულზე უკეთესად უმკლავდებიან სხვადასხვა სახის მავნებლებს.

თუკი ამინდები საშუალებას გაძლევთ, შესაძლებელია ბაღში ძველი, გამხმარი და დაბალპროდუქტიული ხეების და ბუჩქების მოჭრა და ამოძირკვა, რომ გაზაფხულზე ნაკლები საქმე გქონდეთ და უფრო შედეგიანად გამოიყენოთ ნაკვეთი.

არ უნდა დაგვავიწყდეს ფეიჰოას, მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის ახალგაზრდა მცენარეების შეხვევა და დათბუნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი შესაძლებელია, თოვლმა დატეხოს და შემდგომში მათი ზრდა შეფერხდეს.

http://agrokavkaz.ge/

# წაბლი — უნიკალური და მრავალმხრივ სასარგებლო პროდუქტი



წაბლი საქართველოში ყველასათვის ცნობილია, როგორც მრავალმხრივ სასარგებლო მცენარე.

უნიკალური კლიმატური პირობების წყალობით აქ ფართოდ არის გავრცელებული. ძირითადად კი, სუბტროპიკული (თბილი და ტენიანი) კლიმატის პირობებში გავრცელებული მცენარეა. გვხვდება როგორც ევროპასა და აზიაში, ასევე ჩრდილოეთ ამერიკაში.

ჩვენთან ყველასათვის კარგად ცნობილი ფრთიანი გამონათქვამი — „მოხარშული წაბლი არ გნებავს" — იმის დამადასტურებელია, რომ ჩვენში წაბლის გემო კარგად იციან, როგორც საუკეთესო ნუგბარს ოდითგანვე იცნობენ და აფასებენ! თუმცა ბევრი ტრადიციული მეთოდი წაბლის გამოყენების დავიწყებულია. რამდენადაც ცნობილია, წაბლს სასარგებლო კვებითი ღირებულება აქვს, ფართოდ იყენებდნენ, როგორც კულინარიაში ასევე სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ.

მისი ყველა ნაწილი — ფოთოლი, ყვავილი, ქერქი (მერქანი), ტოტები, ნაყოფი მდიდარია სასარგებლო და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით. სამკურნალოდ გამოიყენება როგორც ჩვეულებრივი ნაყენი და ნახარში, ასევე სპირტიანი ნაყენი.

ნიგვზის, ნუშისა და მიწის თხილისაგან (არაქისი) განსხვავებით წაბლის ნაყოფი ბევრად ნაკლებცხიმიანია (2 %-მდე). სამაგიეროდ გაჯერებულია სახამებლით (60 %), შაქრებით (15 %), ცილებით (6 %), მინერალური ნივთიერებებით, უჯრედისით, A, C და B ჯგუფის ვიტამინებით. უმი წაბლის დიდი რაოდენობით ჭამა არ არის რეკომენდებული სათრიმლავი ნივთიერებების უხვად შემცველობის გამო.

წაბლის ფოთლები მდიდარია გლიკოზიდებით, პექტინებით, ფლავონოიდებით, ზეთებით, სათრიმლავი ნივთიერებებითა და ვიტამინით. ფოთლების ნაყენი და ნახარში ხალხურ მედიცინაში ფართოდ გამოიყენება შინაგანი სისხლდენების დროს როგორც სისხლის შემაჩერებელი საშუალება.

წაბლი დიდხანს არ ინახება, მალფუჭებადია. გამომშრალი ნაყოფის ნახარში, ისევე, როგორც ფოთლების ნაყენი, რეკომენდებულია ზემო სასუნთქი გზების ანთებითი პათოლოგიების სამკურნალოდ.

წაბლი განსაკუთრებით სასარგებლოა ვენების ვარიკოზული გაგანიერების, მწვავე და ქრონიკული თრომბოფლებიტის, წვივის ტროფიკული წყლულის და პერიფერიული არტერიული სისხლის მიმოქცევის დარღვევის დროს (ქვემო კიდურების სისხლძარღვთა ათეროსკლეროზი, არტერიიტი, წვრილი სისხლძარღვების თრომბოემბოლია). ხალხურ მედიცინაში ახალი წაბლი ქრონიკული ფაღარათისა და მალარიის სამკურნალო საშუალებაა.

100 გრამი წაბლი 180 კილო კალორიას შეიცავს.

შუა შემოდგომიდან ევროპული ქალაქების ქუჩები წაბლის სურნელით ივსება. მას პირდაპირ ქუჩაში წვავენ და იქვე შეგიძლიათ მიირთვათ. ეს ტრადიცია განსაკუთრებით პარიზშია ძლიერი, თუმცა მას არც ჩვენი მეზობელი ეგზოტიკური სტამბოლი ჩამორჩება, რომელიც ოქტომბრიდან მოყოლებული შემწვარი წაბლის არომატში ეხვევა.

ამ უბრალო სასუსნავს დიდი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ძველ რომში წაბლს დესერტად მიირთმევდნენ, კოცონზე წვავდნენ, მოგზაურობისას თან დაჰქონდათ და ღვინოსთან მისაყოლებლადაც იყენებდნენ. ძველი მითის მიხედვით, ნიმფა ნეამ შეყვარებული იუპიტერის დევნისგან თავი რომ დაეღწია, თავი მოიკლა. იუპიტერმა ნეა ლამაზ ფოთლებიან და ყვავილებიან ხედ აქცია, რომელიც ჩხვლეტია ნაჭუჭში მოქცეულ გემრიელ ნაყოფს ისხამდა. სიტყვამ ჩასტა, რაც „ქალწულებრივს" ნიშნავს და ნიმფას სახელმა – ნეამ შექმნა სახელწოდება ჩასტანეა, რაც წაბლს ყველა ევროპულ ენაში დაერქვა.

ალექსანდრე მაკედონელმა ევროპაში ლაშქრობების დროს უამრავი წაბლის ჭალა გააშენა, რადგან მისი ნაყოფის ძვირფასი საკვები თვისებების შესახებ იცოდა და თავისი ჯარისთვის სურდა მისი სურსათად გამოყენება.

არსებობს წაბლის ორი სახეობა — ცხენის წაბლი და ჩვეულებრივი, რომელსაც დღემდე მივირთმევთ. ცხენის წაბლი საკვებად უვარგისია,

თუმცა მრავალი სასარგებლო ნივთიერების გამო სამკურნალო დანიშნულებით იყენებენ.

წაბლი შეიცავს 60%-მდე სახამებელს, 15%-მდე შაქარს, 6%-მდე ცილას და 2% ცხიმს. გარდა ამისა, მასში შედის მინერალური ნივთიერებები, ფლავონოიდები, უჯრედისი, A, C და B ჯგუფის ვიტამინები. ხალხურ მედიცინაში წაბლს იყენებენ რევმატიზმის, ვენების გაგანიერების, ზოგიერთი გინეკოლოგიური დაავადების, ჰემოროის სამკურნალოდ.

შეწვის გარდა, წაბლს ხარშავენ და უმადაც მიირთმევენ, მისგან შეიძლება დამზადდეს ფქვილი, კრემი, ყავის არომატიანი სასმელი, ტორტი, ნაყინი...

მრავალ ქვეყანაში წაბლს ხორცეულთან ერთად მიირთმევენ. ევროპაში, საშობაოდ, წაბლით ფარშირებული ფრინველი ნამდვილ სადღესასწაულო კერძად ითვლება.

იაპონიაში წაბლს ბრინჯთან და ქათამთან ერთად ამზადებენ და ლუდზე მისაყოლებლადაც იყენებენ. ჩინეთში წაბლი იმდენად პოპულარული საკვებია, რომ სტატისტიკის მიხედვით, ჩინელები მსოფლიოს წაბლის მთლიანი მოსავლის დაახლოებით 40% მიირთმევენ. ისინი წაბლს არა მხოლოდ უშუალო საკვებად იყენებენ, არამედ მისი მეშვეობით შინაური პირუტყვის ხორცს განსაკუთრებულ გემოსაც სძენენ. შესანიშნავი ხორცის დელიკატესია მშრალი ძეხვი, რომელსაც წაბლით გამოკვებილი ღორის ხორცისგან ამზადებენ.

როგორ ხდება წაბლის გამრავლება და მოშენება

წაბლის გვარი 12 სახეობამდეა (ზოგი ავტორის მიხედვით 30-მდე). საქართველოში გავრცელებულია მხოლოდ ერთი სახეობა ჩვეულებრივი წაბლი (ცასტანეა სატივა). იგი სიმაღლით 30-35 მეტრამდე ხეა.

წაბლი სითბოსა და სინესტის მომთხოვნი მცენარეა. მშრალ ადგილებში ბუნებრივად წაბლი არსად გვხვდება, იგი ტიპური მეზოფიტია. მისი ნორმალური ზრდისათვის საჭიროა ისეთი ადგილები, სადაც წლიური ნალექები აღემატება 800-900 მმ-ს.

კავკასიის მთებში წაბლი გავრცელებულია უმეტესად ტენიან ნაწილში, ჩრდილოეთი დაქანების ხევების ნაპირა ფერდობებზე და სხვა.

წაბლი ნიადაგის მიმართ საკმაოდ მომთხოვნია. მისთვის საჭიროა ღრმა, უმეტესად, ალუვიური, ჰუმუსით მდიდარი ნიადაგი. იგი ვერ იტანს ნიადაგში კირის არსებობას – ტიპური კალკოფობია. საქართველოში წაბლი ძირითადად ტყის ყომრალ ნიადაგებზეა გავრცელებული.

წაბლი ჩრდილის ამტანი ჯიშია და კარგად აღმოცენდება საბურველის ქვეშ. იგი ქმნის როგორც სუფთა, ისე შერეულ კორომებს წიფელთან, თელასთან, ნეკერჩხალთან, ნაძვთან, სოჭთან და სხვა.

წაბლი სითბოს მოყვარული ჯიშია თუმცა კავკასიაში იგი შედარებით სიცივის ამტანია.

წაბლი ძვირფასია მერქნის კარგი ღირსებისა და ნაყოფის კარგი საკვები თვისებების გამო. ამასთან წაბლის ქერქი შეიცავს საკმაო რაოდენობის მთრიმლავ ნივთიერებებს. იგი თაფლოვანი მცენარეა. ფოთლები ვიტამინითა და ტანინებით სიმდიდრის გამო; ხალხურ მედიცინაში, შინაგან ორგანოებში სისხლჩაქცევების დროს გამოიყენება.

წაბლი მრავლდება თესლით და ძირკვის ამონაყრით. ჩვენში წაბლის ტყეები წარსულში უდიდესი ექსპლუატაციისა და პარაზიტი სოკოს ენდოტეას გამო, დიდ ფერდობებზეა განადგურებული და მათი ხელოვნური აღდგენა-განახლება ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად უნდა ჩაითვალოს.

ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს როგორც სამერქნე ტყის კულტურების გაშენებას, ისე სანაყოფე პლანტაციების შექმნას დასახლებული პუნქტების ახლოს, სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადეგარ და წაბლის გასაშენებლად ვარგის ფართობებზე.



წაბლის კულტურების შესაქმნელად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სათესი მასალის წარმომავლობასა და მის ხარისხს. ამასთან მსხვილი თესლიდან გაზრდილი თესლნერგი ერთნახევარჯერ მეტია ზომით და უკეთესი ზრდით ხასიათდება წვრილი თესლიდან აღმოცენებულთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ მაღალხარისხოვანი წაბლის ხეებიდან შეგროვილი თესლებიდან აღზრდილი სარგავი მასალა, ხშირად არ იმეორებს დედის შთამომავლობით თვისებებს, ამიტომ მიმდინარეობს კვლევითი სამუშაოები ვეგეტაციური ნამყენი სარგავი მასალის გამოსაყვანად და მათგან სათესლე და სადედე პლანტაციების მოსაწყობად.

წაბლის მყნობას აწარმოებენ შემდეგი მეთოდებით: ზამთრის ე.წ. „ვაზისებრი" მყნობა ორმაგპირიანი დანით, ე.წ. „ფანჯრით" მყნობა, მყნობა „გახლეჩვით", „უნაგირით", „ტესებური".

იმის გამო, რომ წაბლის ღეროზე ჭრილობა სწრაფად იჟანგება და გართულებულია შეხორცება, წაბლის მყნობა და სარგავი მასალის აღზრდა ჯერჯერობით სამეურნეო მნიშვნელობისა არაა და წრმოადგენს სამეცნიერო კვლევის ობიექტს.

ჯერჯერობით წაბლის სარგავი მასალა თესლით იზრდება. როგორც ზევითაც იყო აღნიშნული, სათეს მასალად უნდა გამოვიყენოთ მაღალი სამეურნეო ნიშან-თვისებებისა და დაუზიანებელი ხეებიდან აღებული ნაყოფები.

წაბლის თესლცვენა იწყება ოქტომბრის პირველ ნახევარში და გრძელდება მთელი თვე. მწიფე ნაყოფი ბუძგიდან ცვივა მიწაზე და იქიდან ხელით გროვდება. ამიტომ სათესლე ხეების ვარჯის ქვეშ ნიადაგი უნდა გასუფთავ-გაიწმინდოს. ქანობის შემთხვევაში, ქვედა კიდეზე კეთდება ნაყოფების შესაგროვებელი ღარი.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება თესლის სწორად შენახვას, რადგან უმნიშვნელო — არასწორი შენახვის შემთხვევაში წაბლი სწრაფად კარგავს აღმოცენების უნარს.

ახლად შეგროვებული წაბლის ნაყოფი 50%-მდე ტენს შეიცავს, რომელსაც სწრაფად კარგავს, ტენის დაკარგვის პარალელურად კი ეცემა აღმოცენების ხარისხიც.

შედარებით თხელქერქიანი წაბლისათვის თითქმის შეუძლებელია შენახვის პირობების შექმნა, რადგან ან სწრაფად შრება ან ტენის დაუკარგავად ლპება. ამიტომ უკეთესია, შეგროვებისთანავე, 5-6 დღეში დაითესოს. მაგრამ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მღრღნელებისგან დაცვას და ნათესში წყლის ჩადგომის თავიდან აცილებას.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნიადაგის შერჩევას. საუკეთესო ნიადაგებად ითვლება: ღრმა სტრუქტურული, მცირემჟავა რეაქციის სუსტი თიხნარი, კარგად დრენირებული და ჰაერგამტარი, საკვები ნივთიერებებითა და ტენით მდიდარი ნიადაგები. გრუნტის წყალი არ უნდა იყოს 1.5 მ-ზე ახლოს.

სანერგისათვის უვარგისია მძიმე თიხნარი და ძლიერტენიანი ალუვიური ნიადაგები.

გადახვნამდე და გადაბარვამდე უკეთესია სათეს ფართობზე შეტანილი იქნას 30 ტონა ნაკელი ან 200 კგ სუპერფოსფატი ერთი ჰექტრის ანგარიშზე.

დაზიანებული და დაავადებული თესლის გამოსარჩევად კარგია თესლის წყლით გამორჩევა.წყლიან ჭურჭელში საღი თესლები იძირება, ხოლო დაზიანებულს იგდებს ზედაპირზე.

საღი თესლი მცირედ შეშრება კარგად ჰაერმოძრავ შენობაში და დაავადების თავიდან აცილების მიზნით შეეფრქვევა გრანოზანი 1 – 1.5 კგ ანგარიშით ტონაზე (ან სხვა დამცავი საშუალება)და კარგად აირევა, რომ პრეპარატი ყველა ნაყოფს მოხვდეს. შესაწამლად შეიძლება გამოყენებულ იქნას 0.2% — იანი კალიუმ-მარგანეცის ხსნარი 5-10 წუთის განმავლობაში.

მღრღნელებისაგან დაცვის მიზნით, ნათესს გარშემო უკეთდება თხრილი ზომით 05X05 მ-ზე, რომელშიც ყრიან მოწამლულ სატყუარას. სიმინდის მარცვლები მუშავდება თუთიის ფოსფიდით. სატყუარა ყოველ 2-3 კვირაში ერთხელ უნდა განახლდეს.

თესვის დროს კვლებზე თესლი მწკრივში ლაგდება ჰორიზონტალურად, ფართო მხრით, ერთმანეთისგან 5 სმ დაცილებით, ხოლო მწკრივები განლაგებულია 20 – 25 სმ – ზე. შემოდგომის თესვისას სიღრმე 10 სმ – ია, გაზაფხულის 5 სმ. ერთ გრძივ მეტრზე ითესება 190 გრ, ჰექტარზე 5600 კგ.

შენახვის ყველა პირობის დაცვით წაბლი აღმოცენების უნარს 5-6 თვეს ინარჩუნებს; შენახვის ორიგინალურ მეთოდად მიჩნეულია ბუძგების გაშლამდე მათი ჩამოყრა და ნიადაგზე, დიდ გროვად, გაზაფხულამდე შენახვა. მღრღნელები და შინაური ცხოველები ეკლიანი ბუძგების გამო ვერ ეკარებიან. ფართობი უნდა შეირჩეს ქანობით, რომ გროვაში წყალი არ ჩადგეს.

დაბალ ზონაში თესლის შენახვა უკეთესია წიწვიანი ხის ნახერხში ან სილაში, მორიგეობით, ფენებად, მიწის ზედაპირზე ფარდულისა და ფარდულის გარეშე, მაღლა – ტყის ზონაში – მიწაზე გროვად, ტყის მკვდარი საფარის ქვეშ, ორმოში — სილაში ან გვიმრაში.

ფართობიც და ორმოც ეწყობა წყალმარიდ, შემაღლებულ ფართობებზე. მღრღნელებისაგან დასაცავად გროვას უკეთდება ამრიდი თხრილი მოწამლული სატყუარით. გროვა ილობება მავთულის წვრილი ბადით ან ზევიდან ეყრება ეკლიანი ბუძგები.

შემოდგომის ნათესი აღმოცენებას იწყებს 15-20 დღით ადრე და პირველ ხანებში ზრდით სჯობს გაზაფხულის ნათესარებს, მაგრამ შემოდგომისათვის განსხვავება უმნიშვნელოა. შემოდგომის ნათესის აღმონაცენი არათანაბარია, ხოლო გაზაფხულისა — ერთდროული და თანაბარი.

მიუხედავად ამისა, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, იმდენ სიძნელეებთან არის დაკავშირებული თესლის შენახვა, რომ უკეთესია, დაითესოს შემოდგომაზე, ოქტომბერ— ნოემბერში.

ნათესის მოვლა იწყება აღმოცენებამდე, ნიადაგის 3 სმ-მდე სიღრმეზე, ფოცხით ან თოხით გაფხვიერებით ისე, რომ არ ამოიყაროს თესლი. ვეგეტაციის პერიოდში ტარდება 5-6 — ჯერადი მოვლა. ნათესის ნახერხით მულჩირების შემთხვევაში (მულჩის სისქე 3-5 სმ) ნიადაგის მოვლა სამამდე მცირდება. უკეთესია მულჩის მოწყობამდე ნახერხი დამუშავდეს ფორმალინის 0.15%-იანი ხსნარით.

თესლნერგები სტანდარტს (ფესვის ყელთან 3-4 მმ დიამეტრი) პირველსავე წელს აღწევენ.

თესლნერგები ამოიღება ბარით ან ნერგების სპეციალური სათხრელი გუთნით. გადარჩეულ-დახარისხებული თესლნერგები იკვრება 100 ცალიან კონებად და დროებით მიიფვლება 30 სმ სიღრმის თხრილში.

წაბლის სანაყოფე კულტურები შენდება 8X8; 10X10; 12X12 მეტრი განლაგებით. მსხმოიარობის დაწყებამდე რიგთაშორისები შეიძლება გამოყენებული იქნას სასოფლო-სამეურნეო კულტურების ან მცირე ტანიანი ნაყოფისმომცემი სახეობების გასაშენებლად.

კულტურების გაშენების წინ, უკეთესია თუ თესლნერგების ფესვებს დავამოკლებთ 15 სმ-მდე და ამოვავლებთ წუნწუხში, რომელიც მზადდება შემდეგნაირად: ორმოში ყრიან კარგ ჰუმუსიან, ერთ ვედრო მიწას უმატებენ ერთ ნიჩაბ გადამწვარ ნაკელს, შეავსებენ წყლით და გულდასმით ურევენ.

**მოამზადა ია გიგიაშვილმა**

# უცნაური ექსპონატი ილიას მუზეუმში...



18 მაისი მუზეუმების საერთაშორისო დღეა, ამ დღეს ტრადიციული ხალხმრავლობაა ილიას მუზეუმსა და მის ირგვლივ. ამჯერადაც ასე იყო... მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმის ერთობლივი გამოფენა — „XIX ს-ის II ნახევრისა და XX საუკუნის 20-50-იანი წლების ფერწერა სამხატვრო აკადემიის ფონდებიდან". დამთავრდა დიდი ღელვა, დღემ შესანიშნავად ჩაიარა, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ მეორე დღიდან უფრო მეტი ფორიაქი მელოდა.

დილით მუზეუმში მისვლა სხვა გზით მომიხდა... დაიწყო ილია ჭავჭავაძის ქუჩისა და არხების რეაბილიტაცია... ისევ გაიღვიძა წლების წინ მინავლულმა ფიქრმა და ოცნებამ, რომელიც ჩემი ბავშვობიდან მოდიოდა...

არასდორს დამავიწყდება საბავშვო ბაღში და ბებიასთან მიმავალი ჩემი და-ძმა, როგორი გაოცებულები ვუყურებდით არხებში ჩაწყობილ ბრტყელ ქვებზე უცნაურად დაგრაგნილ ასოებსა და ორნამენტებს. ბებო ჩურჩულით გვეუბნებოდა, ეს საფლავის ქვებიაო, თუმცა მთლად ვერ ვაცნობიერებდით რა უნდოდა საფლავის ქვებს არხებსა და რუებში; კარგა ხანს ვერთობოდით ბავშვები არხიდან არხზე გადახტომასა და ჩვენთვის გაუგებარი ქართულით დაწერილი სიტყვების კითხვით. წლები გავიდა და ეს წარწერები სადღაც გაქრა... ვიღაცამ „იზრუნა" ყვარლისთვის სირცხვილის ჩამორეცხვაზე... უარესი დანაშაული ჩაიდინეს, ამოლესეს საფლავის ქვების წარწერები და სამუდამოდ დაუკარგეს შთამომავლობას წინაპართა საფლავის ქვები...

მათი ისტორია კი ასე დაწყებულა: XX საუკუნის 30-იან წლებში, როცა საბჭოთა აქტივისტებმა ქართული სიწმინდეების განადგურება დაიწყეს, ბევრ რაიონში საძირკვლამდე დაანგრიეს ეკლესია-მონასტრები, ჩვენს სიწმინდეებს „ბედმა გაუღიმა" — დანგრევას გადაურჩნენ, მაგრამ...

ყვარელში ჯვარი პატიოსანის (ე.წ. ზურიაანთ) ეკლესიის ეზოში თავადების სასაფლაო არსებობდა, აქ იყვნენ დაკრძალულნი ილიას წინაპრები, მშობლები, დედმამიშვილი, კოტე მარჯანიშვილის მშობლები, სხვა ყვარლელი თავადები... ეს ტკბილ-მწარე მოგონებები საოცარი სითბოთი აქვს ასახული ილიას თავის ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი"...

არანაკლებ უყვარდა თავისი მშობლიური კუთხე კოტე მარჯანიშვილსაც, თუ საქართველოში იყო, შემთხვევას არ უშვებდა, ყვარელში ჩამოსულიყო, განსაკუთრებით რთველობას არ გამოტოვებდა. 30-იან წლებში ერთ-ერთ ბოლო ჩამოსვლაზე მეზობლად ხარატიშვილებში სუფრაზე მიუწვევიათ კოტე, მშობლების სადღეგრძელო რომ შეუსვამთ, ტრადიციისთვის არ უღალატია, დედ-მამის საფლავების მოსანახულებლად ჩასულა ჯვარი-პატიოსანის ეზოში, დიდი ხნის შემდეგ, კოტე სუფრაზე რომ აღარ გამოჩენილა, მასპინძლებმა ჩააკითხეს თავადების სასაფლაოზე, მაგრამ იქ აღარ დახვედრიათ, საფლავის ქვები ვეღარ უნახავს და გამწარებული უკან მიბრუნებულა, ამის შემდეგ აღარც ყვარელში ჩამოსულა.

მაშინდელმა ყვარლელმა ჰეროსტრატებმა საფლავის ქვები წამოკრიფეს ეკლესია-მონასტრების ეზოებიდან (განსაკუთრებით თავადებისა) და არხებში ჩააწყვეს მოსაპირკეთებლად...

გზის დამუშავება დღითიდღე ძალაში შედიოდა, მოსვენება დავკარგე... პირველი ქვა რომ ამოჰყვა მიწას, ვეღარ მოვითმინე და ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის, ოთარ ბუჯიაშვილის ნომერი ავკრიფე... დარწმუნებული ვიყავი, მომისმენდა... გაახაროს უფალმა, მყისიერი თანხმობა მივიღე, შევთანხმდით, ჭავჭავაძეების საფლავებისთვის ილიას ეზოში გამოვყოფდით ადგილს, დანარჩენებს კი საერო სასაფლაოზე გადაიტანდნენ და საერთო პარაკლისს აღავლენდნენ, ლამის საუკუნოვანი სირცხვილისა და ლაქის ჩამოსარეცხად... ამ ქვების პირველი ჭირისუფალი იქვე მდგომი ტაქსის მძღოლები და მეგზურები აღმოჩნდნენ...

3 აგვისტოდან მელქისედეკ გიორგის ძე ჭავჭავაძის სამუდამო სამყოფელი თავისივე მოგვარის დიმიტრი ჭავჭავაძის საფლავის ქვასთან ერთად ილიას მუზეუმის ეზოში გახდა.

ამ ქვაზე საოცარი წარწერაა ანდერძივით დატოვებული თითოეული ჩვენგანისათვის:

„მკითხველო ანდერძს გიტოვებ...
და ნატვრა ჩემი ერთია,
ნუ დაივიწყებ სამშობლოს;
ამ ქვეყნად ისიც ღმერთია".

**თამარ ზურიაშვილი,**
**ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი**

# ილიას გზით ევროპისაკენ



ევროპის მემკვიდრეობის დღეები 1985 წლიდან აღინიშნება ევროპაში, ხოლო 1999 წლიდან კი ის წარმოადგენს ევროპის საბჭოსა და ევროკომისიის ერთობლივ პროგრამას, რომელშიც მონაწილეობას იღებს ევროპის კულტურული კონვენციის ხელმომწერი 50 ქვეყანა.

„ევროპის მემკვიდრეობის დღეები" 16-18 სექტემბერს მთელი ევროპის მასშტაბით აღინიშნება და 2014 წლიდან მასში აქტიურადაა ჩართული საქართველოც. მონაწილეობა საერთაშორისო კულტურულ ცხოვრებაში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ამიტომ ყვარლის ილია ჭაჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის ჩართვა აღნიშნულ ღონისძიებაში ერთდროულად საპასუხისმგებლო და მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ.



„ილიას გზით — ევროპისაკენ!" — ამ დევიზით მოეწყო გამოფენა მუზეუმში 17 სექტემბერს. ღონისძიებას ესწრებოდნენ ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის დირექტორის მოადგილე, ბატონი გიორგი ფარეშიშვილი, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ქალბატონი ქეთევან ზაუტაშვილი, რაიონის საზოგადოების წარმომადგენლები, საჯარო სკოლების პედაგოგები და მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასების მოსწავლეები.

გაიმართა საინტერესო და სახალისო ვიქტორინაც „მე ევროპელი ვარ", რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართული ყვარლის პირველი და მეორე, შილდის, ახალსოფლის, გავაზის და ჭიკაანის საჯარო სკოლების მოსწავლეები. სასწავლო უნარ-ჩვევების გააქტიურებისა და ახალი გამოცდილების შეძენის გარდა, ვფიქრობ, ამ ღონისძიებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მათი ეროვნული და მოქალაქეობრივი აღზრდის საქმეშიც. ეს იმას ნიშნავს, რომ ვქმნით სწორედ მოაზროვნე საზოგადოებას, მომავალ საქართველოს, რომელიც ილიას გზით ივლის ევროპისაკენ!



მადლობა მუზეუმის ყველა თანამშრომელსა და დირექტორს ქალბატონ თამარ ზურიაშვილს ასეთი ღონისძიებისათვის. განსაკუთრებული მადლობა ყვარლის მუნიციპალიტეტის რესურს ცენტრს აქტიური მხარდაჭერისთვის.

**შორენა სეფაშვილი,**
**ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის გიდი**

# პოეზიის სამყაროში

## ლია გიგიტაშვილი

### საფეხურებზე

ვითომ, სნეულს მოუარა,
მოძმეს საქმე მოუგვარა,
ვითომ ბოროტს შეეძრახა,
მწვავეს გვერდი აუარა...
ვითო-ვითომ სამეგობროს
ვითომ გული გაუშალა...
ვითომ, ვალი აპატია,
გაჭირვებულს დაეხმარა...
ჩასაწყობი ჩაალაგა,
არეული მიალაგა,
სოფლის თამაშს მიეძალა—
სიამაყით იამაგა...
ვითომ-ვითომ ფაცი-ფუცში
ღიმილი და ცრემლი ღვარა...
როცა დარჩა თავის თავთან,
მიხვდა, მართლა დაიღალა!
ნაღდი იყო გულის ტკენა,
სიყვარული-- მინავლული...
რუხი ჩოხით, მუხლის ჩოქვით
იღველფება სინანული...

### * * *

ისევ შენებური
სიბრძნით დამარიგე,
შუქი მომაფინე,
ლოცვად გამარინდე...
ისევ მომაფარე
შენი თეთრი რიდე,
შენი სიახლოვით
ბოროტს ამარიდე,
თორემ უშენობა
ნიშნავს უმწეობას!
სევდით დაბნელებას,
სულის უმზეობას!
ლამის ჩავიჩოქე,
ხელი შემაშველე!
ისევ მადლიანი
ფერით შემამშვენე...
ისევ უპატრონე
ამ გულს, ამ მდელოსო,
უფლით მოვლენილო,
ჩემო ანგელოსო!

## ნუნუ ლაღიძე

### ჭადრები

ისევ ქარია... ისევ ქრის...
ისევ ფოთოლთა ცვენა,
ო... როგორ მინდა ჩამოვლა
ჭადრების ქვეშ და რბენა.
ქარები ისევ დაქრიან,
ქუჩას აუყვნენ... ბნელა...
და შენი სახლის ფანჯრებთან,
ისევ მოაწყეს ლხენა.
ისევ ქარია... ისევ ქრის...
ისევ ფოთოლთა ცვენა,
ჭადრები აღარ შრიალებს
ზამთრის სუსხია... ბნელა.

### ლურჯი ფრინველი

თითქოს მეძებდი... მითვალთვალებდი,
შენს მზერას ვგრძნობდი ჩუმს და მომზირეს.
თვალები შენსკენ, შენსკენ ილტვოდნენ,
გული კი დუმდა კვლავ მომლოდინე.
და შემოდგომა ნელი ტაატით,
თითქოს ნაზ სურნელს სულში გვაფრქვევდა.
ყვითელ ფოთლების ნაზი შრიალი,
თავბრუს გვახვევდა... თავბრუს გვახვევდა,
წამი გაფრინდა... გაჰყვა ოცნება...
და შემოდგომის ტკბილი სურნელი
თვალს მიეფარა და სიყვარულიც
გაჰყვა მას, როგორც ლურჯი ფრინველი.

### სად გეძებო...

ამ წვიმაში სად გეძებო...
სად ვიპოვო შენი კვალი,
ნაფეხური არსადა სჩანს,
აღარც ტერფთა ნატერფალი,
ბილიკ-ბილიკ მოვიარე,
გზაზე გვირილები ვკრიფე.
შენი სახელის ხსენებით,
გულს გონება გადავკიდე.
ამაოა შენი ძებნა
და ოცნება ნაფერმკრთალი,
ნაფეხური აღარსად სჩანს,
აღარც ტერფთა ნატერფალი.

### ხვალ გამოიდარებს...

დღეს მოსწყენია უმზეოდ,
ცრემლები მოსდის წვეთებად.
ხან თითქოს გამოიდარებს
ხან კი კვლავ სევდა ერევა.
მზის სხივი აღარსადა სჩანს,
ცამ თალხი ველად გაფინა,
დღე თვალებსა ხრის, წამწამებს
ვერცხლის ცრემლები დაჰკიდა.
უმზეოდ ყოფნა აღარ სურს,
დღე ცრემლიანობს, მწუხარებს,
იქნებ ხვალ მაინც გამოჩნდეს,
ალბათ ხვალ გამოიდარებს.

### ავადაა ჩემი სული

ავადაა ჩემი სული,
აღარ ესმის სუნთქვა შენი.
ისევ სტირის მოლაღური,
შენთვის მსტვენი, შენთვის მშვენნი.
იმ დღიდან ზღვას ნიავ-ქარი,
აღარ ეკვრის მეტად მკერდზე,
იმ დღიდან მზეს ყვავილები,
აღარ შვენის მეტად ყელზე.
ავადაა ჩემი სული...
აღარ ესმის სუნთქვა შენი,
ასტკივნია ყველა სიმი,
შენთვის მსტვენი, შენთვის მშვენნი.

# ხახვს შეუძლია, ეს ხუთი პრობლემა მოგიგვაროთ — სასწრაფო დახმარება ჯანმრთელობისთვის

თუ ლაშქრობისას ან მოგზაურობისას ხელთ არ აღმოგაჩნდათ მედიკამენტები, სასწრაფო დახმარებას ჩვეულებრივი ხახვი გაგიწევთ:

### ანთებითი პროცესის დროს

დაავადებათა უმრავლესობას ქრონიკული ანთება იწვევს. ხახვი შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ანთებით პროცესს და აუმჯობესებს ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობას.

განსაკუთრებით ეფექტურია ართრიტის, ასთმისა და სხვა რესპირატორული დაავადებების სამკურნალოდ. ასე რომ, ხშირად ჩართეთ თქვენს რაციონში.

### მაღალი ტემპერატურის დროს

მაღალი ტემპერატურის დროს ძილის წინ ხახვის ნაჭრები ფეხისგულებზე დაიდეთ, ჩაიცვით წინდები და დაიტოვეთ მთელი ღამით.

### დეტოქსიკანტი

დადასტურებულია, რომ ხახვისა და კურკუმის კომბინირებისას, წარმოიქმნება ქიმიური რეაქცია, რომელსაც კიბოსწინარე უჯრედების განადგურება შეუძლია.

### გულის დაავადებები

ხახვში შემავალი ნივთიერებები აქვეითებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, შესაბამისად, ქვეითდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკი.

### კანის დამწვრობა

ხახვი და მისი წვენი ანელებენ ტკივილსა და ანთებით პროცესს კანის დამწვრობის დროს და ხელს უშლიან წყლულების გაჩენას.





# ნადირობის ტრფიალი

ილია ჭავჭავაძის ტყის ფართობი სოფელ საგურამოში 114 დესეტინას შეადგენდა. მწერლის ზრუნვის საგანი იყო, ტყის დაცვას სისტემატური ყურადღება მიქცეოდა. ტყის მოვლა-პატრონობის შესახებ მას არაერთხელ უსაუბრია გლეხებთან და გაუფრთხილებია, დაეცვათ ბუნების ეს სასარგებლო და შემამკობელი ნაწილი, განსაკუთრებით გაფრთხილებოდნენ ძვირფასი ჯიშის მცენარეებსა და ნორჩ ნერგებს. როგორც ილიას თანამედროვე საგურამოელი გლეხები იგონებენ, ი. ჭავჭავაძე ურჩევდა გლეხებს, გაფრთხილებოდნენ ტყის ძვირფას ბინადართ: ირემს, შველს, ხოხობს... და არა მარტო დაეცვათ ისინი, არამედ ეზრუნათ მათი მომრავლებისათვის.

გლეხებს ისიც კარგად ახსოვთ, თუ როგორ მიუახლოვდებოდა საღამოობით ილიას სახლს ლამაზი შტოიანი რქებით ერთი მოზრდილი ირემი. მაშინვე ძაღლები ყეფას ატეხდნენ ხოლმე. ილია აფრთხილებდა მოურავსა და სხვა მოსამსახურეებს, რომ ძაღლები ეზოს გარეთ არ გაეშვათ, თვითონ იდგა სახეგაცისკროვნებული და სიყვარულით უმზერდა ირემს. ისიც თითქოს გრძნობდა გულისხმიერი კაცის ყურადღებას, მედიდურად გადახედავდა ილიას და მასთან ახლო მდგომ ადამიანებს, მერე რქებს შეაქანებდა, მოტრიალდებოდა, ტყის სიღრმეში შევიდოდა და გაუჩინარდებოდა.

სამსახურებრივი და საზოგადოებრივი შრომის შემდეგ დაღალული ილია ტყეში გავლით ისვენებდა, თავის მოურავთან ერთად ყურადღებით ათვალიერებდა ზედაზნის მთის კალთაზე გადაქოჩრილ მცენარეებს და თუკი სადმე გამეჩხერებულ ადგილს შეამჩნევდა, მოურავს ავალებდა, რომ ის ადგილი ახალი ნერგებით შეევსო. მწერალს განსაკუთრებით უყვარდა მუხა და კაკალი, სთხოვდა გლეხებს, რომ ეს მცენარეები არ მოეჭრათ, არ დაეზიანებინათ.

როგორც ილიას გლეხებისთვის უთქვამს, ახალგაზრდობის დროს ნადირობით გატაცებული ყოფილა, მაგრამ არასდროს ჰქონია ისეთი შემთხვევა, რომ მას თუნდაც წინ შეფეთებული ირემი, შველი ან ჯიხვი მოეკლა. ამ ცხოველების გამრავლებას ხელი უნდა შევუწყოთო, მათზე იარაღის აღმართვა ცოდვააო.

როგორც ილიას თანამედროვეთა მოგონებებიდან ვგებულობთ, მწერალი ნადირობისთვის გულმოდგინედ ემზადებოდა: ორლულიან სანადირო თოფს, რომელიც ყოველთვის მშრალ ადგილზე სუფთად ჰქონდა შენახული, სანადიროდ წასვლის წინ ხელახლა შეამოწმებდა, ჩიცვამდა ქალამნებს, წვივებზე მოირგებდა გამაშებს (ილიას ნაქონი გამაშები და სანადირო თოფის პატრონები ახლაც ინახება საგურამოს სახლ-მუზეუმში), ლაზათიანად გაიკეთებდა პატრონტაშს*, გაიყოლებდა მეძებარ ძაღლებს და გაუდგებოდა ტყისკენ გზას.

ილია ჭავჭავაძის ნადირობის პატარა ეპიზოდი გაიხსენა წიწამურელმა გლეხმა ქიტა კახუაშვილმა:

„ერთ დღეს ბატონი ილია სანადოროდ ყოფილიყო ტყეში. საღამო ხანს, ჯერ კიდევ მზე არ იყო ჩასული, რომ ჩვენი სოფლის თავში, წიწამურის ხევთან, სადაც პატარა წყარო მოჩუხჩუხებდა, მოულოდნელად შევეფეთე მას. ილია კარგად მიცნობდა, ახლობლურად მომიკითხა და მერე წყაროსთან ახლოს ქვაზე ჩამოჯდა.

— ბატონო ილია, როგორც გეტყობათ, სანადიროდ ყოფილხართ, ამ ერთი საათის წინ თოფის ხმაც შემომესმა ტყიდან, — ვკითხე მოკრძალებით და მერე დავუმატე, — ალბათ ვერაფერი მოკალით და მაგაზე გული არ დაგწყდეთ-მეთქი.

ილიას ჩემს ნათქვამზე გაეღიმა და მიპასუხა: დიახ, სანადიროდ ვიყავი, თოფიც მე გავისროლე, მაგრამ მიზანში არ ამიცდენია.

— მაშ, სად არის თქვენი ნანადირევი? — ვკითხე მას და ჩემდაუნებურად მის ცარიელ ჩანთანას დავაცქერდი.

— ნანადირევი ტყეში დავტოვე, — მითხრა მან და ხელით მანიშნა ნახევარი ვერსის მანძილზე დაშორებული ორი, თითქმის თანაბარი მუხის ხეზე და მითხრა: მე დღეს მგელი მოვკალი, ის წუნკალი გამოვასალმე სიცოცხლეს, წინ გადამირბინა, ირემს მისდევდა და აი, რომ არ მომეკლა, ირემს დაუბნელებდა მზესაო".

# გოგი ვარამიშვილი

## შენ დავიწყება არ გიწერია, გოგი!



ამბობენ სიკვდილი უკვდავების დასაწყისიაო... იცოცხლე ისე, რომ სიკვდილის მერეც არ მოკვდე. შენც ხომ ასე ხარ, გოგი...

განცდის, ტირილის, ტკივილის 7 წელი გადის 15 ნოემბერს. ამბობენ — დრო ყველაფრის მკურნალიაო, ეს ტყუილია. შენ ჩემი მოურჩენელი სენი ხარ. ამ შვიდი წლის გადასახედიდან კიდევ უფრო მძაფრად ვგრძნობთ მე და ჩემი შვილები, თუ რაოდენ ძვირფასი ყოფილხარ...

24 სექტემბერი შენი დაბადების დღეა, რომელსაც სიცოცხლეში მოუთმენლად ელოდი ხოლმე და ოჯახისა და მეგობრების გარემოცვაში აღნიშნავდი.

ჩემო სუფრის თამადა, შენ ჩემი ცხოვრების აზრი იყავი, ხარ და დარჩები, სანამ ვიცოცხლებ. როგორ გვაკლიხარ, როგორ გვენატრები მე და ჩემს შვილებს დიანასა და ნინოს, შენ ხომ უზომოდ კეთილი, მზრუნველი, მოსიყვარულე და, რაც მთავარია, ოჯახის ბურჯი იყავი. შენმა უდროო სიკვდილმა არა მარტო ოჯახს, ბევრ სხვასაც დასწყვიტა გული. რამდენი ადამიანი გაგიხარებია, გვერდში ამოდგომიხარ და უანგაროდ დახმარებიხარ. შენ ღირსეულად განვლე შენი ხანმოკლე წუთისოფელი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული. უფალმა დაგიმკვიდროს საუკუნო სასუფეველი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. გიორგობის თვეს წასულო გიორგი, წმიდა გიორგი გფარავდეს.

**ოჯახი**

# ოთარ ავაზაშვილი

უშენოდ უკვე მეორედ მოვიდა 7 ნოემბერი, შენი დაბადების დღე. როგორ გიყვარდა ეს დღე, ყოველთვის დიდი სიხარულით აღვნიშნავდით.

გილოცავდნენ შენი ახლობლები, შენთვის საყვარელი ადამიანები, უზომოდ ხარობდი.

67 წლის გახდებოდი ოთარ, უკვე პაპაც ხარ, პატარა გიორგი შემოემატა ჩვენს ოჯახს. ცხოვრება გრძელდება.

ყველა ცრემლიანი თვალებით ვხვდებით ამ დღეს, გიხსენებთ და უზომოდ გვწყდება გული, რომ „შენ აღარ ხარ".

ნათელი ედგეს შენს სამუდამო სასუფეველს.

**ოჯახი**

# როგორ ანგრევს უძილობა ორგანიზმს — მეცნიერების კიდევ ერთი დასკვნა

ამერიკელმა მეცნიერებმა თვალნათლივ აჩვენეს, როგორ მოქმედებს ორგანიზმზე მხოლოდ ერთი უძილო ღამე. აღმოჩნდა, რომ ნეგატიური ეფექტი ისეთივე ძლიერია, როგორც ნახევარი წელი მხოლოდ „სწრაფი კვების" შემცველი რაციონის მიღების შემთხვევაში. დასკვნა გაკეთდა ძაღლებზე ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგების საფუძვლეზე.

მეცნიერებმა შეისწავლეს საცდელი ცხოველის სისხლი სხვადასხვა მდგომარეობაში. აღმოჩნდა, რომ იმ ძაღლებს, რომელთაც არ ეძინათ მთელი ღამე ან დიდი ხნის განმავლობაში კვებავდნენ ცხიმიანი საკვებით, გლუკოზის ათვისების უნარი უქვეითდებოდათ.

უძილობა საშიშია, რადგანაც ძილის ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზმში იმ საკვანძო უჯრედული პროცესების დარღვევა, რომელიც პასუხისმგებელია ზრდაზე, ფიზიოლოგიურ ადაპტაციასა და ტვინის აქტიურობაზე. თუ ადამიანს ძილი აკლია, ცილების სინთეზი ნორმალურად ვეღარ წარიმართება. თავად ეს ცილები კი პასუხისმგებელია კუნთური ქსოვილის, თავის ტვინის მუშაობაზე, ქსოვილების ზრდასა და განვითარებაზე. აღნიშნული ცილების რეგულაცია კი პირდაპირ კავშირშია ძილთან.

მეცნიერების აზრით, ეს ურთიერთკავშირი მუშაობს ყველა ორგანიზმში, მცენარეებშიც კი. არსებობს ასევე „შინაგანი საათით" (ცირკადული საათით) გაკონტროლებული სხვა ასპექტებიც. თითოეულ უჯრედში, ახალი ცილები კონსტრუირდება დნმ-დან წამოსული განსაკუთრებული სიგნალების გადაცემის ხარჯზე. ექსპერიმენტით დადგინდა, რომ დღის განმავლობაში იცვლებოდა არ ამარტო ამ პროცესის აქტივობა, არამედ იგი პირდაპირ კავშირში იყო ცირკადულ საათთან.

### როგორ დავამარცხოთ უძილობა

თუ უძილობა გაწუხებთ, საჭიროა ძილის ჰიგიენის დაცვა:

• ნუ დაიძინებთ დღისით.

• ჭარბად ნუ მიიღებთ სპირტიან სასმელებს — ალკოჰოლს შეუძლია, მოგგვაროთ ძილი, მაგრამ ნაადრევადაც გაგაღვიძოთ.

• მინიმუმამდე დაიყვანეთ მაგარი ჩაის, ყავის, კოფეინის შემცველი სხვა სასმელების მიღება, განსაკუთრებით — ნასადილევს. საქმე ის არის, რომ კოფეინი შფოთვის მსგავს მდგომარეობას იწვევს. უკეთ რომ იძინოთ, მიიღეთ კატაბალახას ან შავბალახას ნაყენი.

• გირჩევთ, თავი დაანებოთ თამბაქოს — მოწევა ძილის დროს სუნთქვის რიტმის დარღვევას იწვევს.

• იმისთვის, რომ მალე დაგეძინოთ და დილამდე არ იწრიალოთ საწოლში, ეცადეთ, დაწვეთ და ადგეთ ერთსა და იმავე დროს. გირჩევთ, არ გადააცილოთ დაწოლა 22 საათს — საუკეთესოა, როდესაც ძილი შუაღამემდე იწყება. რამდენიმე კვირაში შეამჩნევთ, რომ ახალი რეჟიმი თქვენი ორგანიზმისთვის მისაღები და სასიამოვნო გახდა.

• ივარჯიშეთ, მაგრამ არ გადაიღალოთ, განსაკუთრებით — ძილის წინ. ზომიერი ფიზიკური დატვირთვა დაძინებამდე 4-6 საათით ადრე სტრესის დაძლევაში დაგეხმარებათ. გამამხნევებელი ეფექტი დასრულდება ვარჯიშიდან რამდენიმე საათის შემდეგ. აქტივობას შეცვლის სასიამოვნო მოდუნება, რომელიც ჩაძინებას შეუწყობს ხელს.

• ამოიღეთ რაციონიდან ცხიმიანი და ნოყიერი კერძები, განსაკუთრებით — ნასადილევს და ძილის წინ. მსუყე ვახშამი, ისევე როგორც მატონიზებელი სასმელები, ხელს უშლის კარგ ძილს. ცხიმიანი, მსუყე საკვები, მაშინ როდესაც ტვინი ისვენებს, საჭმლის მომნელებელ სისტემას ზედმეტად ტვირთავს, ეს კი კარგად გამოძინების საშუალებას არ მოგცემთ. მეორე მხრივ, მშიერი კუჭით ძილიც არასწორია. უმჯობესია, ძილის წინ მიირთვათ რაიმე მსუბუქი საკვები: უცხიმო კეფირი, ბოსტნეულის სალათი ან ხილი, სრულფასოვანი ვახშამი კი დაძინებამდე 4 საათით ადრეა სასურველი.

• თუ ვერ იძინებთ, შეიძლება ცოტა წაიკითხოთ — მანამდე, ვიდრე ძილი მოგერევათ.

• ძილის წინ სასარგებლოა თბილი არომატული აბაზანა ან კონტრასტული შხაპი — ის სხეულსაც გაასუფთავებს და დაძაბულობასაც მოგიხსნით, მთელი დღის განმავლობაში ნაგროვები ნეგატივისგან გაგათავისუფლებთ. წყლის პროცედურები ყველაზე უკეთ ადუნებს და განაწყობს ძილისათვის.

• ძილის ხარისხია მთავარი და არა ხანგრძლივობა. თუ აღარ გეძინებათ, ნუ შეიბრუნებთ და გაიხანგრძლივებთ ძილს. ბევრისთვის ნაცნობია ხანგრძლივი ძილის შემდგომი მდგომარეობა. მას თან ახლავს მოთენთილობა, სუსტი თავის ტკივილი, აპათია. ეს შეგრძნებები იმის ბრალია, რომ ყველა შინაგანმა ორგანომ გამოიძინა, დაისვენა და მზად არის სამუშაოდ, ჩვენ კი ძილის გაგრძელებით ორგანიზმს ამის საშუალებას არ ვაძლევთ. ზრდასრულ ადამიანს დღე-ღამეში, საშუალოდ, 7-9 საათი ძილი ჰყოფნის, თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, ეს მეტად ინდივიდუალურია.

• ვიზრუნოთ საწოლზეც. ძილისთვის მნიშვნელოვანია, რაზე გვძინავს. კარგი ლეიბისა და ბალიშის შერჩევა ადვილი არ არის. თუ ლეიბი ძალზე თხელი ან მაღალი, რბილი ან მაგარია, ძილისთვის მოუხერხებელი იქნება. აუცილებელია ლეიბი, რომელიც ხერხემალს კარგ საყრდენს უქმნის. თუ ხერხემლის პრობლემები გაქვთ, გირჩევთ, ლეიბი ორთოპედის კონსულტაციით შეარჩიოთ.

• არანაკლებ მნიშვნელოვანია ბალიშის შერჩევა. თუ შეუფერებელ ბალიშზე წევხართ, ძილის დროს კისრის მალები მათთვის არაბუნებრივ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ზურგის ზედა ნაწილისა და კისრის კუნთები დაიჭიმება, ტვინის სისხლის მომარაგება შენელდება და არასრულფასოვანი გახდება. ამის გამო დილიდანვე შეგაწუხებთ თავის ტკივილი და მთელი დღის განმავლობაში — დაღლილობა.



• ღამით რაც ნაკლებ ტანსაცმელს ჩაიცვამთ, მით უკეთესად იძინებთ. საღამური პერანგი თუ პიჟამა ტანზე არ უნდა იყოს მომდგარი, ხელს არ უნდა უშლიდეს მოძრაობას. ოპტიმალურია ბამბისა და სელის საღამური. ის ორ კვირაში ერთხელ მაინც უნდა გაირეცხოს.

• საწოლ ოთახში აუცილებლად უნდა იყოს სუფთა ჰაერი, ამიტომ ყოველდღე უნდა გაანიავოთ ან გამოაღოთ სარკმელი ძილის წინ. ტვინისთვის ჟანგბადი აუცილებელია. იგი ორგანიზმისთვის ენერგიის შეუცვლელ წყაროს წარმოადგენს.

• გაღვიძების შემდეგ დიდხანს ნუ ინებივრებთ საწოლში, თუნდაც ჯერ კიდევ ბნელოდეს. საქმე ის არის, რომ ტვინი გაღვიძებისთანავე იწყებს აქტიურ მოქმედებას და ხელახლა დაძინებით მხოლოდ ხელს შევუშლით მის აქტივობას.

• მშვიდად და ღრმად დაძინებას ზოგიერთი არომატიც უწყობს ხელს. შეიძლება არომალამფის, ბალახების ბალიშის გამოყენება ან, უბრალოდ, რამდენიმე წვეთი ლავანდის ზეთის ცხვირსახოცზე დაწვეთება. ამ კუთხით სასარგებლოა სვია, წიწვები, პიტნა, ნემსიწვერა, ბარამბო, გვირილა და ღვია.

• ძილის დარღვევა შესაძლოა გამოიწვიოს ცუდმა სიზმრებმაც.

• აკვიატებული აზრებისგან გათავისუფლება. ხშირად არ გვაძინებს სავსებით რეალური პრობლემები. უძილობისთვის თავის დაღწევის საუკეთესო გზა მათი მოგვარებაა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამჟამად ეს არ ძალგიძთ, ამიტომ შთააგონეთ თავს, მათზე მეორე დღეს იზრუნოთ და ეცადეთ, სასიამოვნო რამეზე იფიქროთ.

# რა არის გაყინულ ხორცში, რომელსაც რესტორნებსა და მარკეტებში გვთავაზობენ — ეს უნდა ვიცოდეთ!

ტრანსგლუტამინაზა — სიტყვა, რომელიც მოსმენისთანავე გვაშინებს. თუმცა სხვანაირადაც შეიძლება ვთქვათ — „ხორცის წებო", რომლის შესახებ ალბათ ცოტას თუ სმენია. არადა უნდა ვიცოდეთ, რადგან ბოლო დროს მისი გამოყენება განსაკუთრებით ხშირია სუპერმარკეტებსა და რესტორნებში.

ხორცის მწარმოებლებმა მოიგონეს პატარა ეშმაკობა, რომელიც მათ ეკონომიის საშუალებას აძლევთ: ხორცის დარჩენილ, პატარა ნაჭრებს სპეციალური წებოს საშუალებით ერთმანეთს აწებებენ და იღებენ სტეიკისთვის განკუთვნილ დიდ, მადისაღმძვრელ მთლიან ნაჭერს. თუმცა გაათვალისწინებელია ისიც, რომ პროდუქციის ეკონომიასთან ერთად ამ გზით ადამიანების ჯანმრთელობის ეკონომიაც ხდება.

ხორცის წებო მიიღება სპეციფიური ბაქტერიების ფერმენტაციის შედეგად. მისი დახმარებით ხორცის ცალკეული ნაჭრებისგან მთლიანი ნაჭერი კეთდება. ხორცის ნაჭრებზე აფრქვევენ წებოს და ათავსებენ მჭიდრო კონტეინერსა თუ ცელოფანში. წებოს მოქმედებით ხორცი ფუვდება და ნაჭრები ერთმანეთს „შეეზრდება". მაცივარში მთელი ღამით გაჩერებული ამგვარი პროდუქტი მეორე დღეს ხორცის ჩვეულებრივ, მთლიან ნაჭრად იქცევა. ამ გზით წარმოებული ხორცი მაღაზიებში ვაკუუმ-შეფუთვით იყიდება. ამ მეთოდს რესტორნებში აქტიურად იყენებენ, სადაც ნარჩენი ხორცის ნაჭრები მრავლადაა.

ტრანსგლუტამინაზა საკვებ პროდუქტზე უსაფრთხო დანამატად ითვლება, მაგრამ ამგვარად მომზადებული ხორცის მირთმევა საფრთხეს სხვა რამის გამო შეიცავს. საქმე ის არის, რომ „შეწებებული" ხორცი მომზადებისას მთლიანად ვერ ახერხებს შეწვას: თქვენ კი წვავთ მას ორივე მხრიდან, მაგრამ „შეწებების" ადგილები მაინც რჩება მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების ქვეშ და მათი სათანადოდ შეწვა ვერ ხერხდება. შესაბამისად, ამ ადგილებში ჩნდება საშიში მიკრობები. ამიტომ ამგვარი ხორცი საჭიროა ორთქლზე მოამზადოთ ან მოხარშოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ის თქვენი ჯანმრთელობისთვის საშიში ხდება. თუმცა ყველაზე კარგი იქნება, თუ „შეწებებულ" ხორცზე საერთოდ უარს იტყვით!



# მილოცვა



**ყვარლის ააიპ სკოლის დირექტორს, ბატონ ლევან მირიანაშვილს**

ბატონო ლევან, ჩვენო უძვირფასესო ადამიანო, გულით გილოცავთ დაბადების დღეს — გვიხარია, რომ არსებობ, თქვენი თანამშრომლები ყოველდღიურად ვგრძნობთ თქვენგან დიდ სიყვარულს და თანადგომას.

ბატონო ლევან, ჩვენ ყველა ერთად დიდ მადლობას გიხდით ყველა თქვენგან გაწეული უანგარო სიკეთისათვის და უპირველესად ღვთისგან ბოძებულს ყველაზე ძვირფასს, სიცოცხლეს დაგილოცავთ, ჯანმრთელობა, დიდი სიყვარული, დიდი სიხარული და უფლის მფარველობა ყოფილიყოს თქვენი ლამაზი ოჯახის მეგზური.

იდღეგრძელე, მრავალჟამიერ...

**დიდი პატივისცემით**
**ააიპ ყვარლის კომპლექსური სასპორტო სკოლის კოლექტივი**

# განცხადება საგრანტო კონკურსის შესახებ

**ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია „ელკანა“, იაპონიის სოციალური განვითარების ფონდის დაფინანსებით და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „საქართველოს ტურიზმის სექტორში ჩართული ღარიბი თემებისა და მიკრო-მეწარმეების შესაძლებლობების გაზრდა“. პროექტის მიზანია კახეთის და იმერეთის რგიონებში, სამიზნე ღარიბ და მოწყვლად თემებში სამუშაო ადგილების შექმნა და ოჯახების შემოსავლების გაზრდა. დაინტერესებულ პირებს საგრანტო კონკურსში მონაწილეობის და ტურიზმის განვითარების მიზნით 1000-დან 2000 დოლარამდე გრანტების მიღების შესაძლებლობა აქვთ.**

**2016 წლის ოქტომბერ-ნოემბრის განმავლობაში სამიზნე თემებში საკონსულტაციო შეხვედრები ჩატარდა. მსურველებს შეუძლიათ დაესწრონ შეხვედრებს და მიიღონ ინფორმაცია კონკურში მონაწილეობის პირობებზე.**

**ყვარელში საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდება 10 ნოემბერს დღის 2 საათზე, საკრებულოს სხდომათა დარბაზში.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით.**

**კახეთი**
**ტელ:** 599530319, 599852010 და 59119519
**ფოსტა:** epc-kakheti@elkana.org.ge

# დავით გობეჯიშვილის სახელობის ტურნირზე

21-23 ოქტომბერს ქ. ონში ჩატარდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის დავით გობეჯიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. ტურნირში მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის, აზერბაიჯანის, სასომხეთის, ისრაელის და საქართველოს ყველა რეგიონის წარმატებული მოჭიდავეები. ჩვენი რაიონიდან ტურნირში მონაწილეობას იღებდნენ შილდელი თავისუფალი სტილით მოჭიდავე სპორტსმენები. ესენი იყვნენ ნიკა ბუშელაშვილი, (60 კგ. წონითი კატეგორია), მიხეილ ბერძნიშვილი, ( 55 კგ. წონითი კატეგორია), თორნიკე ასაბაშვილი, ( 55 კგ. წონითი კატეგორია), ნიკა ტურაშვილი (55 კგ. წონითი კატეგორია) და ნიკა გიგიტაშვილი (60 კგ. წონითი კატეგორია).



უნდა აღინიშნოს, რომ ნიკა ბუშელაშვილი პირველად იღებდა მონაწილეობას ახალგაზრდებს შორის და შესაბამისად ქვეჯგუფში დაამარცხა საქართველოს ნაკრების წევრები, — ყაზრაშვილი, (კასპი) წლევანდელი საქართველოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორი ახალგაზრდებს შორის, ასევე გორდესაშვილი (გორი), რომელიც ასევე გახლდათ წლევანდელი საქართველოს ჩემპიონის ვერცხლის პრიზიორი ჭაბუკთა შორის.

ის, რომ ამ ტურნირში მონაწილეობა მიიღეს ამ ბიჭებმა და ნიკა ბუშელაშვილმა რომ მოიპოვა ვერცხლის მედალი, საპატიო თასი და დიპლომი, — დიდი დამსახურებაა ჩვენი რაიონის ქველმოქმედების, — თამაზ კონჭოშვილის, ალიკა ბილანიშვილის და გია ქოქიაშვილის. უმრავლოს რაიონს და მთლიანად საქართველოს ასეთი ქველმოქმედები და მადლობა მათ ჩვენი სპორტსმენების მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და გვერდში დგომისათვის.

(მწვრთნელები მალხაზ როზომაშვილი, გივი მეტრეველი, ვანო ჭანტურიძე).

**დალი ტატულიშვილი**

# ბრინჯაოს მედლის კავალერი



28-29 ოქტომბერს, ქ. თბილისში, ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონის ზარიბეგ ბერიაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში. ტურნირში მონაწილეობას იღებდნენ სასომხეთის, აზერბაიჯანის, ვლადიკავკაზის, რუსეთის და საქართველოს ყველა რეგიონის უძლიერესი სპორტსმენები. ტურნირი ჩატარდა 2001-2002 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ტურნირში ჩვენი რაიონიდან მონაწილეობდა გიორგი დოლმაზაშვილი (ყვარლის მეორე საჯარო სკოლა), (63 კგ. წონითი კატეგორია),სადაც მოიპოვა ბრინჯაოს მედალი და ამ შეჯიბრით ჩაირიცხა საქართველოს ნაკრებში თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის.

ჩვენი გამარჯვებული სპორტსმენი გიორგი დოლმაზაშვილი 2-5 ნოემბერს საქართველოს ნაკრების სახელით მონაწილეობას იღებდა ერევანში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში. ვიმედოვნებთ, რომ გიორგი ასევე წარმატებით დაუბრუნდება თავის მშობლიურ რაიონს. ჩვენც წარმატებებს ვუსურვებთ მას. (მწვრთნელები მალხაზ როზომაშვილი, გივი მეტრეველი, ვანო ჭანტურიძე).

# ორგანული პროდუქტის სერთიფიცირების ელექტრონული სისტემა

ევროკომისია იმპორტირებული ორგანული პროდუქტის, სერთიფიცირების ელექტრონული სისტემის დანერგვის ინიციატივით გამოდის, — იტყობინება organic-europe.net. შეტყობინების თანახმად, სერთიფიცირების ელექტრონული სისტემის დანერგვა, მიმართულია ორგანული პროდუქტის მიკვლევადობის გაუმჯობესებისა და თაღლითობის პოტენციური რისკის შემცირების მიზნით.

„ეს სისტემა არა მხოლოდ გაამარტივებს ბაზარზე ოპერატორების საქმიანობას, არამედ გაზრდის მომხმარებლის ნდობას-ორგანული პროდუქტის მიმართ“, — აღნიშნა სოფლის მეურნეობის კომისარმა ფილ ჰოგანმა. ევროკავშირის გადაწყვეტილება იმპორტირებული ორგანული პროდუქტის, სერთიფიცირების ელექტრონული სისტემის დანერგვის შესახებ, ძალაში შევა უახლოესი 6 თვის განმავლობაში, მას შემდეგ რაც განხილული იქნება რეკომენდაციები და ევროკავშირის რამდენიმე წევრი ქვეყნის განცხადება, მიკვლევადობის კონტროლის სირთულის შესახებ. ელექტრონულ სისტემაზე სრული გადასვლა 2017 წლის ოქტომბრისთვისაა დაგეგმილი.

# ნიგოზი და გოგრის თესლი — ბუნებრივი ანტიდეპრესანტები

ნიგვზის პრაქტიკულად ყველა სახეობა ძალიან სასარგებლოა ტვინისთვის. ნიგოზში შემავალ საკვებ ნივთიერებათა ნაკრები ხელს უწყობს ნათელ აზროვნებას, პოზიტიურს ხდის ცხოვრებისადმი შეხედულებას და ზოგად განწყობას.

ეს, უპირველესად, ომეგა-3 და ომეგა-6 ცხიმოვანი მჟავების დამსახურებაა. ისინი ხომ ანტიდეპრესანტების როლს ასრულებს. ზოგიერთ ნიგოზსა და გოგრის თესლში ბევრია თიამინი და მაგნიუმი, რომლებიც აუმჯობესებს მეხსიერებას, კოგნიტიურ ფუნქციებსა და ტვინის კვებას.

ჩვეულებრივი ნიგოზი თუთიის, კალიუმის, კალციუმის, მაგნიუმის, რკინისა და ფოსფორის მნიშვნელოვანი წყაროა. ეს ელემენტები კი ტვინის უჯრედთა (ნეირონების) ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ნიგოზი მდიდარია აგრეთვე C, P, PP ვიტამინებით, რომლებიც ზრდის ტვინის აქტივობას.

ბრაზილიური ნიგოზი (ერთ-ერთი ყველაზე ცხიმიანი სახეობა) სელენის უმდიდრესი წყაროა. სელენი კი ტვინისათვის მეტად მნიშვნელოვანი ელემენტია.

გოგრის თესლი უხვად შეიცავს თუთიას, სხვადასხვა მჟავას, და ვიტამინებს, რომლებიც ამცირებს ორგანიზმის ზოგად დაღლას და ამაღლებს გუნება-განწყობას.

ამ სასარგებლო პროდუქტთა ოპტიმალური დღელამური დოზა 30-50 გრამია. თუმცა, ნიგვზის მსგავსად, გოგრის თესლსაც გააჩნია გარკვეული უკუჩვენებები. ალერგიულმა პირებმა სიფრთხილით უნ და მიირთვან როგორც ერთი, ასევე მეორე პროდუქტი. გარდა ამისა, ნიგვზის დიდი რაოდენობით მიღებამ შესაძლოა ღვიძლისა და პანკრეასის დაავადებათა გამწვავება გამოიწვიოს.

# როგორ უნდა მოიქცეთ, თუ სიცხის დამწევი არ მოქმედებს — თემურ მიქელაძე ვირუსების შესახებ

ჯანმრთელი ბავშვი ავად ხდება 6-8-ჯერ და ეს სრულებით არ ნიშნავს მისი იმუნიტეტის სისუსტეს — ამის შესახებ პედიატრმა თემურ მიქელაძემ ტელეარხ GDS-ის ეთერში განაცხადა, სადაც მშობლების რამდენიმე მნიშვნელოვან შეკითხვას გასცა პასუხი.

— ძალიან ხშირად მშობლებს ჰგონიათ, რომ აცრა მათ ყველა სახის ვირუსისგან დაიცავს. სინამდვილეში ვაქცინაცია სეზონური გრიპის წინააღმდეგ ტარდება. ყველა სხვა ვირუსი კი ჩვეულებრივ შეიძლება შეეყაროს ბავშვს. თუ ვირუსული ინფექციით 6-8-ჯერ დაავადება ჯანმრთელი ბავშვისთვის ნორმალურია, თუმცა ეს ეხება ვირუსებს და არა ბაქტერიულ ინფექციებს.

**— რამდენად უწევთ რეკომენდაციას ხშირ აცრებს — რამდენი ახალი ვირუსისც შემოვა, საჭიროა რომ იმდენჯერ ავცრათ ბავშვი?**

— ყოველ წელს მხოლოდ გრიპის სხვადასხვა ტიპის ახალ-ახალი ვაქცინა იქმნება. წელს შექმნილია ვაქცინა სპეციალურად 2016-2017 წლის სეზონისთვის, შარშან სხვა ვაქცინა მოქმედებდა. საჭიროა 10 წლის განმავლობაში 10-ჯერ აიცრას პაციენტი. აშშ-ში ეს ვაქცინა უკ ვე გეგმიურ კალენდარში შევიდა. ჩვენ უფასოდ ვუკეთებთ რისკჯგუფის მქონე პაციენტებს — წელს ყველაზე დიდი რაოდენობა 20 000 ვაქცინა შემოიტანა ჯანდაცვის სამინისტრომ ამ რისკჯგუფებისთვის.

**— აცრის შემდეგ გვერდითი მოვლენების ან ვირუსის შეხვედრის რისკი რამდენად მაღალია?**

— შეიძლება შეხვდეს, მაგრამ არა რთულ ფორმებში. მაგალითად, გრიპს მარალი ტემპერატურა ახასიათებს სიცხის გარეშე გრიპის ვირუსი არ არსებობს (განსხვავებით ადენოვირუსისგან, რომელსაც მხოლოდ ცხვირიდან გამონადენი ახასიათებს ტემპერატურის გარეშე). გრიპს ასევე ახსიათებს ნაწლავური აშლილობები, სახსრების ტკივილი... აცრილ პაციენტს ეს სიმპტომები სუსტად აქვს გამოხატული. რატომღაც ჰგონიათ, რომ გრიპის სეზონი აუცილებლად ეპიდემიით უნდა წარიმართოს, სინამდვილეში ყოველ წელს ავადდება მოსახლეობის 10%-15% და ეს ნორმაა. როცა 30%-ს აღწევს ავადობა, უკვე ეპიდემიის სახე ეძლევა. ასევე ეშინიათ ლეტალური გამოსავლის, რეალურად კი სიკვდილით სრულდება ძალიან მაღალ რისკჯგუფში მყოფი პაციენტების ავადობა.

**— არსებობს საკვების სახით რაიმე დანამატები, რითაც იმუნიტეტს გავიძლიერებთ და დაცული ვიქნებით ვირუსისგან. მაგალითად, ნივრის ჭამას გვირჩევენ ხშირად.**



— საუკეთესო იმუნომოდულატორია ბალანსირებული სრულფასოვანი კვება. საკვებმა რომ მაქსიმაური სარგებელი მოგვიტანოს, თერმულად სწორად უნდა დაამუშავოთ — ზედმეტად არ შეწვათ და გადახარშოთ პროდუქტი. მწვანილი ეცადეთ, მომზადების ბოლოს მოაყაროთ კერძს. ბოსტნეული თავიდან დიდხანს უნდა იყოს გამდინარე წყალში, მომზადებას კი 15-20 წუთზე მეტი დრო არ უნდა მოანდომოთ. ბავშვებს მიეცით სეზონური ხილი, რადგან სწორედ სეზონზე აქვს ამ ხილს სასარგებლო და წყალში ან ცხიმში ხსნადი ვიტამინების მაღალი შემცველობა. რაც შეეხება ნიორს, მართლაც შეიცავს ანტივირუსული მოქმედების ნივთიერებებს, თუმცა დიდი რაოდენობით ნიორი შეიძლება გასტრიტის მიზეზიც გახდეს.

**— როგორ დავეხმაროთ ბავშვს ავადობისას, მარალი ტემპერატურის ბევრ მშობელს ეშინია.**

— მაღალ სიცხეს არ უნდა ებრძოლოთ, ეს ორგანიზმის დამცველობითი რეაქციაა.

თუ ბავშვი აკრგად იტანს სიცხეს, 38,5 არ არის აუცილებელი დამწევის მიღება. 39 გრადუსი ტემპერატურა კარგად ებრძვის პათოგენებს.

**— როგორ უნდა შევამჩნიოთ, იტანს თუ არა?**

— მაღალი სიცხისას ბავშვთა 2-3 პროცენტს კრუნჩხვები ახასიათებს. თუ ანამნეზში ერთხელ მაინც დაფიქსირდა ასეთი რამ, სიცხის დამწევებს 38 გრადუსზეც ვნიშნავთ. დაიცავით მიღების წესები — თუ წამალს აწერია 6 საათში ერთხელ ან 8 საათში ერთხელ, ამაზე ადრე ნუ მისცემთ

**— როცა არ უწევს სიცხე?**

— ამ დროს ჯობია დოზა გააორმაგოთ, ვიდრე წამალი მალ-მალე მისცეთ

**— მართალია, რომ ფასიან ვაქცინას არ აქვს უკუჩვენება?**

— ჯანდაცვის სამინისტროს დღეს შემოაქვს ყველაზე მაღალი ხარისხის — ფრანგული და ბელგიური წარმოების ვაქცინები. საქართველოში წელიწადში 60 000 ბავშვი იბადება და აქედან 59000 უფასო ვაქცინით იცრება, მხოლოდ 1000 ბავშვი იტარებს ფასიან ვაქცინაციას. შესაბამისად, რეაქციული მოვლენები 59-ში მეტი იქნება, ვიდრე 1-ში. სიცხე აცრის გვერდითი მოვლენა არ არის, ეს ბუნებრივი რეაქციაა და ზოგჯერ უკეთესი იმუნიტეტის მაჩვენებელია.

**— გვირჩევთ თუ არა ბავშვის სეირნობისას ერთგვარი მალამოს გამოყენებას, რომელსაც ცხვირზე ვუსვამთ და ამბობენ, რომ ვირუსისგან იცავს.**

— იყო საუბარი, რომ ამ მალამოს შეუძლია ვირუსების ადგილობრივად დალექვა, მაგრამ ასეთი რეკომენდაცია ოფიციალურად არ არსებობს. არც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია და არც პედიარტთა აკადემიები ამ რეკომენდაციას არ იძლევა. ჯობია ბავშვი ხშირად ასეირნოთ. მოერიდეთ მხოლოდ ქარიან ამინდს, წვიმაშიც შეგიძლიათ ასეირნოთ და მინუს გრადუს ტემპერატურაზეც. სუფთა ჰაერი საუკეთესო პროფილაქტიკაა.

**— ნაავადმყოფარი ბავშვი რამდენ ხანში შეიძლება გავუშვათ სკოლაში/ბაღში, რომ სხვა ბავშვებისთვის ვირუსის გავრცელების საფრთხეს არ წარმოადგენდეს?**

— გამოჯანმრთელებიდან 3-4 დღის განმავლობაში სჯობს შინ იყოს. სკოლებში და ბაღებში მინახავს ბავშვები პირბადითაც, რაც დაუშვებელია. ბავშვმა არ იცის პირბადის ხმარება, შეიძლება მოიხსნას, მაგიდაზე დადოს და მერე ისევ გაიკეთოს... არასწორი მოხმარება ვირუსის წყარო უფრო ხდება, ვიდრე დამცავი საშუალება. ამას ჯობს ყელის ტკივილის ან დაბალი ტემპერატურის დროს ბავშვი 2-3 დღის განმავლობაში არ გაუშვათ სკოლაში, დღეში 5-ჯერ მაინც განიავდეს საკლასო ოთახი, ასევე სველი წესით დასუფთავდეს მინიმუმ დღეში 2-ჯერ. ერთჯერადი ხელსახოცები ბავშვებმა მართლა ერთჯერადად უნდა გამოიყენონ, განმეორებით არ მოიწმინდონ ცხვირი და არ დადონ მაგიდაზე. რა თქმა უნდა, ხელების ხშირი დაბანა 6-7-ჯერ.

mshoblebi.ge

**გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**დირექტორი**
**ალექსანდრე გიგილოშვილი**
**მოადგილე**
**ნუგზარ ღონიაშვილი**

**პასუხისმგებელი მდივანი**
**ია გიგიაშვილი**
**კორესპონდენტი**
**დალი ტატულიშვილი**

**რედაქციის მისამართი:**
**ქ. ყვარელი, კუდიგორის №2**
**საკონტაქტო ტელეფონი:**
**22-01-86**